ნათია კახნიაშვილი

სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები საქართველოში

თბილისი

2020

Doi: https://doi.org/10.52340/05.01.2025

რეზიუმე

სიღარიბის ფენომენის მეცნიერული კვლევა ყველა ღარიბი ქვეყნის ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია. ღარიბები მაღალგანვითარებულ ქვეყნებსაც ყავთ, მაგრამ იქ მათი რაოდენობა "შემაშფოთებელ და საშიშ ნიშნულამ-დე" არ მიდის.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. ოფიციალური წყაროებით საქართველოს მოსახლეობის 19.5% ღარიბ-ღატაკია, არაოფიციალური წყაროებით კი მისი სიდიდე უფრო მეტია. ეს, არა თუ შემაშფოთებელი, არამედ საგანგაშო ნიშნულია.

ნაშრომი 4 თავისაგან შედგება.

ნაშრომის **პირველ თავში** განხილულია:

1. სიღარიბის არსი, სახეები, განსაზღვრის კონცეფციები და შედეგები;
2. სიღარიბის მიზეზები, გლობალიზაცია და სიღარიბე;
3. უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი;

ნაშრომში ნათქვამია, რომ იმის მიუხედავად, რომ სიღარიბის ერთმნიშვნე-ლოვანი განმარტება დღემდე არ არსებობს, იგი მაინც "ადამიანის ისეთი ეკონო-მიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც მას არ შეუძლია მინიმალურად აუცილე-ბელი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და შრომისუნარიანობის შენარჩუნება". ნაშრომში სიღარიბის მიზეზებს შორის პირველ მიზეზად დასახელებულია უმუშევრობა და სრულყოფილად მიმოხილულია მისი ასპექტები. ნაშრომის ავტორი თვლის, რომ რადგან საქართველოში უმუშევრობის დონე 2-3-ჯერ აღემატება (2020 წ. 12,3%) ბუნებრივ დონეს (5-6%), აუცილებელია მთავრობის მხრიდან რადიკალური ღონისძიებების გატარება.

ნაშრომის **მეორე თავში** - "უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში" ჩატარებულია უმუშევრობის ანალიზი 2001-2020 წლებში და გამოკვეთილია ის შედეგები, რაც მან გამოიწვია ქვეყანაში. ანალიზით აღმოჩნდა, უმუშევრობის დონის ასეთი ტრენდი: 2001 წელს 11,1%, 2008 წელს 16,9%, 2014 წელს 12,4%, 2020 წელს კი 12,3.

ნაშრომის ავტორი უმუშევრობის ასეთ მაღალ დონეს ასახელებს იმის მიზეზად, რომ საქართველოში 2014 წელს გაიზარდა რეგისტრირებული დანაშაულებები,

შემცირდა ქორწინებათა რიცხვი, ბავშვთა საშუალო რაოდენობა ერთ ოჯახზე ანგარიშით, ამაღლდა ავადობის დონე, მოკვდაობის პროცენტი და ერთ წლამდე მოკვდაობა ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე. ეს შედეგები ნაშრომში ციფრობრივადაა წარმოდგენილი.

ნაშრომის **მესამე თავში** ჯერ დახასიათებულია მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა, ხოლო შემდეგ თვით ცხოვრების დონე და შემოსავლის უთანაბრო განაწილების მდგომარეობა საქართველოში. ცხოვრების დონე შესწავლილია შემოსავლების, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების უზრუნველყოფის კონტექსტში. ავტორის მიერ შესწავლილი და შეფასებულია აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბე, თვიური სულადობრივი შემოსავალი, საარსებო მინიმუმი, მედიანური მოხმარება 60%-ის ქვევით და 40%-ის მიღმა. (მსოფლიო ბანკის ინფორმაციით უკიდურესად ღარიბია ადამიანი, რომლის შემოსავალი დღეში 1,25 დოლარზე ნაკლებია, ხოლო ღარიბი თუ 2,0 დოლარია).

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა საანალიზო წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, თუმცა საუკეთესო მაინც არ არის. ჯანდაცვის მთლიან ხარჯების მაჩვენებელი გამოკვეთილი ცვალებადობით გამოირჩევა. 2013 წლამდე აღნიშნული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა 2013 წლის შემდეგ, ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების ფარდობითი მაჩვენებელი გაიზარდა, რაც, თავის მხრივ, საჯარო დანახარჯების ზრდას უკავშირდება. თავის მხრივ, ჯანდაცვის ხარჯების მზარდი ტენდენცია არამარტო საქართველოს შემთხვევაშია, არამედ გლობალურად, განვითარებადი თუ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების ბოლო წლების ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა. აღნიშნულის ფაქტორები უშუალოდ ჯანდაცვის მომსახურების - მკურნალობის მეთოდების განვითარებაშია, სადაც სერვისის გაუმჯობესება უფრო მეტად მაღალტექნოლოგიური საშუალებების დანერგვას უკავშირდება. ეს კი - უფრო ძვირადღირებულია. აღნიშნული კი ჯანდაცვის დანახარჯებზე აისახება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარება, რაც სიცოცხლის

ხანგრძლივობისა და შემოსავლების ზრდასთანაა დაკავშირებული. ეს ორი კი ჯანდაცვის სერვისებზე მოთხოვნის ზრდას იწვევს.
გამოკვლეულ პერიოდში საქართველოში განათლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, 2017 წელს საქართველო მსოფლიო 137 ქვეყანას შორის 101-ე ადგილზე იყო.

კატასტროფულად არათანაბარია საქართველოში შემოსავლების განაწილება ღარიბებსა და მდიდრებს შორის. ჯინის ინდექსი საკვლევ პერიოდში შემცირებულია 0,45%-დან 0,41%-მდე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ნაშრომის **მეოთხე თავში** - ”საქართველოში სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტების მოდელირება”, მიგნებული და წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური წყაროები: ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნა, მიკროდაზღვევა, მიკროლიზინგი, დაბეგვრის სისტემის მოწესრიგება.

SUMMARY

Scientific research of poverty phenomena is one of the most urgent problems of all poor countries. There are poor people in developed countries as well but their number does not reach a dangerous and alarming rate there.

Georgia is a poor country. Under the official sources 9-10% of its population is poor while according to unofficial sources the poverty level is higher in the country. This is quite alarming rate

Current thesis concerns the poverty problem in Georgia and searching the financial sources that can help to solve the problem.

The thesis consists of 4 parts.

The first part of the thesis considers the following issues:

1. Essence, types, defining concepts, and results of poverty;
2. Reasons of poverty and globalization and poverty;
3. Unemployment as the basis of poverty;

The paper states that despite the fact that there is no clear-cut definition of poverty yet, it is "the economic situation of man in when he is not able to satisfy the minimal vital needs and to maintain employability". Author considers 4 concepts of poverty - absolute, relative, deprivation, subjective. He notes that the Georgian population is in this absolute poverty. Since the high number of its population starves or eats improperly.

Unemployment is considered as the first reason of poverty and all its aspects are perfectly outlined. The author believes that as far as the rate of poverty in Georgia exceeds 2-3 times (2020 . 12,3%) its natural level (5-6%), it is necessary for government to take a radical measures.

The second chapter of thesis "The Unemployment and its Social-Economic Results in Georgia" analysis unemployment in 2011-2020 and fixes the results that caused unemployment in the country. The analysis has found the trend of unemployment rate as follows: 11, 1% in 2001, 16.9 % in 2008 and 12.4% in 2014, 12,3 in 2020. The author makes conclusion that despite the fact that the unemployment has the tendency of decrease its level is high anyway in accordance with the level of 2011.

The author believes that unemployment is the reason of increased rate of registered crime, reduce of number of marriages, average number of children per family, increase of morbidity and mortality rate, And one-year mortality per 1,000 live births in 2014 throughout the Georgia.

The third chapter describes a population's living standards and poverty metrics, and then the living standard and uneven distribution of incomes in Georgia. The living standard is studied regarding the healthcare and education provision. The author studies and evaluates the absolute and relative poverty.

Under the subjective assessment of poverty that author has done by sociological research in Tbilisi, 68% of the population is poor. Meanwhile, Georgian statistic service considers as a poor only 9.4% of population (registered poor people) while UNICEF 8.3% of population.

Population Healthcare is significantly improved during the research period but still is not the best result. The level of education is unsatisfactory during the 2017. According to it Georgia is on the 101 place.

Income distribution among the poor and the reach is extremely unequal in Georgia. During the research period Gini coefficient has decreased from 0.45% to 0.41% but it is not enough according to the author.

The fourth chapter of thesis "Modeling Financial Aspects of Poverty Reduction in Georgia" the following financial resources are found out and presented: creation of an inclusive business-model, micro-insurance, micro-leasing, improving taxation system. All those proposals are grounded by arguments

The paperwork is accompanied with the summary report of research results.

შინაარსი

რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე) ---------- 6

შინაარსი (სარჩევი)---------- 7

შესავალი ----------

თავი I. უმუშევრობის და სიღარიბის თეორიული საფუძვლები

I.§1. სიღარიბის არსი, სახეები, განსაზღვრის კონცეფციები და შედეგები ----------

I.§2. სიღარიბის მიზეზები, გლობალიზაცია და სიღარიბე ----------

I.§3. უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი ----------

თავი II. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

II.§1. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში 2001-2007 წლებში ---

II.§2. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი საქართველოში 2008-2020 წლებში ---

II.§3. უმუშევრობის მიზეზები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები --------

თავი III. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ანალიზი და შეფასება

III.§1. მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა ----

III.§2. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი 2009-2019 წლებში

III.§3. შემოსავლის განაწილების უთანაბრობა საქართველოში ----------

თავი IV. საქართველოში სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტების მოდელირება

დასკვნა ----------

ბიბლიოგრაფია ----------

შესავალი

ქართველი ხალხისათვის სიღარიბე საკმაოდ ახალი ფენომენია. საბჭოთა პერიოდში განსაკუთრებით მის ბოლო სტადიაზე 70-80-იან წლებში ქართულ ცხოვრებაში აშკარა ღარიბი პრაქტიკულად არ არსებობდა. ქართული საზოგადოებისათვის მიუღებელი და უცხო იყო მათხოვრობა, პროსტიტუცია. მართალია ამ პერიოდში კორუფცია არსებობდა, მაგრამ იგი, ფაქტობრივად გამოდიოდა შემოსავლების გადანაწილების მძლავრ საშუალებად. გაბატონებული იყო პრინციპი "მე - შენ, შენ - მე". ქართველი ხალხის გაღატაკების პროცესი 90-იან წლებში დაიწყო. მას ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გაუაზრებელმა მცდელობამ და სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებად საზოგადოების გახლეჩვამ. არსებულ სიტუაციაში საზოგადოების იმ მცირე ჯგუფმა ისარგებლა, რომელიც ხელისუფლებაში ბატონობდა. სახალხო ქონების დიდი ნაწილი დენაციონალზიაციის თუ სხვადასხვა სახის "პირამიდების" მეშვეობით, მათ ხელში აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ სოციალური უთანასწორობის სწრაფი ზრდა და შემოსავლების მიხედვით მოსახლეობის მაღალი დიფერენციაცია.

უთანასწორობის დონეზე მოქმედი ფაქტორები ქართულ ცხოვრებაში საკმაოდ ბევრია. მათ შორის ძირითადია რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები, უმუშევრობის დონე, სახელმწიფო სოციალური პროგრამები (დასაქმება, მრავალშვილიანი ოჯახების სახელმწიფო მხარდაჭერა, საპენსიო პოლიტიკა, ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის შემწეობა), დაბალი ეფექტიანობა, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, არასრულწლოვანი ბავშვების რაოდენობა, განათლების დონე, მარტოხელა დედების დიდი რაოდენობა, მაღალი შიდა და გარე მიგრაცია და სხვა. სიღარიბის სრულფასოვანი ეკონომიკური ანალიზი ვარაუდობს სიღარიბის დონის ალტერნატიული შეფასების განხორციელებას. ასეთი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა უფრო ობიექტურად შეფასდეს სიღარიბის მდგომარეობა საქართველოში.

საზრდოს პოლიტიკის კვლევითი საერთაშორისო ინსტიტუტის (GHI) 2010 წლის გამოკვლევაში გაანალიზებულია განუვითარებელი და გარდამავალი ეკონომიკის 12 ქვეყნის მონაცემები. ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ შიმშილობის მსოფლიო ინდექსში გამოყოფილია 29 ქვეყანა, რომლებიც ძირითადად განლაგებულია სუბსაჰარისეულ აფრიკაში და სამხრეთ აზიაში, სადაც სიტუაცია შეფასებულია როგორც "უკიდურესად საგანგაშო" და "საგანგაშო". ამ გამოკვლევის მიხედვით ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების უმრავლესობაში შიმშილის მაჩვენებელი დაბალ დონეზეა, ანუ, ამ მხრივ, სიტუაცია შედარებით ნორმალურია. თუმცა, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, საქართველოში, სომხეთსა და უზბეკეთში კი შიმშილობის "ზომიერი" დონეა დაფიქსირებული.

შეიძლება ამ მხრივ ჩვენ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს, ვიდრე სუბსაჰარისეულ აფრიკის ქვეყნებს, მაგრამ შიმშილის ის დონე, როგორიც საქართველოშია როგორ შეიძლება "ზომიერად" ჩაითვალოს, ან როდემდე უნდა ჩაითვალოს?

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზების მიგნება არის ძალზე აქტუალური საქართველოში. სწორედ მოცემული ნაშრომი ამ გზების და საშუალებების გამონახვას ეძღვნება.

კვლევის მიზანია მოსახლეობის სიღარიბის გამოკვლევა, მისი მიზეზების დადგენა და დაძლევის ფინანსური რეზერვების ამოქმედება.

დასახული მიზნიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანებია:

- სიღარიბის არსის, შედეგების და მაჩვენებლების შესწავლა, გაცნობიერება;
- სიღარიბის მიზეზების გამოკვეთა გლობალიზაციის კონტექსტში;
- უმუშევრობის განხილვა სიღარიბის მთავარ მიზეზად;
- უმუშევრობის ანალიზი 2001-2020 წლებში და მიღებულ შემდეგ მაჩვენებელთა შეფასება;
- საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოკვლევა და შეფასება;
- საქართველოს მოსახლეობის ჯგუფებს შორის შემოსავლების უთანასწორობის დადგენა;
- სიღარიბის დაძლევის ფინანსური რეზერვების გამოკვეთა და ამუშავება.

კვლევის ობიექტია საერთოდ სიღარიბე, ხოლო კვლევის საგანია საქართველოს მოსახლეობის სიღარიბე და იმ ფინანსური რეზერვების ამოქმედების შესაძლებლობის დადგენა, რომელიც აქვს საქართველოს.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური მოვლენების შეცნობის პრინციპები და მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქ-ცია, ემპირიული დაკვირვება და სხვა.

კვლევის ინფორმაციული წყაროა სტატისტიკური მონაცემები, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევები, ნორმატიული დოკუმენტები, სამთავრობო პროგრამები და თვით ავტორის კვლევის შედეგები.

ნაშრომში :

- შესწავლილი და დადგენილია უმუშევრობის დონე და მისით გამოწვეული სიღარიბის დონე;
- გამოანგარიშებულია უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარ-გები;
- შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და შედარე-ბულია იგი სხვა ქვეყნებთან;
- ჩატარებულია ქ. თბილისის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა და დადგენილია სიღარიბეზე მათი სუბიექტური შეფასებები;
- გამოკვეთილია უმუშევრობის უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედე-გები - დამნაშავეთა ზრდა, შობადობის შემცირება, მოკვდაობის ამაღლება და სხვა;
- მიგნებული და დასაბუთებულია სიღარიბის შემცირების ფინანსური წყა-როები:
    - ✓ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის ამუშავება;
    - ✓ მიკროდაზღვევა;
    - ✓ მიკროლიზინგი;
    - ✓ დაბეგვრის სისტემის მოწესრიგება.

სიღარიბე მსოფლიო პრობლემაა. ამიტომ ამ ფენომენის მიზეზებზე და გადაჭრის გზების მოძებნაზე დიდი ხანია მრავალი მეცნიერი მუშაობს. მათ

რიცხვში არიან: ლ. ჩიქავა, ჯ. კახნიაშვილი, ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი, რ. აბესაძე, მ. კვირკაია, დ. იაკობიძე, ი. არჩვაძე, ი. მესხია, კ. მიხაილოვი და სხვები.

მიუხედავად ამ სფეროში არსებული მრავალი ნაშრომისა, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სიღარიბის პრობლემის ფინანსური რეზერვები სიღრმისეულ მეცნიერულ შესწავლას საჭიროებს. სახელდობრ, დასაზუსტებელია რისი გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით და ვინ უნდა ითავოს იგი - სახელმწიფომ თუ კერძო სექტორმა, თუ ორივემ ერთად.

ნაშრომის ანალიტიკური და ფაქტობრივი მასალა, დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოიყენოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ასევე უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა.

თავი I. უმუშევრობის და სიღარიბის თეორიული საფუძვლები

I.§1. სიღარიბის არსი, სახეები, განსაზღვრის კონცეფციები და შედეგები

ამერიკელი მეცნიერები კემპბელ რ. მაკკონნელი და სტენლი ლ. ბრიუ წერენ, რომ "სიღარიბე ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება".[1] იგივეს იმეორებენ ქართველი მეცნიერები ა. სილაგაძე, ჯ. კახნიაშვილი და ე. მექვაბიშვილი თავიანთ ნაშრომში "მიკროეკონომიკსი"[2] და მეცნიერები მ. ვანიშვილი და გ. გიგუაშვილი ნაშრომში "სოციალური პოლიტიკა".[3]

ზემონათქვამის მიუხედავად, იგივე მეცნიერები,და, ბევრი სხვაც, იქვე შემდეგ მიუთითებენ:

- **კემპბელ რ. მაკკონნელი და სტენლი ლ. ბრიუ**: "ფართო გაგებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახი მაშინ ცხოვრობს სიღარიბეში, თუ მისი ძირითადი მოთხოვნილებები აჭარბებს მის ხელთ არსებულ მისი დაკმაყოფილების საშუალებას" .
- **სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე.**: "ოჯახი სიღარიბეში ცხოვ-რობს თუ მისი ძირითადი მოთხოვნილება (საკვებზე, ტანსაცმელზე, სად-გომზე..) - აღემატება ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ სახსრებს. ოჯახის მოთხოვნილება მრავალი ფაქტორით განისაზღვრება - მისი სიდიდით, ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობით, ასაკით და ა. შ.
- **ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ.**: "სიღარიბე არის შემოსავლების (ფულადი და არაფულადი) უკმარისობა ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი

---

[1] *Кемпбелл Р. Макконнел, Стенли Л. Брю. Экономикс, М., 1992, გვ. 283.*
[2] *სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006, გვ. 352.*
[3] *ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013, გვ. 185.*

არსებობა-განვითარებისთვის საჭირო მინიმალურად აუცილებელ მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურების მოხმარებისთვის".

აღსანიშნავია ორი სახის სიღარიბე. ესენია: **აბსოლუტური** და **შეფარდებითი სიღარიბე**. "შემოსავლების ერთეულებში გამოსახული სიღარიბის დონე შეიძლება განისაზღვროს როგორც აბსოლუტურ სიდიდეებში, ასევე საზოგადოების სხვა წევრების შემოსავალთან შეფარდებით".[1] ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურიდან ცნობილია მათი განმარტებებიც: "**აბსოლუტური სიღარიბე** არის შემოსავლების ის დონე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებებს საკვებსა და სხვა სახის პირველადი მოთხოვნილებების საგნებზე. **შეფარდებითი სიღარიბე** არის შემოსავლების ის დონე, რომლის მიხედვითაც საზოგადოების შესაბამის ჯგუფებს შიმშილი არ ემუქრებათ, მაგრამ ისინი ღარიბები არიან მდიდართა შორის".[2]

ამრიგად, სიღარიბე ინდივიდის ან ადამიანთა სოციალური ჯგუფის ისეთი ეკონომიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც მათ არ შეუძლიათ იმ მინიმალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის, შრომისუნარიანობის შენარჩუნებისა და მოდგმის გასაგრძელებლად. სიღარიბე შეფარდებითი ცნებაა და დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში ცხოვრების დონის ზოგად სტანდარტზე. ძირითადად, ღარიბ მოსახლეობაში დაბალი კლასი იგულისხმება, რომელშიც გაერთიანებულია მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენა, კერძოდ:

- **უღარიბესი ფენა** - საზოგადოებიდან გარიყული წევრები, ლუმპენ-პროლეტარიატის მსგავსი,რომელზეც კარლ მარქსი "კაპიტალში" აღნიშნავდა;
- **ინტერეს შელახული ფენა** - მასში შედის უმუშევრები, შრომისუუნარო და არასრული სამუშაო დღით დასაქმებული პირები, რომლებიც ხანგრძლივი თუ ნაკლები ხარისხით უიმედოდ გამოყოფილია საზოგადოებისგან, არ მონაწილეობენ მის ცხოვრებაში და არ იზიარებენ მის მისწრაფებებსა და წარმატებებს (შვედი ეკონომისტის გ. მიურდალის - განსაზღვრება);

---

[1] *კახნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა, I ნაწილი, თბ., 1996, გვ. 460.*
[2] *ეკონომიკური თეორია, თბ., 1998, გვ. 456.*

- **არასრულწლოვანი** და **სრულწლოვანი სამართალდამრღვევთა ფენა** - სკოლიდან გარიცხული ბავშვები, მარტოხელა დედები (რომლებიც დახმარებაზე ცხოვრობენ), დამნაშავეები, ნარკოტიკის გამყიდველები, მათხოვრები და ა. შ.

ღარიბი მოსახლეობის ხვედრით წილს ქვეყნის მთელ მოსახლეობაში სიღარიბის დონე ეწოდება. ღარიბი მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთლიან რიცხვში განსხვავებულია, როგორც ქვეყნების მიხედვით, ასევე, ცალკეულ ქვეყნებში. პირველნი, ვინც სიღარიბის დონე გაიანგარიშეს, იყვნენ ინგლისელი მეცნიერები ჩარლზ ბუტი და სიბომ რაუნტრი, რომლებმაც 1890-იან წლებში შემოიტანეს "სიღარიბის ზღურბლის" ცნება.[1] სიღარიბის ზღურბლი ის მინიმალური შემოსავალია, რომელიც აუცილებელია მხოლოდ საარსებო პროდუქტების (საზრდო, ტანსაცმელი და სადგომი) შესაძენად. საზოგადოების განვითარების კვალობაზე არსებობისათვის აუცილებელი საგნები და მომსახურება ფართოვდება, მაგრამ მეთოდის არსი იგივე რჩება - ღარიბთა და საშუალო კლასს შორის წყალგამყოფის დაწესება, 1988 წელს აშშ-ში ასეთი ზღურბლი ოთხსულიანი ოჯახისთვის იყო წელიწადში 12092 დოლარი. ამ მეთოდის დახმარებით შეიძლება აბსოლუტური სიღარიბის გაზომვა.

მსოფლიოს ეკონომიკური ლიტერატურიდან ჩვენთვის ცნობილია სიღარიბის ფენომენის ფართოდ განსაზღვრის რამდენიმე კონცეფციაც:

1. სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია;
2. შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბის კონცეფცია;
3. დეპრივაციის კონცეფცია;
4. სუბიექტური კონცეფცია.

აბსოლუტური სიღარიბის კონცეფცია ანუ საარსებო მინიმუმის კონცეფცია ეფუძნება ძირითადი მოთხოვნილების მინიმალურ ჩამონათვალს (საარსებო მინიმუმი) და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსებს. აბსოლუტური სიღარიბე დაკავშირებულია ადამიანის ბიოლოგიური გადარჩენის უზრუნველყოფისთვის საჭირო სასიცოცხლო რესურსების უკმარისობასთან. ნათქვამი ეხება ყველაზე

[1] *Эдвин Дж. Долан, Дейвид Линдсей. Рынок: микроэкономическая модель, Санкт-Петербург, 1992, გვ. 450.*

ელემენტარული მოთხოვნილების (საზრდო, საცხოვრებელი, ტანსაცმელი) დაკმაყოფილებას. სიღარიბის ამ სახის კრიტერიუმი ნაკლებად დამოკიდებულია დროსა და ადამიანის ბინადრობის ადგილზე. პროდუქტთა კონკრეტული ნაკრები, რომელიც მოიხმარებოდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარიჟრაჟზე, არსებითად განსხვავდება თანამედროვე ადამიანის მოხმარებისაგან, მაგრამ ყოველთვის შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ვიმსჯელოთ ადამიანი შიმშილობს თუ მაძღარია. ამრიგად, ადამიანთა აბსოლუტური სიღარიბის კრიტერიუმი დაკავშირებულია ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან.

სიღარიბის აბსოლუტური კონცეფცია ქრონოლოგიურად წარმოიშვა ინგლისში, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სიღარიბის თემაზე ჩატარებული ემპირიული გამოკვლევის საფუძველზე.

აბსოლუტური სიღარიბის შესწავლისას აუცილებელია ორი ამოცანის გადაჭრა:

- სიღარიბის საზღვრის დასადგენად მაჩვენებლის განსაზღვრა;
- სიღარიბის საზღვრის შესადარებლად მაჩვენებელთა სისტემის დამუშავება.

მსოფლიო ბანკი აბსოლუტური სიღარიბის ზღურბლად თვლის 1,25 ამერიკულ დოლარზე ნაკლებ დღიურ შემოსავალს (კურსი გაიანგარიშება სყიდვითუნარიანი პარიტეტის მიხედვით).

აბსოლუტური სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე გაეროს მონაცემებით (2004) შეიმჩნეოდა მადაგასკარში - 71,3%, სიერა-ლეონეში - 70,2%, მოზამბიკაში - 69,4%. თუ სიღარიბის საზღვრად ავიღებთ დღეში ერთ ამერიკულ დოლარს (გაერო ასეთ მაჩვენებელს იყენებს განუვითარებელი ქვეყნებისათვის), მაშინ ყველაზე მაღალი სიღარიბე (2005) აღინიშნებოდა ნიგერიაში - 70,8%, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში - 66,6% და ზამბიაში - 63,8%. სამწუხაროდ ზემოთ აღნიშნული ქვეყნები დღესაც სიღარიბის მაღალი დონით გამოირჩევიან და ღარიბი ქვეყნების პირველ ათეულში შედიან.

შედარებითი (შეფარდებითი) სიღარიბის კონცეფციის ერთ-ერთი პირველი ავტორია ამერიკელი მეცნიერი პიტერ თაუნსენდი. თუ საარსებო მინიმუმის კონცეფცია დაფუძნებული იყო შემოსავლის პარამეტრებზე, მისგან განსხვავებით, ეს კონცეფცია წინა პლანზე აყენებს კეთილდღეობის პარამეტრებს. იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფი-

ლებასაც. მართლაც, ხშირად ადამიანები უზრუნველყოფილი არიან აუცილებელი საგნებით და მომსახურებით, მაგრამ არ შეუძლიათ იცხოვრონ მათ საზოგადოებაში მიღებული ცხოვრების წესით. მეორე მხრივ, იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ატარებს ღარიბთა კეთილდღეობის გაუმჯობესების პოლიტიკას, არა მხოლოდ ფულადი სუბსიდიის და დახმარების, არამედ სხვადასხვა სოციალური შეღავათების (საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასო მგზავრობა, უფასო განათლება, შეღავათიანი ბინა...) მიწოდებით, მხოლოდ მაშინ, ფულადი შემოსავალი არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი მაჩვენებელი. ამ კონცეფციის დროს აქცენტის გადატანა ცხოვრების ხარისხსა და პირობებზე, შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს ინდივიდებისა და ოჯახების ცხოვრების დონის სოციალურ პოზიციებს შორის დაცილება.

შედარებითი სიღარიბე განისაზღვრება იმ საერთოდ მიღებული მაჩვენებლით, რომელიც "ნორმალურად" ითვლება მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეში. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების საშუალო დონე აშკარად მაღალია, ვიდრე განუვითარებელ ქვეყნებში. ამის გამო, ის რაც განვითარებულ ქვეყნებში სიმდიდრედ ითვლება, ღარიბი ქვეყნებისათვის შეიძლება ფუფუნებად მიიჩნიონ. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში შედარებით ღარიბების კატეგორიაში ისეთი ადამიანებიც ხვდებიან, რომლებიც საზრდოსთან დაკავშირებით სიძნელეებს არ განიცდიან, მაგრამ მათ არ შეუძლიათ უფრო მაღალი მოთხოვნილებების (განათლება, კულტურა, გართობა...) დაკმაყოფილება. ამრიგად, შედარებითი სიღარიბის კრიტერიუმები დაფუძნებულია სოციალურ ფაქტორებზე და ძლიერ ვარირებს ცალკეულ ქვეყნებსა და ეპოქებს შორის.

პ. თაუსენდი სიღარიბეს განიხილავდა, როგორც მდგომარეობას, რომლის დროსაც ეკონომიკური რესურსის უკმარისობის გამო, მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის ჩვეული ცხოვრების წესით ცხოვრება შეუძლებელი ხდება. სიღარიბის შესახებ თავისი ანალიზი პიტერ თაუსენდმა დააფუძნა მრავალმწყობრიან დეპრივაციაზე. დეპრივაციის ცნება ფლუსტრაციის ცნებასთან ერთად სოციალურ ფსიქოლოგიაში გამოიყენება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ადამიანთა ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა იმედგაცრუების სიტუაციაში. იგი ვლინდება მძიმე დაძაბულობაში, მღელვარებაში, გამოუვალი მდგომარეობის

შეგრძნებასა და სასოწარკვეთილებაში. პ. თაუნსენდის მიერ მრავალმწყობრიანი დეპრივაციის შემოღების მიზეზები ის იყო, რომ მატერიალურ დეპრივაციასთან (რომელიც მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა საზრდო, ტანსაცმელი, საბინაო პირობები, ხანგრძლივი სარგებლობის საგნები, ბინადრობის ადგილი და მდებარეობა, შრომის პირობები და ხასიათი) ერთად იგი იყენებდა სოციალური დეპრივაციის მაჩვენებლებს (დასაქმების ხასიათი, თავისუფალი დროის გამოყენება, განათლება...).

აკუმულირებული **დეპრივაციის კონცეფცია** პირველმა შემოიტანა ნორვეგიელმა სოციოლოგმა ე. ჰანსენმა. შედარებითი სიღარიბის კონცეფციის მეთოდიკის არსებითი ნაკლი იყო შერჩეული კრიტერიუმის ნებისმიერობა: რომელიმე კრიტერიის უქონლობა შეიძლება იყოს არა იმდენად სიღარიბის მაჩვენებელი, არამედ ინდივიდის შეგნებული არჩევანი (მაგალითად, ვეგეტარიანელისათვის რაციონში ხორცის უქონლობა არ აღნიშნავს მისი შემენის შეუძლებლობას). დეპრივაციული მიდგომის მახასიათებელი ნიშანი გახდა არამხოლოდ ინდივიდის (ან ოჯახის) კეთილდღეობის უბრალო შესწავლა, არამედ პრობლემების რაოდენობის გაანგარიშებაც, რომელსაც ღარიბი განუწყვეტლივ აწყდება (მატერიალური შემოსავალი, დასაქმება, სოციალური ურთიერთობა, განათლება...).

რაც შეეხება **სიღარიბის სუბიექტურ (თვითშეფასების) კონცეფციას** იგი, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს ეფუძნება რესპოდენტთა, ანუ გამოკითხულთა თვითშეფასებას, რომელიც ეხება მათ მატერიალურ მდგომარეობას და ცხოვრების დონეს. ადრინდელი მეთოდიკით მკვლევარები ირჩევდნენ სიღარიბის კრიტერიუმს, მაშინ როცა შესასწავლი ადამიანები ანუ რესპოდენტები პასიურები იყვნენ. უკანასკნელ ათწლეულებში მდგომარეობა შეიცვალა. განსაკუთრებით ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. რესპოდენტები გააქტიურდნენ. ისინი თვითონ აფასებენ თავის მდგომარეობას - ანუ თვლიან, თუ არ თვლიან რესპოდენტები თავიანთ თავს ღარიბებად.

სიღარიბის ტიპების ამ საბაზო კლასიფიკაცის გარდა, არსებობს სხვა მიდგომები. ასე მაგალითად, გამოყოფენ **პირველად სიღარიბეს** (ოჯახები, რომლებიც რაციონალურად უძღვებიან საოჯახო მეურნეობას, მაგრამ არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური რესურსი) და **მეორად სიღარიბეს** (ოჯახები, რომლებიც ფლობენ საკმარის

ფინანსურ რესურსს, მაგრამ მეურნეობის არარაციონალური გაძღოლის გამო, გაჭირვებაში იმყოფებიან). გარდა ამისა, არსებობს დაყოფა "მყარ" სიღარიბედ ("მემკვიდრეობითი" სიღარიბე) და "ტივტივა" ("მცურავი") სიღარიბედ (ზოგიერთი ღარიბი ინდივიდი ახერხებს გადავიდეს უფრო მაღალი ცხოვრების დონეზე, მაგრამ იმავდროულად, ცხოვრების საშუალო დონეზე მყოფი პირები, სხვადასხვა მიზეზის გამო, გადადიან ღარიბთა რიგებში.

შედარებითი სიღარიბის მასშტაბი არ ემთხვევა აბსოლუტური სიღარიბის მასშტაბს. აბსოლუტური სიღარიბე, შეიძლება ლიკვიდირებული იქნას. იგი თითქმის, ფაქტობრივად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეფარდებითი სიღარიბე ყოველთვის იარსებებს, რამდენადაც უთანასწორობა გვევლინება სტრატიფიცირებული საზოგადოების აუცილებელ ატრიბუტად. შედარებითი სიღარიბე ნარჩუნდება და კიდევაც გაიზრდება, მაშინაც კი, როცა ყველა სოციალური ფენის ცხოვრების სტანდარტი ამაღლდება.

ამრიგად, ზემოთ ნათქვამი გვიდასტურებს, რომ სიღარიბე მართლაც არ ექვემდებარება ერთმნიშვნელოვან განმარტებას. ეხლანდელი ღარიბი შუასაუკუნეების მდიდარზე უფრო მდიდარია. ასე რომ, სიღარიბის "ტევადობა" დროთა განმავლობაში იცვლება.

სიღარიბის შედეგია შიმშილი, ავადმყოფობა, სხეულის გამოფიტვა და სიკვდილი.

სიღარიბის მსგავსად, განასხვავებენ მასობრივ, აბსოლუტურ და ფარდობით შიმშილს:

- **მასობრივი შიმშილი** სოციალური უბედურებაა, იგი გამოწვეულია სურსათის ხანგძლივი უკმარისობით, რომელთანაც დაკავშირებულია მოსახლეობის მასობრივი დაღუპვა.
- **აბსოლუტურ შიმშილს** ზოგჯერ უწოდებენ დეფიციტურს და ხასიათდება ორგანიზმის შენარჩუნებისთვის აუცილებელი კვების პროდუქტების მინიმალური რაოდენობის უკმარისობით ან მისი უქონლობით.
- **ფარდობითი** (იგივე ფარული) შიმშილი ხასიათდება უხარისხო კვების პროდუქტების ქრონიკული მოხმარებით. ეს პროდუქტები ხასიათდება

კვების ელემენტებისა და ვიტამინების დაბალი შემადგენლობით და არასაკმარისია ორგანიზმის აქტიური ცხოველქმედობის შესანარჩუნებლად. ეს კი იწვევს მარვალრიცხოვან დაავადებას და ამცირებს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას.

შიმშილი არსებითად ზემოქმედებს ადამიანის ფსიქიკასა და ქცევაზეც - ბლაგვდება მისი გრძნობები, ქვეითდება მეხსიერება, ნელდება და ირღვევა აზროვნების პროცესი, იკარგება კონტროლი საკუთარ საქციელზე.

XIX საუკუნემდე მასობრივი შიმშილი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იგი გამოწვეული იყო მოუსავლიანობით. 1125 წელს შიმშილმა იმსხვერპლა გერმანის მოსახლეობის ნახევარი.

მართალია განვლილ პერიოდში შიმშილმა უკან დაიხია, მაგრამ დღესაც, პლანეტაზე ერთ მილიონამდე მეტი კაცი შიმშილობს და ყოველდრიურად შიმშილისა და სიღატაკისგან მსოფლიოში 25000 ადამიანი კვდება. საერთაშორისო ორგანიზაცია FAO-ს ინფორმაციით დღეისათვის ყოველი მეშვიდე ადამიანი საკმარის საზრდოს ვერ იღებს. გაერომ დაადგინა შიმშილის ზღურბლი - დღეღამეში 1800 კილოკალორია, რომლის ქვევით ადამიანი შიმშილობს. მანვე დაადგინა 2100 კილოკალორია, როგორც ფიზიოლოგიური არსებობის მინიმუმი.

მსოფლიო ბანკის ანგარიშგებებით ცნობილია,რომ სურსათი სულ უფრო და უფრო ძვირდება. 2008 წელს მისი ფასი გაორმაგდა, 2010 წელს კი 33%-ით გაიზარდა. ფასების ზრდა არც შემდეგ შეჩერებულა. მსოფლიო ბანკის ანგარიშში ისიცაა მითითებული, რომ "სურსათის მსოფლიო მარაგი საგანგაშო დაბალ დონეზე დავიდა". ყოველივე ეს იმას ადასტურებს,რომ მსოფლიო დგას სურსათის ნაკლებობის წინაშე და ეს ნაკლებობა და აქედან გამომდინარე, შიმშილის საშიშროება უდგას არა განვითარებული ქვეყნების მოსახლეობას, არამედ განვითარებად და ღარიბ ქვეყნებს. მათ რიცხვშია საქართველოც. თუ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტს დავუჯერებთ, ამ მხრივ საქართველოს საგანგაშო არაფერი აქვს,რადგან "მისი მოსახლეობა 10-ჯერ უკეთ ცხოვრობს, ვიდრე პლანეტის გასაშუალებული მოსახლეობა". ასეთ დროს, 2012 წლის სტატისტიკური ინფორმაციით საქართველოს მოსახლეობა მოიხმარდა რძეს და რძის პროდუქტების სულადობრივი რაციონალური ფიზიო-

ლოგური ნორმის მხოლოდ 11%-ს და კვერცხის 41%-ს.[1] იგივე ითქმის მთელ რიგ სხვა სახის სურსათზეც. მართალია, 90-იან წლებთან შედარებით მიმდინარე პერიოდში ამ მხრივ ვითარება რამდენადმე უკეთესობისკენ შეიცვალა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ რადიკალურად გაუმჯობესდა. მოსახლეობის ძირითადი მასა (დაახლოებით 50%) განეკუთვნება ისეთ კატეგორიას, რომელიც მოიხმარს გაეროს მიერ განსაზღვრულ მინიმუმზე - 2100 კილოკალორიაზე ნაკლებს.

ნათქვამიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ დამშვიდების უფლება არა გვაქვს. ჩვენი სამიზნე არ უნდა იყოს საშუალო პლანეტელი. ჩვენი სამიზნე უნდა იყოს ზომიერი, გონივრული ცხოვრების დონე, რომელშიც აუცილებლად მოიაზრება ჯანსაღი, კალორიებით და ვიტამინებით დაბალანსებული კვებაც.

I.§2. სიღარიბის მიზეზები: გლობალიზაცია და სიღარიბე

მოსახლეობის სიღარიბეს მრავალი მიზეზი იწვევს. მათ რიცხვშია: უმუშევრობა, მოუსავლიანობა, მწირი რესურსები, ომები, სოციალური აფეთქებები, ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვა. თუმცა, თანამედროვე უცხოელი მეცნიერები - გ. სორმანი და სხვები, ამ მოვლენას სხვანაირი მიდგომებით ხსნიან.

კულტუროლოგიური ახსნა. ამ მიდგომის ჩარჩოში ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა **სიღარიბის კულტურა**. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ღარიბებისათვის დამახასიათებელია თავიანთი განსაკუთრებული კულტურა, რომელსაც საფუძვლად უდევს მორჩილება, მომავლის მოწყობის უუნარობა და ფატალიზმი. პირველადი სოციალიზაციის პროცესში ეს ფასეულობა თაობიდან თაობას გადაეცემა და განაპირობებს **"მემკვიდრეობით"** სიღარიბეს. სიღარიბის სხვა კულტუროლოგიურ ახსნას იყენებს **დამოკიდებული კულტურის** ცნება. თუ სიღარიბის ტრადიციული კულტუროლოგიურ ახსნაში თვით ღარიბები განიხილება თავიანთი უბედურების წყაროდ, მისგან განსხვავებით დამოკიდებული კულტურის კონცეფციებში ასეთ წყაროდ გამოდის თვით სახელმწიფო თავისი სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებით. მრავალი ლიბერალი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს პროგრამები იმას

[1] *ჩიქავა ლ., საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოკვდაობა, თსუ და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბ., 2014, გვ. 63-64.*

იწვევს, რომ ღარიბები წყვეტენ თავიანთ ძალისხმევას ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად და საზოგადოების ხარჯზე პარაზიტებად იქცევიან. მათი მტკიცებით, სიღარიბის გადასალახავად, საჭიროა, ადამიანებს განვუვითაროთ ისეთი თვისებები, როგორიცაა **შეუპოვრობა, ენერგიულობა, შრომისმოყვარეობა, მომჭირნეობა** და **თავმოყვარეობა**. ამ გაგებით სიღარიბის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ვარიანტია სახელმწიფო დახმარების ლიკვიდაცია ან მისი არსებითი სახეცვლილება (მაგალითად, აუნაზღაურებადი დახმარების შეცვლა სამუშაოებზე დასაქმებით).

სტრუქტურული ახსნა. ამ მიმართულების თეორიები სიღარიბის არსებობას აკავშირებენ საზოგადოების სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ სტრატიფიკაციაზე, ეკონომიკურ უთანასწორობაზე და ა. შ. ამ კონცეფციის მომხრეები, რომლებიც სიღარიბეს თვლიან განსაკუთრებული სიტუაციის შედეგად, ამტკიცებენ, რომ ადამიანებთან და მთლიანად საზოგადოებაში ისეთი პერიოდები დგება, როცა სიღარიბის წარმოშობის ალბათობა ძალზე მაღალია (მაგალითად, ეკონომიკური დაქვეითება). თანაც ცალკეული ინდივიდები ასეთი სიტუაციის წარმოშობაზე არ არიან პასუხისმგებელნი. სიღარიბე აგრეთვე წარმოიშობა საზოგადოებაში ადამიანთა უთანასწორობისა და ინდივიდებს შორის მატერიალური დოვლათის უთანაბრო განაწილების შედეგად. ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნა.

მთავრობის კლეპტოკრატიული პოლიტიკა. ფრანგი ჟურნალისტის გ. სორმანის (იგი "შიმშილის წინააღმდეგ საერთაშორისო მოძრაობის" საზოგადოებივი ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია - ნ. კ.) მტკიცებით, განუვითარებელი ქვეყნების მოსახლეობა მეტწილად საკუთარი მთავრობების არაკომპეტენტური პოლიტიკით უფრო იტანჯებიან, ვიდრე ბუნებრივი ფაქტორებით და გარე ფაქტორების ზემოქმედებით. "რეალური მდგომარეობის ანალიზმა დამარწმუნა, რომ ერის სიღარიბე არ არის ფატალური - წერს სორმანი, - იგი უფრო მცდარ იდეებზე დაფუძნებული ცუდი პოლიტიკის შედეგია".[1] სორმანი იზიარებს მექსიკელი საზოგადოებრივი მოღვაწეის, პოეტო პასის მოსაზრებას, რომ მესამე სამყაროსათვის რომელიმე სახელმწიფოს მიკუთვნება არა იმდენად მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის სიდიდით, ტექნიკური ჩამორჩენილობით, ბუნებრივი სიმდიდრის უთანაბრო

[1] *Sorman G., La nouvelle richesse de Nation.Paris, Fayard, 1987, გვ. 20.*

განაწილებით ან კოლონიზაციის ნეგატიური შედეგით განისაზღვროს, არამედ, უფრო მეტად, პოლიტიკური სისტემით (გაბატონებული ავტორიტარული ან ტოტალური ძალაუფლება, განსაზღვრული პოლიტიკური კასტის ბატონობა, კორუფცია, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების შეზღუდვა...). ინგლისელი ეკონომისტის პ. ბაუერის მსგავსად, სორმანი ასეთ პოლიტიკურ სისტემას" კლეპტოკრატიას" უწოდებს. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად სორმანს აზიის "ოთხი დრაკონის" განვითარების წარმატებული მოდელი მოყავს. ასე მაგალითად, სინგაპურის ეკონომიკა განსაკუთრებით ორიენტირებულია საგარეო ბაზრებზე, რომელმაც უზრუნველყო მისი გადაქცევა "მსოფლიო სახელოსნოდ". სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი ამ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკის შედეგია. სინგაპურის ერთ-ერთი ხელმძღვანელის თქმით: "კარგი სახელმწიფო იმართება კარგი მთავრობით და თუ სინგაპური იფურჩქნება, ეს იმიტომ, რომ ის საუკეთესოების ხელში იმყოფება".[1] სამაგიეროდ, სიღარიბის შენარჩუნების მაგალითი გახდა ტანზანია, რომლის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ განვითარების სოციალისტური ორიენტაცია აირჩია. XX საუკუნის 60-70-იან წლებში ეს ქვეყანა წარმოადგენდა აფრიკული სოციალიზმის საჩვენებელ მოდელს. ამ მოდელში ასახული იყო "აფრიკული პოლიტიკის ზოგიერთი იდეა, პროგრესული კათოლიციზმი და ბრიტანული ლეიბორიზმი". მიუხედავად იმისა, რომ ტანზანია ყველაზე მეტ გრანტს ღებულობდა, იგი, ერთდროულად, ყველაზე მაღალი ტემპით ღარიბდებოდა. ეს აიხსნებოდა ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების დაბალი ორგანიზებულობით, რომლის მიზეზით მიწოდებული დახმარებები არაგონივრული პოლიტიკის გამტარებელ რეჟიმს ამყარებდა.

სხვა კონცეფციაში სიღარიბე განიხილება როგორც საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებისა და სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის სტრუქტურაში ცვლილებების შედეგი. საერთაშორისო კორპორაციები ეძებენ იაფი სამუშაო ძალის ქვეყნებსა და რეგიონებს. ეს იმას იწვევს, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებული ქვეყნები ხელოვნურად აფერხებენ ხელფასის ზრდას, რაც იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას. იმის მიუხედავად თუ რა არის სიღარიბის წარმოშობის პირველადი მიზეზი, რადგან იგი წარმოიშვა, ეს იწვევს სიღარიბის თვით კვლავწარ-

[1] *Sorman G., La nouvelle richesse de Nation.Paris, Fayard, 1987, გვ. 259.*

მოებას. ქვეყნის მოსახლეობის რაც უფრო მეტი პროცენტი იმყოფება სიღარიბის ზღურბლთან ან მის ახლოს, მით უფრო მეტი შანსი აქვს ამ ქვეყანას აღმოჩნდეს "სიღატაკის მანკიერ წრეში". მართლაც, თუ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ღარიბია, მას არ შეეძლება საქონლისა და მომსახურების შეძენა, რომელთა შედეგი იქნება წარმოებითი ინვესტიციის უკმარისობა, რაც გამოიწვევს ეკონომიკის განვითარების შეუძლებლობას და მუშათა ხელფასის დაცემას. წრე შეიკრა და კვლავ იგივე პროცესი განმეორდება და ა. შ. თუ განვითარებულ ქვეყნებში შესაძლებელია აბსოლუტური სიღატაკის აღმოფხვრა, ამას ვერ ვიტყვით შედარებით სიღარიბეზე.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა საქართველო. ეკონომიკის ზრდის შთამბეჭდავი ტემპების მიუხედავად, სიღარიბის დონე და ღარიბთა რიცხვი კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. მსოფლიოს ბანკის მონაცემებით, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004-2008 წლებში საქართველოში მოსახლეობა 1,2%-ით შემცირდა და ქართველები უკვე რამდენიმე წელია მაღალი ხარისხის დეპრივაციას განიცდიან, რადგან მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე დაბლა ცხოვრობს.[1] ამასვე ადასტურებს გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემები, რომელშიც აღნიშნულია, რომ 2000-2006 წლებში საქართველოში სიღარიბის დონემ შეადგინა 54,5%, ხოლო 2007 წელს უღარიბესი მოსახლეობა (10%) წილი ქვეყნის მთლიან შემოსავალში შეადგენდა 1,9%-ს, ხოლო უმდიდრესი მოსახლეობის 10%-ის წილი შეადგენდა 15,9%-ს.[2] სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა საქართველოში გრძელდება დღესაც.

მკვლევართა ნაწილი სიღარიბის შენარჩუნების მთავარ მიზეზად თვლიან ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის უსამართლო განაწილებას, რომლის გამო, ეკონომიკურ ზრდას არ მოყვება ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკური ზრდის, შემოსავლის განაწილებას და სიღარიბეს შორის კავშირის მთავარი ასპექტების განხილვის აუცილებლობა. კერძოდ:

---

[1] *rttp://www.commersant.ge*

[2] *Доклад о развитии человека 2009, изд. "Весь мир", 2009, გვ. 177-196.*

1. როგორია შედარებითი უთანასწორობის ხარისხი მოცემულ ქვეყანაში თუ რეგიონში და იგი როგორ თანაფარდობაშია აბსოლუტური გაღატაკების მასშტაბთან?
2. ვინ მიეკუთვნება ღარიბთა კატეგორიას და ამ ფენის ეკონომიკური მახასიათებლები?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა დაკავშირებულია შემოსავლის განაწილების პრობლემასთან.

შემოსავლების უთანაბრო განაწილებას და აქედან გამომდინარე, სიღარიბის გამწვავების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მეცნიერთა ნაწილი გლობალიზაციას ასახელებს. ასეთები არიან ნობელის პრემის ლაურეატი ამართეა სენი, ლორა დ'ანდრეა თაისონი და სხვები.

ამართია სენი ამტკიცებს, რომ უთანასწორობა გლობალიზაციის მთვარი პრობლემაა და რომ ეს "უმნიშვნელოვანესი საკითხი დაკავშირებულია გლობალიზაციიდან პოტენციალური ხელსაყრელობის განაწილებასთან მდიდარ და ღარიბ ქვეყნებსა და ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებს შორის".[1]

კლინტონის ადმინისტრაციაში ეროვნული ეკონომიკის შესახებ ყოფილი მრჩეველი **ლორა დ'ანდრეა თაისონი** და სხვებიც ამტკიცებენ, რომ "გლობალიზაციის ზრდის კვალობაზე ღარიბი ქვეყნების საშუალო სულადობრივი შემოსავლის ჩამორჩენა შედარებით გადიდდა"[2], ანუ გლობალიზაციის მოწინააღმდეგეები, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავენ მქონებელთა და არამქონებელთა შორის უთანასწორობის ზრდას, რომელიც, უპირატესობას აძლევს მდიდრებს, ღარიბებს კი მისგან მხოლოდ დამატებითი სიძნელეები უჩნდებათ. სხვა მოსაზრებით, ეს შეხედულება აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს (ეკონომისტები **დეივიდ დოლარი და ართ კრაო**).

დღეს კი გლობალიზაცია აღარიბებს თუ პირიქით ხელს უწყობს სიღარიბიდან გამოსვლას სადისკუსიო საკითხია.

---

[1] *Amartya Sen. A World of Extremes: Ten Theses on Globalization. Los Ageles times, July 17, 2001.*

[2] *Joan Spero and Laure D'Andrea Tyson. "New World, New Deal", Foreign Affairs (March-April, 2000), გვ. 80-98.*

I.§3. უმუშევრობა, როგორც სიღარიბის საფუძველი

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა **უმუშევრობა**, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს, იქცევა „ჭარბ“ მოსახლეობად და ქმნის შრომის სარეზერვო არმიას.

უმუშევრობა, როგორც სოციალური მოვლენა, განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა გასული საუკუნის დასაწყისში (ინგლისი). XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში კი მასობრივი უმუშევრობა გახდა მრავალი კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიკური თანამგზავრი. თანამედროვე პირობებში იგი ფაქტობრივად ქრონიკულ ხასიათს ატარებს.

საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის თანმხლები სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. უმუშევრობის პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ვერ იყენებს თავის სამუშაო ძალას, შრომის ბაზარზე დარღვეულია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობა, სახელდობრ, სამუშაო ძალის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას. მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა შეიძლება არსებობდეს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. უმუშევრობის მიზეზები მრავალფეროვანია. მათ შორის უმთავრესია მექანიზაცია და წარმოების ავტომატიზაცია, ეკონომიკის დაცემა, კრიზისი.

ავტომატიზაცია წარმოადგენს უმუშევრობის განმაპირობებელ წამყვან ფაქტორს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ერთადერთს. ამ საქმეში თავის როლს თამაშობენ უამრავი სხვა სოციალურ-ეკონომიკური და ორგანიზაციულ-მმართველობითი ფაქტორები. მათ რიცხვში, პირველ რიგში, აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ გატარებული მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკა, დასაქმების სამსახურების საქმიანობის სისტემა და ორგანიზაცია, უმუშევრობისათვის დახმარების მოცულობა და გაცემის პრაქტიკა, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე, სამუშაო ძალის ხარისხი, მუშათა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობები. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საინვესტიციო და ტექნიკური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზებას.

უმუშევრობის დონე ასევე განისაზღვრება ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობით. ის განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთელი მსვლელობით და წარმოადგენს ადამიანის საწარმოო შესაძლებლობებისა და შრომაზე უფლებების არათანაბარი განაწილების შედეგს.

უმუშევრობა ბევრად არის დამოკიდებული ეკონომიკური ციკლის ერთ-ერთ ფაზასთან - დაქვეითებასთან. დაქვეითება არის ეკონომიკური დაღმავლობა. იგი აღნიშნავს წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდის ადრინდელი ტემპის დაცემას.

დასაქმება ყველა დემოგრაფიულ ჯგუფში, როგორც წესი, მცირდება დაქვეითების დროს. მაგალითად, 1973-1982 წლებში ყველა ჯგუფში უმუშევრობა ორჯერ გაიზარდა, მაგრამ უმუშევრობის ხანგრძლივობა რასისა და სქესის მიხედვით განსხვავებულია.

უმუშევრობა შეიძლება მაშინაც აღმოცენდეს, როცა მუშაკებს არ სურთ შეთავაზებულ ხელფასზე მუშაობა. ამ სახის უმუშევრობას უწოდებენ **ნებაყოფლობით უმუშევრობას**. აღნიშნული მუშაკები მუშაობას მაშინ დაიწყებენ თუ ანაზღაურებას მოუმატებენ. ნებაყოფლობითი უმუშევრობა მაშინაც წარმოიშობა, როცა მუშაკისათვის მიცემული სამუშაო „არაპრესტიჟულია“, ან ხელს არ უწყობს მის შემოქმედებით განვითარებას, ან როცა იგი ვერ ეგუება შრომით კოლექტივს, ან მისი შრომა ნაკლებმწარმოებლურია და სხვ.;

უმუშევრობა გარკვეულწილად განპირობებულია საცხოვრებელი ადგილის შეცვლით. მაგრამ უმუშევრობის მთავარი მიზეზი მაინც სამუშაოს იძულებითი დაკარგვაა. ეკონომიკის დაქვეითების დროს იზრდება სამუშაოს დამკარგავთა რიცხვი, ახალი სამუშაოს პოვნას კი დიდი დრო სჭირდება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **იძულებით უმუშევრობასთან.** იგი წარმოიქმნება მოუქნელი **შრომის ფასის პირობებში** და ეხება **რეალური ხელფასის სიმკვეთრეს** ანუ მის მოუქნელობას, საკმარის წონასწორობაში მოიყვანოს ბაზარზე წარმოშობილი მიწოდება და მოთხოვნა. როცა ხელფასი იმყოფება სამუშაო ძალის მიწოდებისა და მოთხოვნის წონასწორობის შესაბამის დონეზე მაღლა, მაშინ შრომის ბაზარზე წარმოიშობა მიწოდების სიჭარბე და გაიზრდება უმუშევრობის დონე. ამ შემთხვევაში, მუშა იმიტომ კი არ ხდება უმუშევარი, რომ მას სურს მისი კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაოს პოვნა, არამედ იმის გამო, რომ მოცემული ხელფასის დონის პირობებში,

შრომის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას და ის იძულებულია, დაელოდოს სამუშაოს მიღებას. სამუშაო ადგილის უკმარისობის ასეთ სიტუაციას ეწოდება **მოლოდინის უმუშევრობა.** ამ სახის უმუშევრობის წარმოშობა დაკავშირებულია ხელფასის სიმკვეთრის (მოუქნელობის) სამ მიზეზთან. ესენია:

1. კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ;
2. პროფკავშირების მონოპოლიური ძალის არსებობა;
3. საწარმოების მიერ მასტიმულირებელი ხელფასის დაწესება.

უმუშევრობის სახეები. განასხვავებენ უმუშევრობის სამ სახეობას:

1. **ფრიქციული უმუშევრობა** (Friction - უთანხმოება). ამ სახის უმუშევრობას წარმოშობს მოსახლეობის ერთი რეგიონიდან მეორეში, ერთი პროფესიიდან მეორეში მუდმივი მოძრაობა. იგი, აგრეთვე, განპირობებულია ცხოვრების სხვადასხვა ეტაპით (სწავლა, ბავშვების მოვლა, პენსია...). ამ გაგებით, ფრიქციული უმუშევრობა არსებობს სრული დასაქმების დროსაც კი. ამის გამო, მას ხშირად განიხილავენ, როგორც ნებაყოფლობით უმუშევრობას. განსაზღვრული ზომით ფრიქციული უმუშევრობა სასურველია, რამდენადაც ბევრი მუშა, რომელიც ნებაყოფლობით აღმოჩნდა „ორ სამუშაოს შორის“, დაბალანაზღაურებად, მცირე მწარმოებლური სამუშაოდან გადადის მაღალ-ანაზღაურებად და უფრო მწარმოებლურ სამუშაოზე. ეს კი არის შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება და მეტი ეროვნული პროდუქტის რეალური მოცულობის მიღება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად უმუშევრობა მაშინ გადაიქცევა პრობლემად, როცა იგი გადააჭარბებს ფრიქციულ დონეს. ფრიქციული უმუშევრობა კი არავითარ სერიოზულ პრობლემას არ წარმო-შობს, რამდენადაც იგი ასახავს სამუშაო ძალის ჩვეულებრივ დენადობას. მაგრამ „ჩვეულებრივი სამუშაო ძალის დენადობა“ არ წარმოგვიდგება დროში განსაზღვ-რულ და უცვლელ სიდიდედ. პირიქით, იგი უფრო ცვალებადია, ვიდრე მუდმივი სიდიდე და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

2. **სტრუქტურული უმუშევრობა.** ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნევლად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც ეწოდება **სტრუქტურული უმუშევ-რობა.** ეს უკანასკნელი მაშინ გვაქვს, როცა სამუშაო ძალის მიწოდება და

მასზე მოთხოვნა ერთმანეთს არ ემთხვევა. მეტწილად იგი დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებასთან და საკმაოდ მყარი სიდიდეა.

3. **ციკლური უმუშევრობა.** ციკლური უმუშევრობა დაკავშირებულია ეკონომიკის ციკლის ფაზების ცვლილებებთან. ციკლური უმუშევრობა მოწმობს შრომის ბაზრის მდგომარეობის გაუარესებას. დაქვეითების ფაზა წარმოშობს ეკონომიკის ყველა დარგში, სფეროში თუ რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაცემას, რომელიც იწვევს უმუშევრობის ზრდას. დაქვეითების შემდეგ ეკონომიკური გამოცოცხლება კი ადიდებს მოთხოვნას სამუშაო ძალაზე და ამცირებს უმუშევრობას. აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ უმუშევრობა შეიძლება აიხსნას მხოლოდ შრომაზე არასაკმარისი მოთხოვნით. უმუშევრობის დონე ყალიბდება გადაწყვეტილებათა კომპლექსის საფუძველზე, რომელსაც ის ღებულობს, ვინც თავის შრომას სთავაზობს და ისიც, ვინც მასზე მოთხოვნას ადგენს.

ამრიგად, ეკონომიკაში არსებობს ნებაყოფლობითი და იძულებითი უმუშევრობა. **ნებაყოფლობითი უმუშევრობა** წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც არ სურთ მუშაობა შეთავაზებულ ხელფასზე, მაგრამ იმუშავებენ, თუკი ანაზღაურება გაიზრდება. გარდა ამისა, არის მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ სურს მუშაობა. **იძულებითი უმუშევრობა** წარმოიქმნება შრომის მოუქნელი ფასისა და ფიქსირებული ხელფასის პირობებში. მაგალითად, თუ ხელფასი მაღალია საბაზრო წინასწორობის პოზიციებიდან და არ ეცემა, მაშინ შრომის მიწოდება ჭარბია და სამუშაო ადგილებს იღებს მხოლოდ მუშაკთა ნაწილი, დანარჩენები კი იძულებითი უმუშევრები ხდებიან.

ეკონომიკური ციკლის ფაზების მიხედვით უმუშევრობის დონე ხან მაღალია, ხან დაბალია, ხან კი - ნორმალური, ე. ი. ისეთი, რომელსაც **ბუნებრივს** უწოდებენ.

სრული დასაქმების პირობებში უმუშევრობის დონეს **უმუშევრობის ბუნებრივი დონე** ეწოდება. უმუშევრობის ბუნებრივი დონე წარმოდგენილია, როგორც უკიდურესად დასაშვები დონე. უმუშევრობის ბუნებრივი ნორმა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და საკმაოდ მობილური. მაგალითად, აშშ-ში 60-იანი წლების დასაწყისში უმუშევრობის ბუნებრივი დონე შეადგენდა 4%-ს, ხოლო 80-

იან წლებში - 6-7%-ს. ბუნებრივი დონის ასეთი ზრდა მიჩნეულია ერთ-ერთ არასასურველ ტენდენციად.

უმუშევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. შედარებით ადვილად ხორციელდება უმუშევრობის ეკონომიკური შედეგების შეფასება, ხოლო სოციალური შედეგები, რომელიც რთული გასამიჯნია და ატარებს კომპლექსურ ხასიათს, სრულყოფილად ვერ ფასდება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, სოციალური სიტუაციის კონკრეტულ პარამეტრებზე.

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოში მკვეთრად ამცირებს როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების შემცირებაა. ეროვნულ დონეზე უმუშევრობა, უწინარეს ყოვლისა, ამცირებს მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობას. ამ მოვლენათა ურთიერთკავშირი ასახულია ე. წ. ოუკენის კანონში, რომლის თანახმად, თუ „უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ბუნებრივ დონეს გადააჭარბებს 1%-ით, მაშინ მშპ-ს ჩამორჩენა შეადგენს 2,5%-ს. როდესაც სამუშაოს მსურველთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკვალოდ იკარგება, რასაც ეკონომისტები უწოდებენ **ჩამორჩენას მთლიანი ეროვნული პროდუქტიდან**. უფრო კონკრეტულად, იგი იანგარიშება როგორც სხვაობა პოტენციურ მთლიან ეროვნულ პროდუქტსა (მეპ) და ფაქტობრივ ეროვნულ პროდუქტს შორის. პოტენციური ეროვნული პროდუქტი განისაზღვრება იმ დაშვებით, რომ მიღწეულია უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების პირობებში.

ეკონომიკური დანაკარგების გაანგარიშებისას, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, უმუშევრობის ბუნებრივ დონედ აიღება 5-7%. უმუშევრობის ბუნებრივ დონედ მიჩნეულია ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამი. ასეთი მიდგომა მოხერხებულია, როცა შესაძლებელია უმუშევრობის ცალ-

კეული სახეების გამიჯვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკაში უმუშევრობის დანაკარგების შეფასება ხდება „უმუშევრობის ბუნებრივი დონის“ კონცეფციის საფუძველზე, რადგან ეს უკანასკნელი დამაჯერებლადაა დასაბუთებული. მისი გამოყენება საქართველოში გარკვეულწილად შეზღუდულია, რადგან შეუძლებელია უმუშევრობის ამა თუ იმ სახის ფრიქციულ, სტრუქტურულ თუ ციკლურ უმუშევრობისათვის მიკუთვნება. მიუხედავად ამისა, გარკვეული დაშვებებით და შესაბამის მეთოდიკაზე დაყრდნობით შესაძლებელია უმუშევრობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების მიახლოებითი გაანგარიშება. უმუშევრობა ძირითადად ნეგატიური შედეგების მომტანია, მაგრამ მას აქვს დადებითი მომენტებიც (ცხრილი 1).

ცხრილი 1

უმუშევრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები[1]

	დადებითი შედეგები	უარყოფითი სედეგები
სოციალური შედეგები	➢ სამუშაო ადგილის სოციალური სტატუსის და დატვირთვის ამაღლება; ➢ პირადი თავისუფალი დროის ზრდა; ➢ სამუშაო ადგილის არჩევანის თავისუფლება; ➢ შრომის სოციალური მნიშვნელობისა და როლის ამაღლება.	➢ საზოგადოების მთავარი მწარმოებლური ძალის ფუნქციონირების ეფექტიანობის შემცირება; ➢ მოსახლეობის ძირითადი ფენების ცხოვრების დონის დაქვეითება; ➢ სოციალური დაძაბულობა და პოლიტიკური დესტაბილიზაცია; ➢ კრიმინალური მდგომარეობის გაუარესება; ➢ შრომითი აქტივობის დაქვეითება; ➢ ფიზიკური და სულიერი დაავადებების ზრდა; ➢ სოციალური დიფერენციაციის ზრდა.
ეკონომიკური შედეგები	➢ სამუშაო ზალის რეზერვის შექმნა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისათვის; ➢ კონკურენცია მომუშავეებს შორის, როგორც შრომის სტიმულის, უნარის გაუმჯობესების საშუალება; ➢ თავისუფალი დრო გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ➢ შრომის მწარმოებლურობისა და ინტენსივობის ზრდის სტიმულირება.	➢ მთლიანი შიდა პროდუქტის დანაკარგები, წარმოების მასშტაბების შემცირება; ➢ მომზადებაზე გაწეული ხარჯების არაეფექტიანობა; ➢ უმუშევრებზე გაწეული შემწეობების ხარჯების ზრდა; ➢ კვალიფიკაციის დაქვეითება; ➢ საგადასახადო შემოსავლების შემცირება.

თანამედროვე პირობებში ყველა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა ახორციელებს დასაქმების რეგულირებას. ამ სფეროში რეგულირების მიზანია კვლავ-

[1] *ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013, გვ. 93.*

წარმოების პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფა, აგრეთვე შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობის შერბილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმუშევრობას ძირითადად იწვევს ეკონომიკის დაცემა. რაც წინა კრიზისულ პერიოდში და კრიზისის დროს ხდება. მაგრამ როგორც ამერიკელი მეცნიერი პოლ ჰაინე აღნიშნავს, იგი არ იწყება ნულიდან და დაცემის დამთავრების შემდეგ არ ჩამოდის ნულამდე".[1] "ჰაინეს მოყავს მაგალითი იმისა, რომ 1944 წელს, ანუ მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა სამუშაო ძალის ერთი მეექვსედი არმიაში მსახურობდა, როცა დიდი იყო მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე, და, ყველა, პენსიონერებიც კი, კვირაში 6-7 დღე მუშაობდა, აშშ-ში შრომის-უნარიანი მოსახლეობის 1,2% უმუშევარი იყო.

მაგრამ პოლ ჰაინეც და სხვა მეცნიერებიც თვლიან, რომ უმუშევრობის გარკვეული რაოდენობა, არ უნდა გვაღელვებდეს, ის არ ქმნის პრობლემას. მთავარია უმუშევრობამ არ მიაღწიოს "პრობლემურ დონეს".

ადამიანები, რომლებიც უმუშევრებად ითვლებიან, იმიტომ რომ არ მუშაობენ, ერთგვაროვანი არ არიან. მათი ნაწილი არ მუშაობს იმიტომ, რომ არანაირი სამუშაო არ მოწონს, მეორე ნაწილი ეძებს მისთვის მისაღებ სამუშაოს, მესამე კი - ყველანაირ სამუშაოზე თანხმდება. სწორედ ისინი, ვისაც არანაირი სამუშაო არ მოსწონს, მუდმივად იქნება უმუშევარი. რადგან ასეთი ადამიანები არსებობენ, ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობის რაღაცა დონე ყველა ქვეყანაში არსებობს. აი, სწორედ მას მეცნიერებმა უმუშევრობის ბუნებრივი დონე უწოდეს და ჩათვალეს, "რომ უმუშევრობა სამუშაო ადგილების ნაკლებობით კი არ არის გამოწვეული და მის ზრდასაც სამუშაო ადგილების უკმარისობის ზრდა კი არ იწვევს, არამედ იმ მოსალოდნელი შემოსავლებისა და დანახარჯების შეფასებაში ცვლილება, რაც დაკავშირებულია სამუშაოზე მოწყობასთან, ანდა მის ძებნასთან". საქმე ისაა, რომ ეს შემოსავლებიც და დანახარჯებიც ინდივიდუალურია - ვისთვის ხარჯებია მეტი, ვისთვის შემოსავლები. აქედან გამომდინარე, თუ ქვეყანაში უმუშევრათა სახელმწიფო შემწეობები მაღალია და თან მათი მიღების კრიტერიუმებიც არ არის მკაცრი, ისინი ვისაც საერთოდ მუშაობა არ მოსწონს, არ იმუშავებენ, ანუ უმუშევრებისთვის მთავრობის მიერ მიცემული მაღალი კომპენსაცია ამცირებს

[1] *Пол Хейне, Экономический образ мышления, М., 1991, გვ. 493.*

მათი დასაქმების აუცილებლობის სიმწვავეს და აზარმაცებს მათ. მეტიც, მათ შეიძლება დაემატონ ისინიც კი, ვისაც თითქოს უნდა მუშაობა, მაგრამ მაინცდამაინც არ აქტიურობს. ალბათ ამის მიზეზით იყო, რომ ჰოლანდიაში, ქვეყანაში სადაც უმუშევრებს კომპენსაციის სახით ეძლევათ მომუშავე ადამიანის წმინდა შემოსავლის 75%-დან 99%-მდე, 1984 წელს იყო 18%-იანი უმუშევრობა.[1] პოლ ჰაინე გაკვირვებას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ უმუშევრობა ჰოლანდიაში იყო 18% და არა მეტი, რადგან საქართველოსნაირ ქვეყანაში უმუშევრებს რომ სახელმწიფო მომუშავის ხელფასის 75-99%-ს აძლევდეს, მაშინ დასაქმებულთა სულ მცირე 99% გადავიდოდა უმუშევართა რიგებში.

საქართველოში უმუშევართა დახმარება მეტად მიზერულია. შედეგად, თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობა რამდენადმე სახელმწიფო შემწეობებით არის წახალისებული, საქართველოში ეს ასე არ არის. საქართველოში უმუშევრობა სამუშაო ადგილების ნაკლებობას უკავშირდება - დაინგრა სოციალისტური ეკონომიკა, მოიშალა კავშირები, დაიხურა არაკონკურენტუნარიანი მრავალი საწარმო - საბჭოური ფაბრიკები და ქარხნები, შედეგად წარმოიშვა დასაქმების პრობლემა, რომელიც საბჭოთა საქართველოში არ არსებობდა. მაშინ მოსახლეობას სახელმწიფო ასაქმებდა, ეხლა კი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ სახელმწიფო "გავიდა თამაშიდან" და ეს ფუნქცია თვითონ ხალხს გადაბარა. მათ მიეცათ უფლება გაეკეთებინათ ყველაფერი ის, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ იყო აკრძალული, მაგრამ ცალკეული გამონაკლისების გარდა, მოსახლეობა ამისთვის არ იყო მომზადებული. მათ საბაზრო ეკონომიკაზეც და თვითდასაქმებაზეც, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ქონდათ. ეს დღემდე გრძელდება, მაგრამ უკვე არა იმ დოზით. კერძო სამეწარმეო სექტორში ამჟამად 492240 კაცია დასაქმებული (2013 წელი),[2] თვითდასაქმებული კი 1043800 კაცია, მაშინ კი - საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარიჟრაჟზე მათი რიცხვი ალბათ, თითებზე ჩამოსათვლელი იყო.

ამჟამად საქართველოში უმუშევრობის დონე 12,3%-ია. ეს 2020 წლის მეორე კვარტლის ოფიციალური სტატისტიკით, სინამდვილეში, კი იგი უფრო მაღალია.

---

[1] *Пол Хейне, Экономически образ мышления, М., 1991, გვ. 502.*

[2] *მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2014, გვ. 112.*

მაგრამ ეს არ არის მოსახლეობის სიზარმაცით გამოწვეული, ანდა ჰოლანდიისგან განსხვავებით უმუშევრებისთვის მაღალი სახელმწიფო შემწეობის გამო, მათი გაზარმაცებით გამოწვეული. ეს ნამდვილი სამუშაო ადგილების უქონლობით გამოწვეული უმუშევრობაა, და, რაღა თქმა უნდა, რომ რადგან მათ არც სახელფასო შემოსავალი აქვთ და არც რამდენადმე საკმარისი სახელმწიფო შემწეობა, ისინი სრულ სიღატაკეში ცხოვრობენ.

მეცნიერები დღემდე კამათობენ იმაზე, თუ რა სჯობს: მივცეთ უმუშევრებს მაღალი სახელმწიფო შემწეობა და ამით გავაზარმაცოთ ისინი, თუ არ მივცეთ და ამით ვაიძულოთ იაქტიურონ - ეძებონ სამუშაო, შეიცვალონ პროფესია, დაიწყონ ბიზნესი და ა. შ. ეს საკითხი ცალკე კვლევის თემაა, რომელიც არა თუ საქართ-ველოში, მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი არ არის გადაწყვეტილი. ამდენად ამ თემაზე მსჯელობისგან ჩვენ თავს შევიკავებთ.

ამრიგად, ორი აზრი არ არის იმაში, რომ უმუშევრობა საქართველოში არის სიღარიბის ძირითადი გამომწვევი ფაქტორი, მისი საფუძველთა - საფუძველი და საქართველოს მოსახლეობას რომ ჰქონდეს სამუშაო, ქვეყანაში გამეფებული სიღარიბე ადვილად დაიძლეოდა.

თავი II. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში

II.§1. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი 2001-2020 წლებში

ანალიზი, საქართველოში უმუშევრობის არსებულ მდგომარეობაზე, მოიცავს ორ პერიოდს: 2001-2007, 2008-2020 წლებს.

ცხრილი 2 გვიჩვენებს უმუშევართა რიცხვს და დონეს მკაცრი კრიტერიუმის მიხედვით. ცხრილიდან ჩანს, რომ 2001 წელს საქართველოში ეკონომიკურად აქტიური იყო 2113,3 ათასი კაცი, აქედან 235,6 ათასი კაცი, ანუ 11,1% იყო უმუშევარი, 88,9% კი დასაქმებულები. ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ 2001-2007 წლებში უმუშევრობა საქართველოში კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. თუ იგი 2001 წელს შეადგენდა 11,1%-ს (235,6 ათასი კაცი), 2007 წელს შეადგინა 13,3% (261 ათასი კაცი), ანუ გაიზარდა 25,4 ათასი კაცით. რადგან შემდგომ პერიოდშიც დასაქმების მიმართულებით არავითარი მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოში არ გატარებულა, უნდა ვივარაუდოთ, რომ უმუშევრობის დონე კი არ შემცირდებოდა, კიდეც გაიზრდებოდა. შემდეგ ვნახავთ, რომ ეს ასეც მოხდა.

ცხრილი 2

უმუშევრობის დონე საქართველოში (ათ. კაცი)[1]

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა - სულ მათ შორის:	2113,3	2104,3	2050,4	2041	2023,9	2021,3	1965,3
დასაქმებულები	1877,7	1839,2	1814,5	1783,3	1744,8	1747,3	1704,3
უმუშერვები	235,6	265	235,9	257,6	279,3	274,6	261,0
პროცენტები ჯამთან:							
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მათ შორის:	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0
დასაქმებულები	31,0	30,9	30,2	29,4	29,7	29,9	31,8
უმუშევრები	11,1	12,6	11,5	12,6	13,8	13,6	13,3

[1] *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2008, გვ. 42.*

ცხრილი 2-ის მიხედვით საერთოდ შემცირებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვი 2113,3 ათასი კაციდან 1965,3 ათას კაცამდე, ანუ 148,1 ათასი კაცით. ამის შედეგად შემცირდა დასაქმებულების რიცხვიც. ამის მიზეზი არის შრომისუნარიანი ქართველი მოსახლეობის მიგრაცია საზღვარგარეთ, ხოლო ამ უკანასკნელს კი იწვევს საქართველოში სამუშაო ადგილების არქონა და ამის შედეგად ქვეყანაში გამეფებული ქრონიკული სიღარიბე.

საქართველოში უმუშევრად არსებულთა საერთო რიცხვიდან დასაქმების სამსახურში მხოლოდ მათი ნაწილია რეგისტრირებული. ცხრილი 3 გვაწვდის ცნობებს მათ შესახებ. ამ ცხრილის მიხედვით ვიგებთ, რომ 2007 წელს საქართველოში დასაქმების სამსახურში რეგისტრირებული იყო მხოლოდ 29,9 ათასი კაცი, მ. შ. 15,9 ათასი ქალი. საერთოდ, საქართველოში უმუშევართა რიცხვი რეგისტრირებულზე უფრო დიდია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ უმუშევართა დიდ ნაწილს დარეგისტრირებით სამუშაოს შოვნის დიდი იმედი არა აქვს, ამიტომ ისინი ამ სამსახურს იგნორირებას უკეთებენ. ამასთან, არც ის შემწეობაა ხელშესახები, რომელსაც დარეგისტრირებული უმუშევრები იღებენ.

ცხრილი 3

რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების და უმუშევრების რაოდენობა (ათ. კაცი)

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლები	122,2	114,5	39,3	48,7	47,9	30,4	30,5
რეგისტრირებული უმუშევრები, მათ შორის:	117,3	109,5	37,0	45,9	46,9	29,8	29,9
ქალი (ათასი) იგივე %-ად	61,8 52,7%	60,9 55,6%	16,6 44,9%	21,6 47,1%	23,0 49,0%	15,8 53,0%	15,9 53,1%
უმუშევართა რიცხვი, რომლებიც იღებენ უმუშევრობის შემწეობას (ათ. კაცი)	2,8	5,3	1,9	0,8	2,1	1,2	1,2
ერთ უმუშევარზე გაცემული შემწეობის საშუალო სიდიდე (ლარი) თვეში	11,8	11,7	13,2	14	19,7	16,4	17

II.§2. უმუშევრობის მდგომარეობის ანალიზი 2008-2020 წლებში

2008 წელს საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით 2007 წელთან შედარებით უმუშევართა რიცხვი 54,8 ათასით გაიზარდა და ამ მაჩვენებელმა 315,8 ათასი შეადგინა. გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენელთა განცხადებით კი მაშინ საქართველოში უმუშევართა რაოდენობა უკვე 400 ათას აღწევდა. ამ რაოდენობაში არ შედის 2008 წელს უმუშევრად დარჩენილი უამრავი ადამიანი, რომელთა აღრიცხვა არ ხდებოდა. მიუხედავად იმისა,რომ 2009 წლის დასაწყისში მთავრობის მთავარი საზრუნავი უმუშევრობის 13%-ის დონეზე შენარჩუნება იყო, ფაქტია, რომ მათ ეს ვერ მოახერხეს და უმუშევრობა 2013 წელს 14,6%-ის, ხოლო 2014 წელს - 12,4%-ის დონეზე დაფიქსირდა.

მაშასადამე, მოსახლეობის 13-14% უმუშევარია იყო. ეს ოფიციალური მონაცემებით. არაოფიციალურად ეს ციფრი ბევრად მეტია იმაზე, რასაც სახელისუფლო სტრუქტურის წარმომადგენლები ასახელებდნენ. სტატისტიკური დეპარტამენტი სისტემატურად აქვეყნებს მონაცემების უმუშევრობის შესახებ. თუ ადრე 11-12%-ს, ანუ დაახლოებით 200 ათას უმუშევარს აფიქსირებდა, 2013 წელს აღიარა, რომ უმუშევრობა 3%-ით გაიზარდა. ანუ ბოლო წელიწადნახევარში დაგვიკარგავს 90 ათასი სამუშაო ადგილი. მათ, აშკარაა, სწორი აღრიცხვა არ აქვთ და რეალურად ბევრად მეტი უმუშევარი გვყავდა ქვეყანაში.

2010 წლის ივლისში საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, კითხვაზე, რომელი ეროვნული საკითხია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, გამოკითხული მოსახლეობის 65 პროცენტი სამუშაო ადგილებს ასახელებდა. აღნიშნული კვლევის თანახმად, სამუშაო ადგილების მნიშვნელობა მოსახლეობისათვის საგრძნობლად აღემატება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ან ნატოში გაწევრიანების საკითხს. ამავე კვლევის თანახმად, გამოკითხული მოსახლეობის 47 პროცენტი თვლის, რომ 2008 წლის იანვრის შემდგომ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით მათი მდგომარეობა გაუარესდა. კითხვაზე: რა საკითხებზე ისურვებდით,

რომ ახლად არჩეულ ადგილობრივ ხელისუფლებას ყურადღება გაემახვილებინა, მოსახლეობის 83% კვლავ დასაქმების პრობლემას ასახელებდა. ამავე კვლევის თანახმად, მოსახლეობის 71% თავს დასაქმებულად არ მიიჩნევდა, ხოლო მოსახლეობის 48% თვლიდა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სამუშაო ადგილების რაოდენობა საქართველოში შემცირდა.

2010 წელს საკუთარი კვლევა უკვე შრომის საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმაც გამოაქვეყნა. კვლევაში გამოკითხული იყო საქართველოს მოქალაქეთა 44%. აქაც უმთავრეს პრობლემად კვლავ უმუშევრობა დასახელდა. ამ კვლევითაც უმუშევრობა საკუთარი მნიშვნელობით ტერიტორიული მთლიანობის პრობლემასაც კი აღემატება, გამოკითხულთა 66% კი უმუშევრობას მეორე რიგის პრობლემას აკუთვნებს. გამოკითხულთა 45% საკუთარი ოჯახის მთავარ პრობლემად სწორედ უმუშევრობას ასახელებს, ხოლო 53%-თვის უმუშევრობა მომდევნო რანგის პრობლემაა.

IRI-ის კვლევაში აღნიშნულია ისიც, რომ მოსახლეობა 2010 წელს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობებისაგან, პირველ რიგში, სწორედ დასაქმების საკითხის მოგვარებას ელოდა, კერძოდ, გამოკითხულთა 37% თვლის, რომ პირველ რიგში, ახლად არჩეულმა საკრებულოებმა უმუშევრობის პრობლემა უნდა მოაგვარონ, ხოლო 46% ასევე უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას უსახავს მიზნად საკრებულოებს, თუმცა ამ საკითხს მეორე ნომრად აყენებს.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგებისაგან განსხვავებულ სურათს გვაძლევს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. კერძოდ, ცხრილში 7 მონაცემებით საქართველოში 2008 წელს უმუშევრობის დონე 17%-მდე იყო, 2010 წელს კი, უკვე 16,3% იქნა მიჩნეული უმუშევრად, 2011 და 2012 წლებში - 15,1 და 15% შესაბამისად, 2013 წელს 14,6%, ხოლო 2014 წელს - 12,4%. ამას გვიჩვენებს ნახაზიც 1.

ცხრილი 4

უმუშევრობის მაჩვენებლები საქართველოში[1]

დასაქმება და უმუსევრობა	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათ. კაცი	1917,8	1991,8	1944,9	1969,3	2029,1	2003,9	1991,1
დასაქმებული, ათ. კაცი	1601,9	1656,1	1628,1	1664,2	1724,0	1712,0	1745,2
უმუშევარი, ათ. კაცი	315,8	335,6	316,9	296,1	305,1	291,8	246,0
უმუშევრობის დონე, %	16,5	16,9	16,3	15,1	15,0	14,6	12,4

ჰერთიჯის ფონდის მიერ შემუშავებული "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2011"-ის თანახმად, საქართველოში უმუშევრობა 16,4%-ს შეადგენდა. მაშინ როდესაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი შეუდარებლად დაბალი იყო. მაგალითად, ამავე წელს უმუშევრობა რუსეთში შეადგენდა 8,4%-ს, სომხეთში-6,9%-ს, აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 6%-ს უტოლდებოდა, ხოლო თურქეთში კი 12,5% იყო.

საინტერესოა, რატომ ხდება ისე, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვთავაზობს ერთ ინფორმაციას, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევები - მეორე, ალტერნა-ტიულ რეალობას გვიჩვენებს.

[1] *საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემები.*

ნახაზი 1. უმუშევრობის დონის დინამიკა საქართველოში



ცხრილი 5

უმუშევრობის მაჩვენებლები საქართველოში 2015-2020 წწ[1]

დასაქმება და უმუშევრობა	2015	2016	2017	2018	2019	2020 I	2020 II
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათ. კაცი	2018,0	1996,2	1983,1	1939,9	2911,2	1892.7	2919,8
დასაქმებული, ათ. კაცი	1733,8	1717,3	1706,6	1694,2	1690,2	1667.5	1684,0
უმუშევარი, ათ. კაცი	284,2	278,9	276,4	245,7	221,0	225.2	235,9
უმუშევრობის დონე, %	14,1	14,0	13,9	12,7	11,6	11.9	12,3

თუ დავაკვირდებით ცხრილს 5, უმუშევრობის დონის დინამიკას 2015-2020 წლებში, შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიხედვით 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე (უმუშევრების პროცენტული რაოდენობა სამუშაო ძალაში) 14.1% იყო, ხოლო 2016 წელს 14.0, თუმცა ეროვნულ-

[1] *საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის მონაცემები.*

დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 63% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევდა. მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რატომ არის ასეთი დიდი სხვაობა ოფიციალურ სტატისტიკასა და სოციოლოგიური კვლევების შედეგებს შორის. საქსტატი უმუშევრობის დასათვლელად საერთაშორისო მეთოდოლოგიას იყენებს. უმუშევრად ითვლება 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში. შესაბამისად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, ტაქსის მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა.შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, უმუშევრებად არ ითვლებიან. საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში 246 ათასი ადამიანი – უმუშევარი, ხოლო 1 780 ათასი დასაქმებულია, აქედან 1018 ათასი (57%) თვითდასაქმებულია (სოფლის მეურნეობაში, საცალო ვაჭრობაში და სხვა). სწორედ ამ ფორმით დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი არ მიიჩნევს თავს დასაქმებულად და სოციოლოგიურ გამოკითხვებში პასუხობს, რომ უმუშევარია. 753 ათასი ადამიანი არის დაქირავებით დასაქმებული და შესაბამისად, მათ არ აქვთ აღქმა, რომ უმუშევრები არიან. აქედან დაახლოებით 275 ათასი საჯარო სექტორშია დასაქმებული. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს 2017 წელს შეადგინა - 13.9%, ხოლო 2018 წელს შემცირდა და 12.7% იყო . ამავე წელს NDI-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ უმუშევრობის განსხვავებული მაჩვენებელი წარმოადგინა: მოსახლეობის 21 % -ზე მეტი უმუშევარი იყო და სამუშაოს ეძებდა. 2019 წელს უმუშევრობის დონე საქსტატის მონაცემებით 11.9 % იყო. ამავე წელს კი, IRI-ის კვლევამ აჩვენა რომ გამოკითხულთა 53% ასახელებს უმუშევრობას. ყველა ძირითად სოციოლოგიურ გამოკითხვაში უმუშევრობა მთავარ პრობლემად არის დასახელებული. კონკრეტულად IRI-ს კვლევაში, კითხვაზე რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა თქვენს ქალაქში ან სოფელში, 32% სწორედ უმუშევრობას ასახელებს. მომდევნო კითხვა, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა თქვენი

ოჯახისათვის. პირველ ადგილზე კვლავ დგას უმუშევრობა (23%), მეორეზე - მცირე ხელფასები (10%), მესამეზე - სიღარიბე (9%).
ამ ყოველივეს შემდეგ, როცა საქსტატი უმუშევრობის ბევრად დაბალ სტატისტიკას აქვეყნებს, ვიდრე სოციოლოგიურ გამოკითხვებშია ნაჩვენები, ცხადია პროტესტის გრძნობა ჩნდება ოფიციალური მაჩვენებლების მიმართ.

უკანასკნელი თვეების მანძილზე მსოფლიო პანდემიის ფონზე ქვეყნების მიერ დაწესებულმა შეზღუდვებმა ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი შენელება გამოიწვია. სხვადასხვა გაჩერებული სექტორი უამრავ დაკარგულ სამუშაო ადგილს გულისხმობს. საქართველოში საქსტატის მონაცემებით 2020 წლის პირველ კვარტალში აღინიშნებოდა უმუშევრობის დონე 11.9%-ით, ხოლო 2020 წლის მეორე კვარტალში არის 12.3%. რეალურად კი უმუშევრობა მკვეთრად გაიზარდა: რესტორნებისა და სხვა კვების ობიექტების, სასტუმროების, საცალო მაღაზიების, კულტურული და სპორტული დარბაზების, სათამაშო ორგანიზაციების, სატრანპორტო საშუალებების და ტურიზმის სექტორებში.

უმუშევრობა არ არის მარტივი პრობლემა, რომელსაც მარტივი გადაწყვეტა აქვს. მას მრავალი ახსნა გააჩნია და მასზე მრავალი სხვდასხვა ტიპის სახელმწიფო პოლიტიკა ზემოქმედებს.

უმუშევრობის დონის აბსოლუტური სიზუსტით დადგენა საკმაოდ რთულია, ვინაიდან სამუშაო ძალაში ჩართვა და სამუშაო ძალიდან გამოთიშვა საკმაოდ ხშირი მოვლენებია. ითვლება, რომ უმუშევართა მესამედზე მეტი სამუშაო ძალის ახალი წევრები არიან, ანუ ძირითადად ის ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდები არიან და პირველად ეძებენ სამუშაოს.

სინამდვილეში, უმუშევრობა მხოლოდ სამუშაოს მაძიებლის წარმატებით არ მთავრდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც პიროვნება სამუშაო ძალაში მონაწილეობას (ანუ სამუშაოს ძებნას) თავს ანებებს. მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოში დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც, ერთის მხრივ, თავს უმუშევრებს უწოდებენ, რეალურად სურთ კიდეც მუშაობა, თუმცა სამუშაო ადგილის წარუმატებელი ძიების შემდეგ, ამ მცდელობაზე უარი თქვეს. ეკონომიკაში ასეთ პერსონებს იმედდაკარგულ მუშახელს უწოდებენ, ანუ უმუშევრად დარჩენილ პირებს, რომლებსაც უმუშევრობის სტატისტიკა არ ითვალისწინებს.

საფუძვლიანი მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად სერიოზულად დგას საქართველოში უმუშევრობის პრობლემა, შესაძლებელია მხოლოდ ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ. კერძოდ, ქვეყანაში არსებული უმუშევრობა მოკლევადიანი პერიოდის სტანდარტული მოვლენაა, თუ საქმე გვაქვს გრძელვადიანი პერიოდის საფრთხესთან? ნებისმიერ შემთხვევაში, თუ უმუშევრობა მოკლევადიანი პერიოდის სტანდარტული მოვლენაა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდი პრობლემა არ არის. ასეთ შემთხვევაში სამუშაოს მაძიებლები, მაღალი ალბათობით, სწრაფად იპოვნიან შესაფერის სამუშაოს. გრძელვადიან პერიოდში კი საქმე ბევრად უფრო რთულ პრობლემასთან გვაქვს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რჩება სამუშაო ადგილის გარეშე, სულ უფრო დიდ ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიძნელეებს განიცდის.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს სამუშაო ძალის სტატისტიკას შინამეურნეობების (საოჯახო მეურნეობების) ინტეგრირებული გამოკვლევის საფუძველზე.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დასაქმების ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან არცთუ იშვიათია შემთხვევა, როდესაც საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია.

საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის მიხედვით.

ეკონომიკურად აქტიურ მოქალაქედ ადამიანი უკვე 15 წლის ასაკიდან მიიჩნევა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის მუშაობს ან დამსაქმებელს საკუთარ შრომას სთავაზობს.

საქართველოში დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, არამედ, მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით თვითონ დამოუკიდებლად (თვითდასაქმება) ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი, რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივვადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მარტივად რომ ვთქვათ, ზემოთაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოში თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ მეურნეობაში. მაგალითად, თუ ადამიანს აქვს მიწის ნაკვეთი ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდანაც მიღებულ პროდუქციას საკუთარი მოხმარებისათვის ან გასაყიდად იყენებს, დასაქმებულ ადამიანად ითვლება.

ქვეყანაში თვითდასაქმებულთა სფერო უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები არიან. მაგალითად, კერძო რეპეტიტორები, კერძო ტაქსის მეპატრონეები და მძღოლები, საცალო ვაჭრობით დაკავებული პირები (მათ შორის ბაზრობებზე მომუშავენი და ა. შ.), წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულად ითვლებიან. თუმცა, საქართველოში, გამომდინარე მათი მცირე შემოსავლებიდან, თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თავს დასაქმებულად არ მიიჩნევს. სწორედ ამის შედეგია IRI-ისა და NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებში დაფიქსირებული მაჩვენებლები. მაგალითად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ანაზღაურება სხვა სფეროებთან შედარებით (მაგალითად, სასტუმრო მომსახურება, ტრანსპორტი, სახელმწიფო მმართველობა) ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაბალია და მხოლოდ თევზჭერასა და განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალურ ანაზღაურებას მცირედით აღემატება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხშირად თვითდასაქმებული მოქალაქე, რომელსაც საარსებო მინიმუმზე თუნდაც 5-6-ჯერ მეტი შემოსავალი აქვს, თავს დასაქმებულად მხოლოდ იმიტომ არ თვლის, რომ მას "სახელმწიფომ არ მისცა სამსახური". საინტერესოა, ასეთი ადამიანი დათანხმდება თუ არა სახელმ-

წიფოს მიერ შემოთავაზებულ სამსახურს, სადაც ანაზღაურება უფრო ნაკლები იქნებოდა, ვიდრე ის გამოიმუშავებდა თვითდასაქმების დროს?.

უმუშევრები არიან ყოველთვის, ყველა ქვეყანაში, მაშინაც კი, როდესაც ქვეყ-ნის ეკონომიკა მთლიანად წარმატებულად ფუნქციონირებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, რომ ვერავითარი ხელოვნური სამთავრობო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის დონის შემცირებას. ამის მაგალითია თუნდაც 2004 წლის შემდგომ საქართველოში რამ-დენჯერმე განხორციელებული ე. წ. დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამა, თუმცა ამ პროგრამის შედეგი, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში ყოველთვის ნულოვანი იყო. გამომდინარე აღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიან პერიოდში უმუშევრობის დონის შემცირების ერთადერთი გამო-სავალი კერძო სექტორის გააქტიურება, განვითარება და აქედან გამომდინარე, მათი მხრიდან სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდაა.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობა უდიდესი ნეგატიური მოვლენაა. იგი წარმოადგენს პრობლემას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკასა და საზოგადოებაზე, ისე ცალკეულ სამეურნეო სუბიექტსა და თითოეულ ადამიანზე. მას, გარდა ეკონომიკურისა, აქვს სოციალური, პოლიტიკური, ფსიქო-ლოგიური და ა. შ. დატვირთვა. მაშასადამე, უმუშევრობა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: ხანგრძლივი უმუშევ-რობა ამცირებს საზოგადოებაში ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი, თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს ადგილი აქვს რა გამომუშავებული პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეც-ნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომი-კური განვითარების პროცესებზე, არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვა-დიან პერიოდშიც. უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას),

რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოგენური დაძაბულობის ზრდასთან.

მაგრამ უმუშევრობის მაღალი დონე თავად ეკონომიკურ განვითარებაში არსებული როგორც უარყოფითი (ბაზრისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ნაკლოვანებები), ისე დადებითი (გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციური ცვლილებები) ძვრების შედეგია. უმუშევრობის დროს ეკონომიკა შეიძლება იმყოფებოდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის, მაგრამ არა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში, რაც ბაზრისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებაა და მისი გამოსწორება მხოლოდ სახელმწიფოს სწორი ჩარევის შედეგადაა შესაძლებელი.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკური დაქვეითებით დაიწყო. იგი საქართველოში ყველაზე აშკარად და მძაფრად გამოიხატა. ბუნებრივია, ამ პროცესებს თან სდევდა უმუშევრობის მაღალი დონე.

ბევრმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ შეძლო გადაელახა სიძნელეები. ზოგმა კი, რომელთა შორისაცაა საქართველო, რეფორმების განხორციელების დროს დაშვებული შეცდომებისა და სხვა ობიქტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო. ამიტომ, დღესაც უმუშევრობის მაღალი დონე გვაქვს, ამასთან, უმუშევრობის სახეობებმაც ტრანსფორმაცია განიცადა. თუ თავდაპირველად სამუშაო ადგილები არსებობდა და საჭირო იყო მხოლოდ მათი ათვისება, ამჟამად ამ სამუშაო ადგილთა დიდი ნაწილი ფაქტობრივად განადგურებულია და უმუშევართა დასასაქმებლად საჭიროა ახალი ადგილების შექმნა, რომელთაგან უმეტესი პროფესიის შეცვლას ან კვალიფიკაციის ამაღლებას მოითხოვს. ე. ი. საქმე გვაქვს ტრანსფორმაციულ, სტრუქტურულ, ფრიქციულ და ციკლურ უმუშევრობასთან. გაჩნდა უმუშევრთა ახალი ფორმაც - უმუშევრობა ასაკის გამო ანუ უმუშევარი, რომელსაც სურვილი აქვს იმუშაოს, აქვს შესაბამისი კვალიფიკაციაც, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი ბარიერების გამო სამუშაოს ვერ პოულობს. მაგალითად, აქვს "დიდი" ასაკი, თუმცა, არა საპენსიო ასაკი. უმუშევრობის ამ გამოვლენას (რომელიც სხა ქვეყნებში ნაკლებადაა) შესაძლებელია ხელოვნური უმუშევრობა ვუწოდოთ.

უმუშევრობა არც ქართული ფენომენია და არც მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანას უდგას. მეტიც, მაღალგანვითარებული ქვეყნების მთავრობები აქტიურ პროგრამებსაც ახორციელებენ ამ მიმართულებით, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, უმუშევრობა მაინც ეზრდებათ. ორგანიზაცია ILO-ს დირექტორის ხუიან ხომავაიას განცხადებით, "სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მცდელობის მიუხედავად, უმუშევრობასთან დაკავშირებული კრიზისი არათუ ცხრება, არამედ, მატულობს და თუ სამუშაო ადგილების შექმნისაკენ სასწრაფოდ გლობალური კურსი არ იქნება აღებული, ამ დროისთვის დაფიქსირებულ 1,1 მილიარდ შრომისუნარიან უმუშევარს კიდევ ბევრი შეემატება".[1] 2012 წლის აპრილისთვის უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი ევროპაში 11% იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, იგი 8,2%-იან ნიშნულზე შენარჩუნდა. უცხოელი მეცნიერების აზრით, სანამ ფინანსური სისტემა არ გაჯანსაღდება, უმუშევრობის დაძლევაზე ფიქრი ზედმეტია. მათ მხედველობაში აქვთ ინვესტიციების მოცულობის ზრდა რეალურ სექტორში. ის, რაც აღვნიშნეთ, უცხოეთზე ეხება საქართველოსაც. საქართველო მიმზიდველი უნდა გახდეს ინვესტორებისთვის და ეს ინვესტიციები ძირითადად უნდა წარიმართოს არა ვაჭრობაში, როგორც ეს ეხლა ხდება, არამედ ეკონომიკის რეალურ სექტორში - მრეწველობასა და მშენებლობაში. ეს ორი დარგი არის ახალი სამუშაო ადგილების რეალური შემქმნელი და არა ვაჭრობა. სამწუხაროდ, ამჟამად ბანკების მიერ გაცემული სესხების უმრავლესობა დაბანდებულია ვაჭრობაში და მხოლოდ მწირი ნაწილი მშენებლობასა და მრეწველობაში ერთად.

II.§3. უმუშევრობის მიზეზები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

საქართველოში უმუშევრობის, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის არაერთი მიზეზი არსებობს. ეკონომიკური ხასიათის მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ:[2]

---

[1] *ღანიაშვილი მ., მსოფლიოში ყოველი მე-16 უმუშევარი იქნება, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №7-8, 2012, გვ. 6.*

[2] *აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები - 11, 2013, გვ. 227.*

ეკონომიკის ტრანსფორმაცია. საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაადგა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის რთულ გზას. ეს მოითხოვდა სრულიად ახალ სისტემაზე გადასვლას, რომლის დროსაც ინგრევა ძველი ინსტიტუციები და შენდება ახალი. რასაკვირველია, ეს ცვლილებები დაკავშირებულია ორგანიზაციების გარდაქმნასთან, ზოგიერთის საერთოდ გაუქმებასთან და ა. შ. საწარმოებს სრულიად ახალ პირობებში უწევთ საქმიანობა. ადრე თუ მათ სახელმწიფო მფარველობდა, ახლა მძაფრ კონკურენციას უნდა გაუძლონ, რის გამოც ზოგიერთი საწარმო წყვეტს კიდევაც საქმიანობას. ძველ საწარმოთა ნახევარზე მეტი დღესაც გაჩერებულია, ბევრი საერთოდ განადგურდა და ჯართად გაიყიდა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში აუცილებლად გვექნებოდა საქმე დიდ უმუშევრობასთან.

ეკონომიკის საწყისი მდგომარეობა და ძველი ეკონომიკური კავშირების მოშლა. ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის მზადება საქართველოში წინასწარ დაიწყო, მაგრამ იგი ზოგად განცხადებებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს (განსხვავებით ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან) ვერ გასცდა. პირიქით, ზოგიერთი არაფრის მომცემი აქციების გამო (გზების გადაკეტვა, საწარმოების გაჩერება და ა. შ.), ქვეყნის ეკონომიკა კიდევ უფრო დასუსტდა. მას დაემატა ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ძველი ეკონომიკური კავშირები, რომელიც საქართველოს ძირითადად საბჭოთა კავშირში შემავალ ქვეყნებთან, განსაკუთრებით, რუსეთთან ჰქონდა, მოიშალა. ახალი კავშირების დამყარებას კი (რადგანაც ეს წინასწარ არ იყო მომზადებული) დიდი დრო სჭირდებოდა. დღესაც კი ეს კავშირები საკმაოდ სუსტია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაბალი დონის გამო. ბუნებრივია, ასეთ პირობებში საწარმოთა დიდი ნაწილი მუშაობას შეწყვეტდა ან შეკვეცავდა, რაც, რასაკვირველია, უმუშევრობის ზრდასთანაა დაკავშირებული.

წინა ეკონომიკურ სისტემაში არსებული ფარული უმუშევრობა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეკონომიკაში თავი იჩინა ფარულმა უმუშევრობამ. იმის გამო, რომ ქვეყანაში უმუშევრობა არ ყოფილიყო, თითქმის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შტატები გაბერილი იყო და მუშაობდა საჭირო რაოდენობაზე მეტი ადამიანი. ეს ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, ანუ, უფრო

სწორად, შემოსავლების გადანაწილების ხარჯზე. საბაზრო ეკონომიკისათვის კი ასეთი მდგომარეობა შეუთავსებელია. ამან გამოიწვია ზედმეტი მუშახელის გამოთავისუფლება.

ეკონომიკური დაქვეითება. ეკონომიკური დაქვეითება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლინდა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 1991-1994 წლები, როდესაც ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ სირთულეებს შინა ომები და შეიარაღებული კონფლიქტები აძლიერებდა. 1994 წელს მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1990 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 27,5%, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ16% შეადგინა. აღნიშნულ წლებში თითქმის განახევრდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა, კატასტროფულად შემცირდა მშენებლობის მასშტაბები, მკვეთრად დაეცა ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის დონე (ელექტროენერგიის გამომუშავება ორჯერ შემცირდა, თითქმის შეწყდა ქვანახშირის წარმოება, კრიტიკულ დონემდე დაეცა ნავთობის მოპოვების მოცულობა გადახდისუუნარობის გამო ქვეყანას შეუწყდა ბუნებრივი აირის მოწოდება). ეკონომიკურ დაქვეითებას აძლიერებდა წინა წლებში ფარული ინფლაციითა და უმუშევრობით გამოწვეული ინფლაციის მაღალი ტემპები. ე. ი. ადგილი ჰქონდა სტაგფლაციას, რასაც თან ახლდა ფართომასშტაბიანი ციკლური უმუშევრობა, რომელსაც შეიძლება ტრანსფორმაციული სტაგფლაციური ციკლური უმუშევრობა ვუწოდოთ და რომლის აღმოფხვრაც შეუძლებელია თუ არ აღმოიფხვრა მისი წარმომშობი მიზეზები.

ეკონომიკური რეფორმები და **მისი განხორციელების დროს დაშვებული შეცდომები.** საქართველოში ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული რეფორმების გამოცდილება არათუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში არ არსებობდა, რაც მდგომარეობას ართულებდა; მაგრამ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მრავალწლიანი უცხოური გამოცდილება. ამასთან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც როგორც მეთოდოლოგიურ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდნენ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, ქმნიდნენ ყველა პირობას იმისათვის, რომ შესაბამისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რეფორმები სწრაფად დამთავრებულიყო. სამწუხაროდ, რეფორმირების გზაზე არაერთი შეცდომა იქნა დაშვებული, რის შედეგადაც

დღეისათვის ქვეყანაში გვაქვს დაბალგანვითარებული დეფორმირებული ეკონომიკა უმუშევრობის მაღალი დონით.[1]

გლობალიზაცია. "გლობალიზაციის პირობებში ძლიერდება კონკურენცია. საერთაშორისო კორპორაციები ავიწროებენ ეროვნულ კომპანიებს საკუთარ ქვეყანაში (რაც ზრდის უმუშევრობას), ადგილი აქვს იაფი, მდარე ხარისხის პროდუქციის შემოტანას, რაც ასევე კლავს ადგილობრივ წარმოებას. ამიტომ არ შეიძლება უარი ვთქვათ გარკვეულ პროტექციონისტულ პოლიტიკაზე და კარი გავუღოთ ქარს, გამოწვეულს გლობალიზაციის პროცესებით. საჭიროა პრეფერენციები, ზომები, რომელიც ქვეყანას ანიჭებს გარკვეულ ეკონომიკურ უპირატესობას.[2]

საერთაშორისო დახმარებები. საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სწორედ საერთაშორისო დახმარებების ხარჯზე ინარჩუნებდა სტაბილიზაციას. თუმცა, მიღებული დახმარებები რომ რეალურ სექტორში გამოყენებულიყო და საწარმოების აღდგენა-გადაიარაღებას და ახალი სიმძლავრეების შექმნას მოხმარებოდა, მაშინ დღეისათვის პრინციპულად განსხვავებული მდგომარეობა გვექნებოდა, ეკონომიკის განვითარების გაცილებით მაღალი და უმუშევრობის გაცილებით დაბალი დონით.

ინოვაციები წარმოშობს რა სტრუქტურულ უმუშევრობას, ზრდის უმუშევრობის დონეს, ვინაიდან გამოშვების ზრდის ტემპები ჩამორჩება შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. საქართველოში სწორედ ამგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები გლობალიზაციის პირობებში, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე ახდენს ნეგატიურ გავლენას. საქართველოს ეკონომიკაზე დიდი გავლენა იქონია 1998 წლის ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთში და 2007 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, თუმცა, დიდი საერთაშორისო დახმარებების მეშვეობით საქართველოს ეკონომიკა ღრმა

---

[1] *აბესაძე რ., ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", თბ., 2002; ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. თბ., 2009; მესხია ი., მურჯიკნელი მ., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996; პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002.*

[2] *Алле М., Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста, М., ТЕИС, 2003.*

ეკონომიკურ კრიზისს არ მოუცავს, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეცესია სახეზეა. რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა უმუშევრობის ზრდა.

კორუფცია ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე. კორუფციული მმართველობის დროს სახელმწიფო რესურსები მიედინება არა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელია მათი მოპარვა.

უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები: მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორიცაა, სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა. შედარებით ადვილად ხორციელდება უმუშევრობის ეკონომიკური შედეგების შეფასება, ხოლო სოციალური შედეგები, რომელიც რთული გასამიჯნია და ატარებს კომპლექსურ ხასიათს, სრულყოფილად ვერ ფასდება. უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, სოციალური სიტუაციის კონკრეტულ პარამეტრებზე.

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოში მკვეთრად ამცირებს როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების შემცირებაა. როდესაც სამუშაოს მსურველთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკვალოდ იკარგება, რასაც ეკონომისტები უწოდებენ ჩამორჩენას მთლიანი ეროვნული პროდუქტიდან. უფრო კონკრეტულად, იგი იანგარიშება როგორც სხვაობა პოტენციურ მთლიან ეროვნულ პროდუქტსა (მეპ) და ფაქტობრივ ეროვნულ პროდუქტს შორის. პოტენციური ეროვნული პროდუქტი განისაზღვრება იმ დაშვებით, რომ მიღწეულია უმუშევრობის ბუნებრივი დონე ეკონომიკური ზრდის ნორმალური ტემპების პირობებში. მიღებულია, რომ უმუშევრობის ბუნებრივ დონესათან შედარებით ფაქტიური უმუშევრობის ყოველი ერთი პროცენტით ზრდა პოტენციურ მშპ-ს ამცირებს 2,5%-ით. აღნიშნული თანაფარდობა საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს უმუშევრობით გამოწვეული პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები.

ცალკეული პიროვნებისათვის უმუშევრობა დაკავშირებულია მატერიალურ პრობლემებთან - მცირე შემოსავლებთან ან მის გარეშე დარჩენასთან. გარდა ამისა, უმუშევარი ადამიანი სოციალურ იზოლაციაშიც ექცევა და კარგავს საკუთარი მდგომარეობის უკეთესობისაკენ შეცვლის იმედს. უიმედობის გრძნობა უფრო მეტად იზრდება ახალი სამუშაოს წარუმატებელ ძიებაში. თუ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება, უმუშევარი საერთოდ გადის ეკონომიკურად აქტიური მოსახ-ლეობის შემადგენლობიდან.

სოციალური პათოლოგიების მაჩვენებლებზე უმუშევრობის ზემოქმედების ხარისხს, სათანადო შესწავლა სჭირდება. ამ მხრივ, საინტერესოა ჯ. ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის წამყვანი ექსპერტის მ. ჰარვეი ბრენვერის გამოკვ-ლევები, რომელმაც დაადგინა რაოდენობრივი ურთიერთკავშირი უმუშევრობის დონესა და სოციალური პათოლოგიის მაჩვენებლებს შორის. მისმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უმუშევრობის ზრდა იწვევს მასტიმულირებელ ეფექტს სოციალური პათოლოგიის მაჩვენებლების ზრდაში ხუთი წლის განმავლობაში. ძირითადი მიზეზებია სამედიცინო მომსახურების მკვეთრი გაუარესება, ალკოჰოლიზმი, მოწევა და ა. შ. დადგინდა აგრეთვე, რომ პირველ სამ წელიწადში იზრდება ფსიქიკურად დაავადებულთა, დანაშაულობის, მკვლელობების და თვითმკვლელობების რიცხვი. მომდევნო წლებში იზრდება ე. წ. ქრონიკული რეაქცია - სიკვდილიანობის მაჩვენებლების გადიდება გულის, სისხლძარღვთა და სხვა დაავადებების შედეგად. გამოკვლევის თანახმად, უმუშევრობის გადიდება ერთი პროცენტით (თუ იგი შენარჩუნებული იქნება ხუთი წლის განმავლობაში), მოსახლეობის სიკვდილიანობას ორი პროცენტით ადიდებს.

უმუშევრობის უარყოფითი სოციალური შედეგები განსაკუთრებული ფორმით გამოვლინდა საქართველოში. ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში უკვე შეიმჩნეოდა კავშირი უმუშევრობასა და ისეთ მოვლენებს შორის, როგორიცაა:

- საზოგადოებაში მორალის დაცემა;
- დაავადებების, თვითმკვლელობების და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდა;
- ქორწინების და შობადობის რიცხვის კატასტროფული შემცირება და ა. შ.

ის ფაქტი, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც მაღალია, შობადობის კოეფიციენტიც, ბუნებრივი მატებაც, ხოლო მოკვდაობის კოეფიციენტი დაბალი, იმის დამადასტურებელია, რომ ცხოვრების კარგ პირობებში მყოფი მოსახლეობა სრულფასოვნად იკვებება, მისდევს სპორტს, თავისდროულად მიმართავს ექიმს და იყენებს პრევენციულ საშუალებებს ავადმყოფობის არ გასართულებლად. ამის გარდა, ასეთ ქვეყნებში არსებული მატერიალური სიკეთე ადამიანებს უქმნის ცხოვრების ხალისს, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ვიდრე თვით სამკურნალო საშუალებები.

რაც შეეხება უმუშევრობის ეკონომიკურ შედეგებს, იგი მოსახლეობის სულადობრივ შემოსავლებში და მთლიან შიდა პოლიტიკაში აისახება.

უმუშევრობა თავის უარყოფით კვალს ტოვებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მოკვდაობის მიზეზებიდან მატულობს სისხლის მიმოქცევის სისტემის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, სუნთქვის ორგანოების დაავადებებით გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, არასრულფასოვან კვებას, ნერვულ დაძაბულობას, უიმედობას და სხვა არაჯანსაღ მოვლენებს უკავშირდება.

თავი III. საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის ანალიზი და შეფასება

III.§1. მოსახლეობის ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებელთა სისტემა

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლების ანალიზზე, საჭიროა ცხოვრების დონის და სიღარიბის მაჩვენებლების სისტემის შესახებ მცირე ექსკურსი.

უპირველესად ის უნდა ავღნიშნოთ, რომ "მოსახლეობის ცხოვრების და მისი მაჩვენებლების სისტემის დონე არის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანთა ცხოვრების, შრომის და ყოფით პირობათა ერთობლიობას და ახასიათებს მოსახლეობის ფიზიკურ, სოციალურ და ინტელექტუალურ მოთხოვნების დაკმაყოფილების ხარისხს".[1]

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ცხოვრების დონის სხვანაირი განმარტებებიც:

- "ცხოვრების დონე გამოხატავს მოსახლეობის კეთილდღეობის რაოდენობრივ მხარეს და ასახავს საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეს და ხარისხს".[2]
- "ცხოვრების დონე, პირველ რიგში, ხასიათდება მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლების მოცულობით, მოხმარების დონით და სტრუქტურით, სამუშაო დღის ხანგრძლივობით, განათლების დონით, სამედიცინო მომსახურების ხარისხით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით, დასაქ-

[1] *ვანიშვილი მ., გიგუაშვილი მ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013, გვ. 173.*
[2] *ეკონომიკური თეორია, თბ., 1998, გვ. 452.*

მებით, ფისკალური სისტემით, დაბეგვრით და ა. შ. იგი გამოხატავს ქვეყნის ფუნქციონირების ყველა მხარეს".[1]

- "ცხოვრების დონე ადამიანთა (მოსახლეობის) კეთილდღეობის ეკონომიკური შემადგენელი მაჩვენებელია. ის იზომება მოსახლეობის ერთი სულის მიერ მოხმარებული დოვლათის სიდიდით (მოცულობით), ან მოხმარების გადაანგარიშებით მოზრდილი მოსახლეობის ერთ სულზე".[2]

"ცხოვრების დონე უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა და ახასიათებს ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეს... ცხოვრების დონის კატეგორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოთხოვნილების დინამიკა და სტრუქტურა, რომელიც სწრაფად იცვლება საზოგადოებრივი პროგრესის ზეგავ-ლენით".[3]

ცხოვრების დონე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ცალკეულ ადამიანთა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე. რაც უფრო მაღალია ცალკეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე და პირიქით.

მოსახლეობის ცხოვრების დონე ანუ ის, თუ როგორ ცხოვრობენ, როგორ იკმაყოფილებენ ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს, დამოკიდებულია არა ერთ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებული მდგომარეობა. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე და ხარისხი, მით უფრო მაღალია ადამიანთა მოთხოვნილე-ბების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, - ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს - "ცხოვრების დონე" და "ცხოვრების ხარისხი". მართალია, ამ ორ ცნებას შორის განსხვავების საპოვნელად გარკვეული ლოგიკა არსებობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის. ცხოვრების დონეც და ცხოვრების ხარისხიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მხარეებს, ვინაიდან, თუ ხარისხობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ

---

[1] *ხიზანიშვილი ნ., ცხოვრების დონე - საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი, ჟ. "ეკონომიკა", 2009, №7, გვ. 31.*
[2] *ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010, გვ. 244.*
[3] *მესხია ი., გაბელაშვილი კ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, თბ., 2004, გვ. 14.*

შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ დონეზე და, პირიქით, თუ რაოდენობრივად ადამიანთა მოთხოვნილებები არ კმაყოფილდება, როგორ შეიძლება ვისაუბროთ ცხოვრების მაღალ ხარისხზე. საერთოდ ცხოვრების პირობების შესაფასებლად უფრო მისაღებია ვიხმაროთ ტერმინი "ცხოვრების დონე" და ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები".[1]

ცხოვრების დონის მიხედვით მეცნიერები ერთმანეთისაგან ანსხვავებენ არა მარტო კონტინენტებს და სახელმწიფოებს, არამედ მოსახლეობის ფენებსაც. ცხოვრების დონე უდიდეს გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. საკმარისია წარმოვიდგინოთ ცხოვრების დონით განსხვავებული ეპოქები, ქვეყნები და ადამიანები და დავინახავთ, თუ როგორ იცვლება ერთი და იმავე ერის ცხოვრების წესი ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად, თუ როგორ განსხვავდება სხვადასხვა ცხოვრების დონის მქონე ქვეყნების ცხოვრების წესი ერთმანეთისაგან, თუ როგორ განსხვავდება ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთმანეთისაგან მდიდარი და ღარიბი ფენების ცხოვრების წესი. მოსახლეობის ცხოვრების დონის გამოსაანგარიშებლად არ არსებობს ერთი უნიფიცირებული მაჩვენებელი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ცხოვრების დონის მაჩვენებლად მიიჩნევს საშუალო შემოსავალს ერთ სულზე,[2] სხვები - მთლიან შიდა პროდუქტს, მთლიან ეროვნულ პროდუქტს, რეალურ შემოსავალს, განათლების დონეს, მოხმარების დონეს და ა. შ. გაეროს მიერ 1978 წელს შემუშავებული მეთოდიკით ამ მაჩვენებელთა რიცხვშია: მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები, საბინაო პირობები, სასურსათო საქონლის მოხმარება, განათლება და კულტურა, ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, შრომისა და დასაქმების პირობები, ცხოვრების ღირებულება და ფასები, დასვენების ორგანიზაცია, სოციალური უზრუნველყოფა, ადამიანის თავისუფლება.

ცხოვრების დონე პირდაპირ კავშირშია მოთხოვნასთან, ვინაიდან მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული მოთხოვნილება. ცხოვრების დონე კი, სწორედ, დაკმაყოფილებული მოთხოვნილებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მთელი საზო-

---

[1] *აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 11, თბ., 2013, გვ. 210.*
[2] *ვანიშვილი მ., გიგუაშვილი მ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013, გვ. 179.*

გადოების ცხოვრების დონე დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე, ხოლო ცალკეული ადამიანის ცხოვრების დონე - ინდივიდუალურ მოთხოვნაზე. მოთხოვნა კი თავისთავად დამოკიდებულია შემოსავლებზე და დანაზოგებზე. მართალია, დანაზოგები ამცირებს მიმდინარე მოხმარებას და, მაშასადამე, ცხოვრების დონესაც, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი ზრდის მოხმარებას მომავალში და, შესაბამისად, ცხოვ-რების დონესაც.

ბუნებრივია, პირდაპირი კავშირი არსებობს მოთხოვნილებასა და ცხოვრების დონეს შორის, რაც უფრო დიდია მოთხოვნილების განვითარების ხარისხი, მით უფრო მაღალია ცხოვრების დონე. მოთხოვნილების განვითარების ხარისხი კი თავისთავად დამოკიდებულია თვისებრივ ცვლილებებთან წარმოებაში - საქონ-ლისა და მომსახურების ახალი სახეობების წარმოებასთან, რაც თავისთავად პირ-დაპირ კავშირშია ინოვაციებთან ეკონომიკაში. მაგრამ თანამედროვე პირობებში ინფორმაციის საშუალებები იმდენად განვითარებულია, რომ ახალი მოთხოვნილე-ბები წარმოიშობა არა მხოლოდ მდიდარ, არამედ ღარიბ ფენებშიც. თუმცა, შესაძ-ლებლობა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა მნიშვნელოვნად განსხვავე-ბულია. სწორედ ეს განაპირობებს ცხოვრების დონის განსხვავებულობას და გარკვეულ დაპირისპირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ამ მხრივ ყველაზე ნეიტრალურია მოსახლეობის საშუალო ფენა.

1998 წელს იგივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საზოგადოებას შესთავაზა ცხოვრების დონის ზოგადი მაჩვენებელი - "ჰუმანური განვითარების ინდექსი", იგი ადამიანთა ცხოვრების დონის 3 ძირითად მაჩვენებელს მოიცავს:

1. ახალშობილთა მოსალდონელი სიცოცხლის ხანგრძლივობა;
2. განათლების დონის მაჩვენებლი;
3. ერთ სულ მცხოვრებზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დოლარებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აგრეთვე დაადგინა თითოეული ამ მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა. მაგალითად, ახალშო-ბილთა მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალური მაჩვენებელია 25 წელი, მაქსიმალური კი 85 წელი. ერთ სულ მცხოვრებზე მთლიანი შიდა პრო-დუქტის მინიმალური დონეა 100 აშშ დოლარი თვეში, ხოლო მაქსიმალური 5448 აშშ დოლარი. განათლებულობის დონისთვის დადგენილია ხვედრითი წილები: 15

წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის $\frac{2}{3}$, ხოლო 16-24 წლის ასაკის ახალგაზრდობისთვის $\frac{1}{3}$.

უშუალოდ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად იყენებს მოსახლეობის შემოსავლების და გასავლების მაჩვენებლებს, დანაზოგებს, დაგროვილი ქონების მაჩვენებლებს და ბინებით უზრუნველყოფის, სოციალურ-დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, სიღარიბის დონისა და საზღვრების მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველ მაჩვენებელთა ეს ჩამონათვალი ისეთი მრავალფეროვანია, რომ მკვლევარმა რომც შეძლოს ყველა მათი გამოანგარიშება, საბოლოოდ იგი ვერ მოახერხებს მათ შეჯამებას, რადგან ზოგიერთი მაჩვენებელი ლარში იქნება გამოსახული (მაგალითად, შემოსავალ-გასავალი), ზოგიერთი კი - ნატურალურ გამოსახულებაში (მაგალითად, სურსათის მოხმარება - კგ-ში, ბინით უზრუნველყოფა - კვ. მეტრებში და ა. შ.).

ამ ზოგად ჩამონათვალიდანაც ამ სფეროში მომუშავე მეცნიერ-მკვლევარები ცხოვრების დონის საანგარიშოდ მაჩვენებლებს სპონტანურად ირჩევენ. ამის მიუხედავად თითქმის ყველგან ხვდება სულადობრივი შემოსავლები და გასავლები და მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე.

შემოსავლები არის ის მაქსიმალური თანხა, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობამ შეიძლება დახარჯოს მოხმარებისთვის. მას ყოფენ პირველად შემოსავლებად, ხელთ არსებულ პირად შემოსავლებად, კორექტირებულ შემოსავლებად.

პირველადი შემოსავლები ის თანხებია რომელსაც, მოსახლეობა ღებულობს დამატებული ღირებულების თავდაპირველი განაწილების შედეგად (მაგალითად, ხელფასი, რენტა, დივიდენდი და ა. შ.). ხელთ არსებული პირადი შემოსავალი არის პირველად შემოსავალს პლიუს-მინუს ტრანსფერები (სტიპენდია, პენსია და სხვ.) და ხარჯები, ხოლო კორექტირებული შემოსავლები არის ხელთ არსებული პირადი შემოსავლის და სოციალური ტრანსფერის ჯამი (სოციალურ ტრანსფერებში მოიაზრება უფასოდ განათლების მიღება, სამედიცინო მომსახურება და სხვ.).

შემოსავლების სახეებია:

- ნომინალური შემოსავლები, მ. შ. ნომინალური საშუალო ხელფასი;
- რეალური შემოსავლები, მ. შ. რეალური საშუალო ხელფასი;
- საშუალო ხელფასის (რეალურის) მსყიდველობითი უნარი;
- საარსებო მინიმუმი (მინიმალური სამომხმარებლო კალათა);
- რაციონალური სამომხმარებლო კალათა.

ნომინალური შემოსავლები ეს არის დარიცხული შემოსავალი გადასახადების და გადასახდელების (საშემოსავლო გადასახადი, კომუნიკაციური გადასახდელი და ა. შ.) გამოკლებით.

რეალური შემოსავალი არის ის შემოსავალი, რომლითაც ხდება საქონლის შეძენა. რაც შეეხება მათ **საშუალო სიდიდეებს** ნომინალური შემოსავლისთვის იგი იანგარიშება მისი შეფარდებით დასაქმებულთა რიცხვთან, ხოლო რეალური შემოსავ-ლისთვის სამომხმარებლო საქონლის ფასების ინდექსთან (თუ ფასების ინდექსი ამაღლდა, მაშინ ეს საშუალო შემცირდება, ხოლო თუ შემცირდა, მაშინ გაიზრდება).

საშუალო ხელფასის მსყიდველობითი უნარი იმ საქონლის ერთობლიობაა, რომლის შეძენაც ამ ხელფასით შეიძლება. ეს ფაქტიურად მოსახლეობის რეალური შემოსავალია.

საარსებო მინიმუმი ეწოდება იმ შემოსავლებს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის საჭირო მინიმალური რაოდენობის საქონლის შეძენას. საარსებო მინიმუმი მეტად მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია. მის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს მინიმალური სამომხმარებლო კალათა, რომელშიც მოიაზრება ადამიანის ფიზიკური არსებობისთვის საჭირო პირველადი მოხმარების საგნების მინიმალური ნაკრები. მასში შედის სასურსათო საქონელი, არასასურსათო საქონელიც და მომსახურებაც (მისგან განსხვავებულია სასურსათო კალათა, რომელშიც მარტო კვების პროდუქტები შედის). მის ღირებუ-ლებაში 70% უკავია სასურსათო საქონელს, ხოლო 30% არასასურსათო საქონელს და მომსახურებას. ცხრილი 6 გვიჩვენებს მიმდინარე წლის საარსებო მინიმუმის ოდენობას საქართველოში.

ცხრილი 6

2020 წელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი	197.0	199.0	206.1	199.6	189.6	186.6	183.5	182.3
საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი	174.4	176.2	182.6	176.8	167.9	165.3	162.6	161.5
საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი	330.4	333.8	345.7	334.8	318.0	313.0	307.9	305.8
ოჯახის ტიპი								
ერთსულიანი	174.4	176.2	182.6	176.8	167.9	165.3	162.6	161.5
ორსულიანი	279.1	282.0	292.1	282.8	268.7	264.4	260.1	258.3
სამსულიანი	314.0	317.2	328.6	318.2	302.2	297.5	292.6	290.6
ოთხსულიანი	348.9	352.5	365.1	353.6	335.8	330.5	325.1	322.9
ხუთსულიანი	392.5	396.5	410.7	397.8	377.8	371.9	365.7	363.3
ექვსსულიანი და მეტი	464.0	468.8	485.6	470.2	446.6	439.6	432.4	429.5

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კი სასურსათო საქონლის ხვედრითი წილი 13%-ია (აშშ), ანუ რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მისი მოსახლეობა უფრო ნაკლებს ხარჯავს სასურსათო საქონლის შესაძენად. შედარებისთვის: საფრანგეთში მინიმალური სამომხმარებლო კალათა 426$, ნორვეგიაში - 499$, კოპენჰაგენში-501$, იაპონიაში - 529$.....

რაც შეეხება **რაციონალურ სამომხმარებლო კალათას**, იგი მინიმალური კალათისაგან განსხვავდება შიგთავსით. მასში მოიაზრება სამომხმარებლო (მატერიალური + სულიერი) დოვლათისა და მომსახურების სრული ნაკრები, რომელიც საჭიროა ადამიანის ნორმალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რაც უფრო მრავალფეროვანია რაციონალური კალათის ასორტიმენტი, მით უფრო მაღალია იმ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სამომხმარებლო კალათა განაახლა. 2019 წელთან შედარებით, განახლებული კალათა შემცირებულია 1 პროდუქტით და მოიცავს 305 დასახელების სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას. გასული წლის სამომხმარებლო კალათას გამოაკლდა 2 და დაემატა 1 პროდუქტი. ამასთან ერთად, განახლებულია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების წონები. სამომხმარებლო კალათა გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ქვეყანაში არსებული ინფლაციის დონის) გასაანგარიშებლად და ასახავს ქვეყნის

საშუალო მომხმარებლის დანახარჯების სტრუქტურას. 2020 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათა ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან მიღებულ ინფორმაციას. განახლებული სამომხმარებლო კალათა ასახავს მოსახლეობის დანახარჯების უახლეს სტრუქტურას, რაც უფრო საიმედოს ხდის სამომხმარებლო ფასების ინდექსს - ინფლაციის მაჩვენებელს.

ცხოვრების დონეს მეცნიერები და სტატისტიკოსები სამ სახეობად ყოფენ:

1. მინიმალური დონე;
2. საშუალო დონე;
3. ეკონომიკური კეთილდღეობის დონე.

ცხოვრების მინიმალურ დონედ ითვლება მოსახლეობის იმ ფენის შემოსავალი, რომლის თითოეული წარმომადგენელი მხოლოდ მინიმალური სამომხმარებლო კალათის ფარგლებში იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს და ინარჩუნებს სიცოცხლეს (დღეში 2100 კილოკალორიის მიღება).

ცხოვრების საშუალო დონე მოსახლეობის გარკვეულ ფენას უზრუნველყოფს ცხოვრებისუნარიანობით. ეს ფენა არა მხოლოდ ფიზიკურად ინარჩუნებს სიცოცხ-ლეს, არამედ შრომისუნარიანია საშუალო დონეზე.

ეკონომიკური კეთილდღეობის დონეზე არიან სიმდიდრისკენ მიმავალი ადამიანები. მათი ქონება და შემოსავალი პრესტიჟულია.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილი საარსებო მინიმუმის ზღვარს იქითაც ცხოვრობს, ხოლო გარკვეული ნაწილი განვი-თარებად ქვეყნებშიც კი, მდიდარია, მაშინ ცხოვრების დონის ამ ჩამონათვალს, ჩვენი აზრით, უნდა დავამატოთ **მინიმალურ ზღვარს მიღმა ცხოვრების დონე** და **მდიდრულად ცხოვრების დონე**. რადგან ასეთი ფენები ფაქტიურად არსებობენ საქართველოში, სასურველია ჩაირთოს ისინი სამეცნიერო ბრუნვაში და საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა განსაზღვროს მათი კრიტერიუმები.

მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დაყოფის დასახასიათებლად გამოიანგარიშება შემდეგი მაჩვენებლები:

1. მოდალური შემოსავალი, ანუ შემოსავალი, რომელიც ხშირად გვხვდება მოსახლეობაში;

2. მედიანური შემოსავალი, ანუ შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც იმყოფება განაწილების რანჟირებული რიგის შუაში (ეს არის მედიანურზე დაბალ და მედიანურზე მაღალ შემოსავლების წყალგამყოფი, შენიშვნა ჩვენია, - ნ. კ.);
3. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი (ეს კოეფიციენტი ახასიათებს რამდენჯერ აღემატება მდიდარი მოსახლეობის 10%-ის მინიმალური შემოსავალი ღარიბი მოსახლეობის 10%-ის მაქსიმალურ შემოსავალს);
4. ფონდების კოეფიციენტი (გვიჩვენებს დამოკიდებულებას ორი ჯგუფის მოსახლეობის შემოსავლებს შორის. როგორც წესი ერთმანეთს უდარდება მინიმალური შემოსავლების მქონე მოსახლეობის 10% მაქსიმალური შემოსავლების მქონე 10%-ს);
5. შემოსავლების კონცენტრაციის ჯინის კოეფიციენტი (გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან, იგი იანგარიშება 0-დან 1-მდე ინტერვალში. რაც უფრო ახლოსაა ეს კოეფიციენტი ერთთან, მით მაღალია შემოსავლების უთანაბრობის დონე).

ცხოვრების დონის განმსაზღვრელი მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელსაც ამ თემაზე შექმნილ ყველა სახის ეკონომიკურ ლიტერატურაში ვხვდებით, არის მოსახლეობის **ხარჯები**, ანუ **მოხმარება**. ხარჯები ასახავს მოხმარებას. მოხმარება გამოიხატება **აბსოლუტურ მოცულობაში** და **შეფარდებით მაჩვენებელში**, ანუ ხარჯების დონეში. პირველი მთელი მოსახლეობის დანახარჯებია, როგორც ფულადი, ისე ნატურალური, მეორე კი მოსახლეობის ერთ სულზე მოსული ხარჯები (სულადობრივი მოხმარება).

მოსახლეობის მოხმარების მაჩვენებლების ანალიზი ტარდება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ქალაქის და სოფლის მიხედვით და ა. შ. გამოითვლება **მოდალური** და **მედიანური** მოხმარება. მოდალური მოხმარება წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ მოხმარების დონეს (მოდალური შემოსავლების მსგავსად), ხოლო მედიანური მოხმარება კი მოხმარების ისეთი სიდიდეა, რომლის ზემოთ მოხმარება აქვთ მოსახლეობის 50%-ს, ხოლო ქვევით მოსახლეობის 50%-ს.

ცნობილია მედიანური მოხმარების 60 პროცენტი და მედიანური მოხმარების 40 პროცენტი. ისინი ფარდობითი ზღვრებია. მოსახლეობის ფარდობითი სიღარიბე სწორედ ამ ორი სხვადასხვა ზღვარის მიმართ ფასდება. ისინი მთლიანი მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება. მოხმარების მიხედ-ვით მოსახლეობის განაწილების მედიანა მოხმარების ისეთი სიდიდეა, როდესაც მოსახლეობის ნახევარი (50 პროცენტი) მასზე არანაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე არაუმეტეს მოიხმარს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებელთა სისტემაში გამოკ-ვეთილი ადგილი უჭირავს მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) (ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშობენ მთლიან ეროვნულ პროდუქტსაც). ამ მაჩვენებლებით ძირითადად ერთმანეთს ადარებენ ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონეს და არა ქვეყნის შიგნით მცხოვრები მოსახლეობის ფენებს. ორივე ეს მაჩვენებელი ერთ სულ მცხოვ-რებზე იანგარიშება. მაგალითად, მისი საშუალო მსოფლიო მაჩვენებელი 2010 წელს 10631 დოლარს შეადგენდა. ასეთ დროს საქართველოში იგი იყო 2614 აშშ დოლარი, თურქეთში 13358 აშშ დოლარი, აზერბაიჯანში 8747 აშშ დოლარი და ა.შ.[1] მიმდინარე წლის მონაცემებით საქართველოში მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში) 4763.5$, თურქეთი-10.745$, უკრაინა-2.794$ (4-5-ჯერ მეტია იგი განვითარებულ ქვეყნებში). რა თქმა უნდა განვლილ პერიოდში იგი რამდენადმე გაიზარდა საქართველოშიც და სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ იგი მაინც დიდ განსხვავებებს გვიჩვენებს ქვეყნებს შორის მოსახლეობის ცხოვრების დონეში.

ცხოვრების დონის მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია სიღარიბის მაჩვენებლები - სიღარიბის დონე, სიღარიბის სიღრმე და სიღარიბის სიმწვავე.

სიღარიბის დონე ზოგადად ახასიათებს მოცემულ ქვეყანაში ღარიბთა ხვედ-რით წილს, მაგრამ ღარიბთა მთელი კონტინგენტიდან ყველა ერთნაირად ღარიბი არაა. ამიტომ ცნობილია **სიღარიბის სიღრმის** და **სიმწვავის** ცნებებიც.

სიღარიბის სიღრმე ახასიათებს სიღარიბის ზღვრიდან (საარსებო მინიმუმიდან) შემოსავლების მიხედვით ღარიბების დაშორების საშუალო მანძილს.

---

[1] *მალაშხია გ., სიმდიდრის სიკეთის პოტენციალი და საყოველთაო კეთილდღეობა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერთა აკადემია, შრომები, 10, 2012, გვ. 83-84.*

სიღარიბის სიმწვავე გვიხასიათებს ღარიბთა ქვედა ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას. მას ანგარიშობენ როგორც საარსებო მინიმუმის მიმართ, ისე მედიანური მოხმარების მიმართ (შეფარდებითი ზღვრის 60 და 40 პროცენტის მიმართ).

სიღარიბის ამსახველი მაჩვენებლების გასაანგარიშებელ ფორმულებს გვთავაზობს ქართველი სტატისტიკოსი ბ. გაბიძაშვილი:[1]

სიღარიბის საერთო დონე $k = \frac{q}{n}$

ფორმულაში:

k - სიღარიბის დონე, ანუ ღარიბთა პროცენტია მთელ მოსახლეობაში.

q - ღარიბების რიცხვი.

n - მოსახლეობის საერთო რიცხვი.

სიღარიბის სიღრმე $P_1 = \frac{\sum_{i=1}^{q}(z - y_i)}{nz}$

ფორმულაში:

P_1 - არის სიღარიბის სიღრმე.

z - საარსებო მინიმუმი.

y_i - ღარიბი მოსახლეობის *i*-ური წევრის მოხმარების (ან შემოსვლის) სიდიდე

n - მოსახლეობის საერთო რიცხვი.

სიღარიბის სიმწვავე $P_2 = \frac{1}{2}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{z - y_i}{z}\right)^2$

ამ ფორმულაში აღნიშვნები იგივე შინაარსისაა, როგორც წინა ფორმულაში.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი ანგარიშობს და აქვეყნებს **რეგისტრირებულ** და **ფარდობითი** სიღარიბის მაჩვენებლებს. რეგისტრირებული სიღარიბის ხაზით აქვეყნებს ორ მაჩვენებელს - საარსებო შემწეობის მიმღებ მოსახლეობის რაოდენობას და მათ ხვედრით წილს მთელ მოსახლეობაში. ფარდობით სიღარიბეს კი საზღვრავს მედიანური მოხმარების 60%-ის და 40%-ის მიმართ. ორივე ეს უკანასკნელი სიღარიბის სიმწვავეს გვიხასიათებენ ქვეყანაში.

ჩვეულებრივ გამოიყოფა შემოსავლის განაწილების ორი ძირითადი მაჩვენებელი:

---

[1] *გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007, გვ. 502-503.*

1. შემოსავლის განაწილება აბსოლუტური სიდიდის მიხედვით;
2. შემოსავლის ფუნქციური განაწილება წარმოების ფაქტორების მიხედვით.

შემოსავლის სიდიდის მიხედვით საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია მოსახ-ლეობის დაყოფა **კვინტილად** (რიცხოვნების 1/5 ანუ 20% წილი) და **დეცილად** (1/10 ანუ 10% წილი) შემოსავლის სიდიდის მატების კვალობაზე. ამის შემდეგ განისაზღვ-რება ეროვნული შემოსავლის ის წილი, რომელსაც თითოეული ჯგუფი ღებულობს. უთანასწორობის მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც მოსახლეობის ყველაზე უღარიბესი 40%-ის თანაფარდობა ყველაზე მდიდარ მოსახლეობას 20%-თან. ეს თანაფარდობა ხშირად გამოიყენება როგორც ქვეყანაში უთანასწორობის ხარისხის მაჩვენებელი უკიდურეს ჯგუფებს შორის: ძალზე ღარიბები და ძალზე მდიდრები.

შემოსავლის განაწილების უფრო დეტალური ანალიზისათვის გამოიყენება დეცილი (მოსახლეობის ყოველი 10%). ამ შემთხვევაში ყველაზე ღარიბი მოსახ-ლეობის 10% უფარდდება ყველაზე შემოსავლიანი მოსახლეობის 10%-ს. სტატის-ტიკაში პირადი შემოსავლის ანალიზის სხვა აღიარებული საშუალებაა ლორენცის მრუდი და ჯინის კოეფიციენტი.

ჯინის კოეფიციენტი წარმოგვიდგება აგრეგირებულ მაჩვენებლად და შეიძლება შეიცვალოს 0-დან (აბსოლუტური თანაფარდობა) 1-მდე (აბსოლუტური უთანასწო-რობა). იმ ქვეყნებისთვის რომელთათვის დამახასიათებელია შემოსავლის ნაკლებად თანაბარზომიერი განაწილება ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0,50-0,70 ფარგლებში, ხოლო შედარებით თანაბარზომიერი განაწილების ქვეყანაში - 0,20-0,35 ფარგლებში. საქართველო მიეკუთვნება ქვეყნების პირველ ჯგუფს, სადაც 2006-2011 წლებში ჯინის კოეფიციენტი ანუ შემოსავლის მიხედვით უთანასწორობის ხარისხი, ოფი-ციალური სტატისტიკური მონაცემებით საკმაოდ მაღალი იყო.

მსოფლიოში შემოსავლის უთანაბრო განაწილების ხაზით ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვთ ნამიბიას, სადაც მოსახლეობის უღარიბესი 10%-ის წილი მთლიან შემოსავალში 0,6%-ია, ხოლო უმდიდრესი 10%-ის წილი - 65,2%.

შემოსავლის ფაქტორული განაწილება ეს არის მეორე საყოველთაო მიღებული მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება ეროვნული შემოსავლის წილის განსაზღვრი-სათვის, რომელსაც თითოეული წარმოების ფაქტორი ითვისებს. ფუნქციური განა-წილების თეორია ინდივიდუმს არ განიხილავს როგორც განცალკევებულ ერთეულს,

არამედ იკვლევს შრომით მიღებული შემოსავლის წილს და მიღებულ მონაცემებს ადარებს შემოსავლის და სხვა წილებთან (რენტა, სარგებელი და მოგება-დაჯილ-დოება მიწის, ფინანსური და ფიზიკური კაპიტალის გამოყენებაზე). თუმცა ინდი-ვიდებს შეუძლიათ ერთდროულად მიიღონ შემოსავლის ყველა სახე, მაგრამ ეს თეორია არ განიხილავს მსგავს შემთხვევებს.

ამ თეორიის ამოცანაა დაადგინოს ფაქტორის დაჯილდოების დამოკიდებუ-ლება წარმოების პროცესში მის მიერ შეტანილი წვლილის სიდიდეზე. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები აქ გამოიყენება ფაქტორის ფასის განსაზღვრისათვის. წარმოების ფაქტორების ფასების გამრავლება მათ რაოდენობაზე (დანახარჯის მინიმიზაციის პირობებში) იძლევა თითოეული ფაქტორის საერთო დაჯილდოების ჯამს. მაგალითად, შრომაზე მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ხელფასის საბაზო სიდიდეს. შემდეგ, ხელფასის სიდიდეს გამრავლებულს დასაქმებულთა რიცხვზე, გვაძლევს შრომის მთლიანი ანაზღაურების მაჩვენებელს.

III.§2. საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი

ზემოთ განხილულ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამსახველ მრავალრიცხოვან მაჩვენებელთაგან მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი შემოსავლების, ხარჯების (მოხმარება), მთლიანი შიდა პროდუქტის, განათლების და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიხედვით.

საქართველო ღარიბი ქვეყანაა. იგი ღარიბია სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან (მაგალითად, რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან) შედარებითაც კი. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში მოსახლეობის 15% ღატაკია, საარსებო მინიმუმის ზღვარს მიღმა 21%-ია, სოციალურად ღარიბები 50%-ია, მდიდრები 5%, ხოლო მათ შორის შეძლებულნი 3,5%. მართალია, ეს ინფორმაცია 2010 წლისაა, მაგრამ არც მისი შემდგომი წლების ინფორმაცია არის უკეთესი და დიდი იმედის მომცემი.

ცხრილი 7 გვიჩვენებს საქართველოს და რუსეთის ერთ სულ მცხოვრებზე მოსულ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას და დინამიკას. ეს სურათი 23

წლის პერიოდს ასახავს, ე. ი. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან წარმოდგენილია, საჩვენებლად იმისა, თუ რა ძალისხმევას ახმარდნენ საქართველოს და რუსეთის ხელისუფალნი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას და ვის ვისგან უნდა აეღო მაგალითი.

ცხრილი 7

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში და რუსეთში (აშშ დოლარი)[1]

წლები	მაჩვენებლის სიდიდე			
	საქართველო	რუსეთი	განსხვავება რუსეთის მაჩვენებლისგან (+, -)	პროცენტულად რუსეთის მაჩვენებელთან
1992	757	3095	-2338	24,4
1993	550	2929	-2379	18,8
1994	517	2663	-2146	19,4
1995	569	2670	-2082	21,5
1996	670	2651	-2079	24,3
1997	775	2749	-1069	42,0
1998	805	1844	-534	60,0
1999	629	1339	-1146	35,4
2000	692	1775	-1409	32,9
2001	734	2101	-1367	34,9
2002	779	2375	-1596	32,8
2003	922	2976	-2054	30,9
2004	1187	4109	-2922	28,8
2005	1470	5337	-3867	27,5
2006	1765	6947	-5182	25,4
2007	2318	9146	-6828	25,3
2008	2930	11700	-8770	25,0
2009	2441	8616	-6175	28,3
2010	2614	10710	-8096	24,4
2011	3220	13284	-10064	24,2
2012	3508	14030	-10522	25
2013	3615	15610	-11995	23,1
2014	3817	17330	-13513	22
დინამიკა 2014 წ. %-ად 1992 წელთან	504	560	-	-

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქართველოში 1992-2014 წლებში ერთ მოსახ-ლეზე მოსული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 757 აშშ დოლარიდან 3817 აშშ დოლარამდე, ანუ 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო ამ 23 წლიან პერიოდში მთლიანი

[1] *პაპავა ვლ., საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი. კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, პაატა გუგუშვილის ინსტიტუტი, 2014, გვ. 49; საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2015; რამიშვილი ბ., საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი VIII, №1, თბ., 2015, გვ. 46.*

შიდა პროდუქტის საშუალო სულადობრივმა მოცულობამ საშუალოდ წლიურად მხოლოდ 1622 აშშ დოლარი შეადგინა.

მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის ამ მოცულობით, მისი 500%-იანი ზრდის მიუხედავად, საქართველო მეტად ჩამორჩება მთელ რიგ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს (განვითარებულ ქვეყნებთან ხომ მისი შედარებაც არ შეიძლება). მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებელი რომ სათანადოდ გაიზარდოს, საჭიროა გაიზარდოს ქვეყნის ფარგლებში წარმოებული საქონლის და მომსახურების მოცულობა. ისეთ პირობებში როცა საქართველო ძირითადად იმპორტით ცხოვრობს, პროდუქციის და მომსახურების წარმოების რომელ გაფართოებაზეა საუბარი. ჩვენთან ვერც დაბალი ბაზის ეფექტმა ვერ იმუშავა (1992 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მცხოვრებზე ანგარიშით მხოლოდ 757 აშშ დოლარს შეადგენდა) და ვერც მოსახლეობის შემცირებამ (90-იან წლებთან შედარებით მოსახლეობა 20-21%-ით შემცირებულია).

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ჩვენთან ერთად დაადგნენ საბაზრო ეკონომიკის გზას, და, ჩვენზე არანაკლები ქაოსი და წინააღმდეგობები გაიარეს, ჩვენნაირად მთავრობათა ცვლაც ხშირი ქონდათ (მაგალითად, სომხეთი), ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება ქვეყანაში სოციალური ეკონომიკის (ანუ "შვედური მოდელის") დასამყარებლად აშკარად არასათანადო ძალისხმევას ხარჯავდა. "შვედური მოდელი" ვახსენე იმიტომ, რომ ესაა ქვეყანა, სადაც კარგი მაღალანაზღაურებადი სამუშაო, ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება, ეფექტიანი სამედიცინო მომსახურება, ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე, ადამიანის სოციალურ წყალობად კი არ აღიქმება, არამედ ადამიანის განუყოფელ სოციალურ უფლებად. სამწუხაროდ, ყოველივე ამისგან ჩვენ დღეს შორს ვართ.

მაგრამ მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მოცულობის ანალიზით მოსახლეობის ცხოვრების დონის სრული სურათი ვერ იხსნება. იგი განზოგადოებული და გაშუალებული სიდიდეა. აუცილებელია ვიცოდეთ შემოსავლების და ხარჯების (მოხმარების) მოცულობები და სტრუქტურა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური, პროფესიული და დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. სამწუხაროდ, ასეთ გაანგარიშებებს საქსტატი არ აკეთებს,რადგან შემოსავლებს და

ხარჯებს ანგარიშობს მხოლოდ ცალკეული მუხლების მიხედვით და სოფლის და ქალაქის ჭრილში. ცხრილში 8 მოყვანილია სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული წილი, მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის პროცენტული წილი და ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით 2013-2019 წლებში. აღსანიშნავია რომ სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტულ წილი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, შესაბამისად მედიანური მოხმარება და ჯინის კოეფიციენტებიც შემცირებულია.

ცხრილი 8

რეგისტრირებული სიღარიბე საქართველოში 2013-2019 წლებში[1]

	სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი %	**მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი %**	**ჯინის კოეფიციენტი მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით**
2013	26.2	21.5	0.39
2014	23.5	21.4	0.39
2015	21.6	20.0	0.38
2016	22.0	21.0	0.39
2017	21.9	22.3	0.40
2018	20.1	20.5	0.37
2019	19.5	20.1	0.37

მედიანური მოხმარებაც რეალურად ვერ ასახავს ღარიბ-ღატაკთა რიცხვს საქართველოში. ღარიბთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში გაცილებით მეტია და მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტს ქვევით მყოფი მოსახლეობის მაჩვენებლის შემცირებით ვერ ვიტყვით, რომ სიღარიბე შემცირდა. ამას ემატება ისიც, რომ ღარიბ-ღატაკების დაახლოებით 10-15% საერთოდ არ რეგისტრირდება მონაცემთა ბაზაში.

სიღარიბე შეფასებითი ცნებაა. განვითარებული ქვეყნების ღარიბები ჩვენ საშუალოდ მაცხოვრებლებს უტოლდებიან. განსხვავებულია შეფარდებითი სიღარიბის ზღვარიც.

რამოდენიმე წლის წინ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი სიღარიბის დონესაც აცხადებდა, მის სიღრმესაც და სიმწვავესაც. ეხლა ეს მაჩვენებლები აღარ საჯაროვდება და ოფიციალური სტატისტიკა არც იმ აბსოლუტურ მაჩვენებლებს

[1] *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2019.*

აქვეყნებს, რომელთა მეშვეობით მათი ანგარიში შესაძლებელია. სიღარიბის შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას სოციალური მომსახურების სააგენტო ფლობს, მაგრამ ისიც ეფუძნება საარსებო შემწეობის მიმღებ ბენეფიციართა რიცხვს, თანაც არა განმცხადებლების რიცხვს, არამედ დახმარების მიმღებთა რიცხვს. მაგალითად, 2013 წელს სოციალური დახმარება მიიღო მოსახლეობის მხოლოდ 9,7%-მა. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ანგარიშში „სოციალური დახმარებების აღწერა და რეკომენდაციები“, აღწერს 2014-2016 წწ. 6 ცენტრალური სამინისტროსა და 71 მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულ სოციალურ დახმარებას სამიზნე ჯგუფების მიმართ. აღნიშნული სამიზნე ჯგუფები მოიცავს ხუთ კატეგორიას : **მარტოხელა ხანდაზმულები** - მარტო მცხოვრები არამომუშავე პენსიონერი (ან მხოლოდ მარტოხელა არამომუშავე პენსიონრებისაგან შემდგარი ოჯახი); **მარტოხელა მშობელი/მეურვე ბავშ(ებ)ით** - პირი, რომელსაც არ ჰყოლია მეუღლე ან /და ქვრივი, რომელიც ზრუნავს ბავშვებზე; **შშმ პირები/შშმ ბავშვები**; - **მზრუნველობამოკლებული ბავშვები** - სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები; - **ღარიბი ბავშვიანი ოჯახები** - ა) ბავშვიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 100 000 ან ნაკლებია; ბ) ბავშვიანი ოჯახები, რომელთათვის დახმარების მისაღებად საჭირო სარეიტინგო ქულა განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ; გ) ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურ დახმარებას იღებენ არა სარეიტინგო ქულების მინიჭებით, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რომელიმე სხვა კრიტერიუმით.

რაც შეეხება სარეიტინგო ქულებს, განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ოჯახში სააგენტოს უფლებამოსილი პირის (სოციალური აგენტი) ვიზიტის დროს, ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შეივსება „ოჯახის დეკლარაცია", ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დეკლარირებული ინფორმაცია დასტურდება ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. დეკლარაციაში ასახული ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში განთავსებისა და დადგენილი მეთოდოლოგიით დამუშავების შემდეგ ოჯახს მიენიჭება სარეიტინგო ქულა,

რომლის ოდენობაც განსაზღვრავს ოჯახის უფლებას რაიმე სახის ბენეფიტზე (ფულადი სოციალური დახმარება და სხვა).

რა შემთხვევაში ინიშნება ფულადი სოციალური დახმარება და რამდენად ემყარება სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს?

მოქმედი მეთოდოლოგიით შეფასებულ (შესწავლილ) ოჯახებზე გათვალისწინებულია საარსებო შემწეობის შემდეგი ოდენობები:

- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაც 30 001-ზე ნაკლებია - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 60 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 30 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 57 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 50 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 57 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 60 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 40 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;
- ოჯახი, რომლის სარეიტინგო ქულაა 60 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 65 001 ქულაზე - საარსებო შემწეობა განისაზღვრება 30 ლარით ოჯახის ყველა წევრზე;

ზემოთ აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისათვის გამოყოფილია სამი სახის დახმარება: **პირდაპირი ფინანსური დახმარება** - ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ბენეფიციარებზე რეგულარულად ან ერთჯერადად გაცემული პირდაპირი ფულადი დახმარება.

არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდირების სახით - ადგილობრივი ან ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გამოყოფილი თანხა, რომელიც ბენეფიციარებს და მათ ოჯახებს აძლევს საშუალებას შეღავათიანი პირობით ისარგებლონ სხვადასხვა დახმარებით. მოიცავს კომუნალურ, სატრანსპორტო თუ სხვა შეღავათს.

მომსახურება - ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გაწეული სხვა დახმარება, რომელიც არ მოიცავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაწეულ ფინანსურ დახმარებას.

ცენტრალურ დონეზე მოპოვებული და დაჯამებული მონაცემების შედეგად დგინდება, რომ ანგარიშის სამიზნე ჯგუფებისათვის სამინისტროების მიერ გაცემულ დახმარებებს შორის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას ყველაზე

მოცულობითი წილი უკავია და 2014-2016 წწ. საშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის წილის 9,1% და მშპ-ის 3% იყო. ამავე პერიოდში, არაპირდაპირი ფინანსური დახმარება ქვეყნის ბიუჯეტის 1%-ზე ნაკლებს შეადგენდა, ხოლო მომსახურებაზე სამინისტროები ხარჯავდნენ 1 %-ზე მეტს. პირდაპირი ფულადი დახმარება ცენტრალურ დონეზე, ძირითადად, ორი სამინისტროს მიერ გაიცემა. ეს უწყებებია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. დევნილთა შემწეობები სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დევნილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სიების საფუძველზე გაიცემა, თუმცა სოციალური დახმარებების აღწერა და რეკომენდაციები - 2014-2016 წლები დევნილთა სამინისტრო სხვადასხვა კატეგორიებზე გასცემს ერთჯერად ფულად დახმარებას. ორივე სამინისტროს მიერ გაცემული პირდაპირი ფინანსური დახმარება, ერთად აღებული, წინამდებარე კვლევის ხუთივე სამიზნე ჯგუფს მოიცავს. საერთო ჯამში, ანგარიშის სამიზნე ჯგუფებისათვის ორივე სამინისტროს მიერ პირდაპირ ფინანსურ დახმარებაზე 2014 წელს დაიხარჯა 934,237.246 მლნ ლარი, 2015 წელს - 887,873.691 მლნ ლარი, ხოლო 2016 წლის არასრული მონაცემით (აგვისტოს თვის ჩათვლით), სახელმწიფომ პირდაპირ ფინანსურ დახმარებაზე 809,166.096 მლნ ლარი დახარჯა.

ცენტრალურ დონეზე ანგარიშის სამიზნე ჯგუფებზე არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ გაიცემა.

ცენტრალურ დონეზე ანგარიშის სამიზნე ჯგუფებზე მომსახურების ფორმით დახმარებას გასცემს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო. ცენტრალური სტრუქტურების მიერ შეთავაზებული ზოგიერთი დახმარება პირდაპირ ებმის სამიზნე ჯგუფების სოციალურ სარეიტინგო ქულებს. ამ სახის დახმარებით განსაკუთრებით იფარება სამი სამიზნე ჯგუფი: მარტოხელა ხანდაზმულები, შშმ პირები/შშმ ბავშვები და ღარიბი ბავშვიანი ოჯახები.

2014-2016 წლების განმავლობაში გაიზარდა როგორც მუნიციპალიტეტების წლიური ბიუჯეტები, ასევე ჯანმრთელობის დაცვაზე და სოციალური უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხებიც. თუმცა, თუ აღნიშნული პროგრამების წილი 2014 წელს მთლიან ბიუჯეტში 15.25% იყო, 2016 წელს იგი 14.22%-მდე შემცირდა. თბილისმა საანგარიშო პერიოდში (2014-16 წლები) მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე დიდი თანხა - საერთო ხარჯების დაახლოებით მეოთხედი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ პროგრამებს მოახმარა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა წლებისა და თვეების მიხედვით კლებადია. სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებით, ბაზაში რეგისტრირებული სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების რაოდენობა, რომლებიც არიან საარსებო შემწეობის მიმღებნი. 2014 წელს 141 776 ოჯახი ოყო დარეგისტრირებული, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 13,8%; 2015 წელს 125 301 ოჯახი, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 11.8%; 2016 წელს - 129 579 ოჯახი , პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 12.2%; 2017 წელს - 131 502, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 12.3; 2018 წელს - 127 818, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 12.0; 2019 წელს - 129 766 ოჯახი, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 12.2; ხოლო 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით 120 680 ოჯახია საარსებო მინიმუმის მიმღებთა სიაში, მთლიანი მოსახლეობის 11.3 %. ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღები პირების სტატისტიკა კი ასეთია: 2014 წელს 421 387 პირი იყო დარეგისტრირებული, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 9.4; 2015 წელს 389 690 პირი, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 10.4; 2016 წელს - 407 339 პირი, პროცენტული წილი მთელს

მოსახლეობასთან; 2017 წელს 455 813, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 12.2%; 2018 წელს 435 450, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 11.7, 2019 წელს 442 112, პროცენტული წილი მთელს მოსახლეობასთან 11.9%; ხოლო 2020 წლის იანვრის თვის მდგომარეობით 432 218 იღებდა საარსებო შემწეობას, მთლიანი მოსახლეობის 11.6%.

თვალსაჩინოა წლების მიხედვით სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობის კლება, თუმცა რამ გამოიწვია ეს შედეგი? ქვეყანაში სიღარიბის შემცირებამ თუ ქულების არასამართლიანმა განაწილებამ? მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ღარიბთა დიდი ნაწილი ვერ ხვდება სოციალური დახმარების მიმღებთა სიაში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: უიმედობა (ღარიბი მოსახლეობის ნაწილი ფიქრობს, რომ მაინც ვერ მიიღებენ დახმარებას), ადრე შეტანილ განაცხადზე უარყოფა, საჭირო დოკუმენტების არ არსებობა, ასიმეტრიული ინფორმაცია და ა.შ.

ცხადია, დღეს საქართველოში გაცილებით მეტი ღარიბი და ღატაკია და ამიტომ სიღარიბის შეფასების ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი არ გამოდგება სიღარიბის რეალური დონის განსასაზღვრელად.

საქართველოს რეგიონების ჭრილში სიღარიბე განსხვავებულია, თუმცა, იგი ყველგან არის. ამ დასკვნას ვაკეთებთ NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძ-ველზე. მაღალია სიღარიბის დონე კახეთში და ქართლში, კიდევ უფრო მაღალი შორეულ, მთიან და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ მოსახლეობაში - თუშეთში, მთიან აჭარაში, ფშავ-ხევსურეთში და სხვაგან.

მოსახლეობის ცხოვრების დონე იზომება არა მხოლოდ მათი შემოსავლებით და ხარჯებით, არამედ მასზე მოქმედებს სამედიცინო მომსახურების და განათ-ლების დონეც.

2013 წლამდე სახელმწიფო აფინანსებდა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სამედიცინო მომსახურებას, რომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. 2007 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით მოსახლეობის მხოლოდ 4,1% იყო მოცული, ხოლო 2012 წლისთვის იგი 37,9%-მდე გაიზარდა. თუ ამას დავუმატებთ ინდივიდუალური და კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით

მოცულ პირებს, მთლიანად ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევით მოცული იყო 1981123 ადამიანი (50,8%). შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, დაახლოებით 2 მილიონზე მეტ ადამიანს არ გააჩნდა სამედიცინო დაზღვევა. მათ საკუთარი ხარჯებით უნდა დაეფარათ მკურნალობის სრული ღირებულება, რაც არაიშვიათად იწვევდა კატასტროფულ დანახარჯებს.

ამასთან, 2013 წლის 28 თებერვლამდე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, გადაუდებელი (ურგენტული) მდგომარეობების დროს პროგრამული დახმარება მიეწოდებოდა მხოლოდ 0-დან 5 წლამდე და 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობას. ამ პირობებში 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ითვლებოდა მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით მოსარგებლედ, რის გამოც მოკლებულნი იყვნენ საშუალებას მიეღოთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნული ზრდიდა დაავადებათა გართულებული შემთხვევების რაოდენობას და შესაბამისად, ლეტალობის რისკს.

2013 წლის 28 თებერვლიდან საქართველოში ამოქმედა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის მეშვეობით სამედიცინო დაზღვევის არმქონე 2 მილიონზე მეტ მოქალაქეს მიეცა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო სერვისებით სარგებლობის უფლება. დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით - საყოველთაო ჯანდაცვისა თუ სახელმწიფო და ნებაყოფლობითი სამედიცინო სადაზღვევო პროგრამებით, მათ შორის დაახლოებით 3,4 მლნ ადამიანი მოცულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, 560 ათასი ადამიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეა, ხოლო 546 ათასამდე პირს აქვს ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა; მათ პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს ნახაზი 4. ამასთან, ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და 365 მლნ ლარიდან 634 მლნ ლარამდე გაიზარდა.[1]

დღეს კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ფინანსდება პირველადი ჯანდაცვის რგოლის ოჯახის/უბნის ექიმის მომსახურება, გადაუდებელი

[1] *საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2013 წლის ანგარიში.*

ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, გეგმური ქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა.

გეგმური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით გათვალისწინებულია:

- ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე (ანაზღაურდება 100%-ით);
- ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები;
- ექიმ-სპეციალისტების (ენდროკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი) მომსახურება, ოჯახის ან უბნის ექიმის დანიშნულებით (ანაზღაურდება 70%-ით).

ნახაზი 2. საქართველოში საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული სერვისები.



საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვას 2014 წელს მოხმარდა 674 მლნ ლარი (სოციალურ დაცვასთან ერთად 2791 მლნ

ლარი), ეს იყო ბიუჯეტის 8,1%, 2015 წელს დაიხარჯა ბიუჯეტის 9,4% ანუ 740 მლნ ლარი. ეს მაშინ როცა გერმანიაში იხარჯება ბიუჯეტის 17,6%, ნორვეგიაში 17,9%, საფრანგეთში 16,7% და ა. შ. ჯანდაცვაზე დახარჯული სულადობრივი თანხა გერმანიაში შეადგენს 2548 ლარს, ნორვეგიაში 3780 წლიურ დოლარს, საფრანგეთში 2833 ლარს,[1] საქართველოში კი 674000000:4490500=150 ლარს, ხოლო სოციალური დაცვის ხარჯებთან ერთად 2791000000:4490500=621 ლარს .

როგორც ჩანს, არცერთი ეს ციფრი არ იყო შთამბეჭდავი ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნების - გერმანის, ნორვეგიის და საფრანგეთის ფონზე, თუმცა დამშვიდების საფუძველს ის იძლევა, რომ წინა წლებში (მაგალითად, 2006 წელს) იგი მხოლოდ ბიუჯეტის 5,6% იყო, რაც ერთ მცხოვრებზე ანგარიშით მაშინდელი კურსით 76 დოლარს შეადგენდა.

რაც შეეხება ბოლო წლებში მომხდარ ცვლილებებს: 2017 წლის 1 მაისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდა.

შეიქმნა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ჯგუფები და დაფინანსების პირობები:

►სოციალურად დაუცველებს, პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, პედაგოგებს, სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, შშმ პირებს:

• საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი სპეციალური სერვისების მოცულობა უცვლელად უნარჩუნდებათ

• არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

► 70 000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს და 6-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს:

• უნარჩუნდებათ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის საბაზისო პაკეტი;

• არ ეზღუდებათ დამატებით კერძო სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება.

►ყოველთვიურად 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოქალაქეები, თვითდასაქმებული, არარეგულარული შემოსავლის მქონე მოქალაქეები:

[1] *Доклад о развитии человека, 2009, გვ. 199-200.*

• საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მცირედ შეზღუდული პაკეტით სარგებლობენ

• კერძო დაზღვევის არსებობის შემთხვევაში უნარჩუნდებათ გადაუდებელი სერვისების დაფინანსება.

უნარჩუნდებათ ონკოლოგიური დაავადებების (ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია) მკურნალობა და მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

►საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებს, რომელთა ყოველთვიური შემოს ავალი 1000 ლარზე მეტია, მაგრამ წლიური შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს:

• სარგებლობენ ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეზღუდული სერვისებით ან კერძო სადაზღვევო პაკეტით.

• უნარჩუნდებათ ონკოლოგიური (ქიმიო და ჰორმონოთერაპია) დაავადებების მკურნალობა,

მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება.

►მოქალაქეები, რომელთა შემოსავალი წელიწადში 40000 ლარს აღემატება, სა ყოვე ლთაო ჯანდაცვის პროგრამით ვეღარ ისარგებლებენ.

პროგრამის ფარგლებში ყველა მოქალაქეს უნარჩუნდება მშობიარობა/საკეისრო კვეთის დაფინანსება ყველა მოქალაქეს შეეძლება ჯანდაცვის სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამებით სრულფასოვნად სარგებლობა.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სერვისების მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალური მონაცემების და არა ოჯახის შემოსავლის მიხედვით

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ, 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტები დაუფინანსდებათ.

2019 წელს კი სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამა ასე გამოიყურება:

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი პროგრამის კომპონენტებია: კიბოს სკრინინგის კომპონენტი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტი; 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების

პრევენცია; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი.

იმუნიზაცია პროგრამის კომპონენტებია: ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა; სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა; აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება. 3. ეპიდზედამხედველობის პროგრამა პროგრამის კომპონენტებია: რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული სჯდ ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსება; მალარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება;

ინფექციების ეპიდზედამხედველობა. ვირუსული დიარეების კვლევა; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება.

უსაფრთხო სისხლი. პროგრამის კომპონენტებია: დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივინფექციაზე/შიდსზე და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა (მ.შ., სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზის ადმინისტრირება და ქვეყნის მასშტაბით დანერგვა); სისხლის უანგარო რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კომპანიის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შორის, „უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა და კვლევები ფოკუსჯგუფებში დონორობის მოტივაციური ფაქტორების გამოსავლენად; სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევა Cor-Ag მეთოდით, მ.შ. იმ სისხლის ბანკებში რომლებიც არ წარმოადგენენ ამ პროგრამის მომსახურების მიმწოდებლებს, მაგრამ ჩართულნი არიან ხარისხის გარე კონტროლის ერთიან სისტემაში.

პროფესიულ დაავადებათა პრევენცია. პროგრამის კომპონენტებია სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა.

ტუბერკულოზის მართვა. პროგრამის კომპონენტებია: ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება) ლაბორატორიული კონტროლი და ამბულატორიული მეთვალყურეობა; სტაციონარული მომსახურება; პენიტენციური დაწესებულებებისათვის ტუბერკულოზის მართვისთვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა; ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონალური მართვა და მონიტორინგი; ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადი და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა ფულადი წახალისების დაფინანსება.

აივ ინფექცია/შიდსის მართვა. პროგრამის კომპონენტებია: აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება; მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტსისტემების და სახარჯი მასალების შესყიდვა; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა. პროგრამის კომპონენტებია: ანტენატალური მეთვალყურეობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა; ახალშობილთა და

ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - ფოლუმის მჟავისა და რკინის პრეპარატების შესყიდვა, მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის შესყიდვა, სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა.

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა. პროგრამის კომპონენტებია: სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს; ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში; ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა; ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა;

ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა. პროგრამის კომპონენტებია: თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერებადამოკიდებულების პრევენცია; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება. პროგრამის კომპონენტებია: ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი.

ფსიქიკური ჯანმრთელობა. პროგრამის კომპონენტებია: ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე

დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი.

დიაბეტის მართვა. პროგრამის კომპონენტებია: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება; შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა; შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია. პროგრამის კომპონენტებია: ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა; პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა.

პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა. პროგრამის კომპონენტებია: ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა პროგრამის კომპონენტებია: იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება;

ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ფენილკეტონურიით დაავადებულთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა; მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფა; იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფა; დიდი თალასემიით დაავადებულთათვის რკინის შემბოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფა; სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება. პროგრამის კომპონენტებია: სასწრაფო სამედიცინო დახმარება (მ.შ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება); რეფერალური დახმარება; სამედიცინო ტრანსპორტირება.

სოფლის ექიმი. პროგრამის კომპონენტებია: პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა); სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება; სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

რეფერალური მომსახურება. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების,

კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას, მათ შორის: ა.ა) გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პირების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, თუ ეს ხარჯები არ იფარება სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით; ა.ბ) პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით; ა.გ) ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (ტრასტუზუმაბი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.დ) ფილტვების იდიოპათური ფიბროზის დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (პირფენიდონი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.ე) პროგრამა „საზაფხულო სკოლებით“ („დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“) განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით; ა.ვ) სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პოსტკოიტალური კონტრაცეფციით/სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა. ბ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევას.

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიულ შემოწმებას; სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებით გამოკვლევებს.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფა. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის, დიაბეტის (ტიპი 2) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას და ლოგისტიკის კომპონენტს – ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლეებზე. (მედიკამენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. ასევე, "C ჰეპატიტის მართვის" სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სკრინინგული კვლევის კომპონენტს; დიაგნოსტიკის კომპონენტს; მკურნალობის კომპონენტს; ფარმაცევტული პროდუქტის ლოჯისტიკის კომპონენტს; პილოტურ პროექტს - „HCV ინფექციაზე სკრინინგისა და გამარტივებული მიდგომებით მკურნალობის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ და ასევე, მეორე პილოტურ პროექტს - „მკურნალობამდე დიაგნოსტიკური კვლევებისა და მკურნალობის დროს მონიტორინგის პროცესის გამარტივება C ჰეპატიტის ვირუსის ელიმინაციის პროექტში“.

სულ ჯანმრთელობის დაცვის ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო პროგრამებში 2014 წელს დაფინანსდა 381,809 ბენეფიციარი, 2015 წელს - 270,632, 2016 წელს -261,757, 2017 წელს- 262, 354, 2018 წელს- 275, 563, ხოლო 2019 წელს კი 279,970 ბენეფიციარი.

გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვალის №36 დადგენილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისთვის გულისხმობს გადაუდებელ და გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუდებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას, შესაბამისი პაკეტის ფარგლებში, გარკვეული ლიმიტის შესაბამისად, ასევე, აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირდა "ინფექციური დაავადებების მართვის" სახელმწიფო პროგრამა, გარკვეული ნოზოლოგიებით, შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში.

როგორც ვხედავთ ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, თუმცა რამდენადაც არასაკმარისად არ უნდა ჩავთვალოთ საქართველოს მთავრობის ზრუნვა საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის, ის რაც გაკეთდა, აშკარად შედეგიანია.

რაც შეეხება განათლებას, საქართველოში განათლების განსავითარებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს დაიხარჯა 769 მლნ ლარი, ანუ ბიუჯეტის 9,3%, 2015 წელს კი გამოყოფილი იყო 851 მლნ ლარი, ანუ 2015 წლის ბიუჯეტის 9,6%. დაფინანსების ამ მოცულობას თუ 2014 წლის მთლიან შიდა პროდუქტის მოცულობის მიმართ პროცენტულად ვიანგარიშებთ, ეს იქნება მისი დაახლოებით

4,5%, ანუ თითქმის იმდენი როგორც აშშ-ში (4,9%), გერმანიაში (4,6%) და ცოტა მეტიც კი, ვიდრე იაპონიაში (3,5%).[1]

ეს თანხები ძირითადად იხარჯებოდა სკოლების მოსაწყობად. 2011 წლდიან 2014 წლამდე საქართველოში ახალი საჯარო სკოლა არ გახსნილა. იგივე ითქმის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზეც.

საქართველოში საგანმანათლებლო ქსელი 2009-2014 წლებში 2704 ერთეულიდან 2523 ერთეულამდე შემცირდა. საჯარო სკოლების რაოდენობა შემცირდა 95 ერთეულით, კერძო სკოლები კი 39 ერთეულით. საერთოდ გაუქმდა სახელობო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა რიცხვი იყო 74 (2009 წელს), სამაგიეროდ გაიხსნა 104 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, მ. შ. 29 სახელმწიფო საკუთრების და 75 - კერძო. უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა შემცირდა 66-მდის, მ. შ. კერძო - 108 ერთეულიდან 47-მდე.

მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა სახელობო დაწესებულებებში 21,1 ათასით. შემცირება შეეხო საჯარო სკოლებს (74,8 ათასით), რაც შეეხება სხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებებს, იქ კონტინგენტის შემცირება არ მომხდარა (იხ. ცხრილი 9).

მოსწავლეთა საერთო რიცხვის შემცირება გამოიწვია ოჯახების მიგრაციამ საზღვრებს იქით და კიდევ ბევრმა სხვა მიზეზებმა - ოჯახების დანგრევამ, უკიდურესმა სიღარიბემ და ა. შ. საქართველოში ყოველ 10 000 კაცზე ანგარიშით 2013-2014 სასწავლო წელს მოდიოდა 1233 მოსწავლე, ნაცვლად 1408 მოსწავლისა 2009-2010 სასწავლო წელს და 1557 მოსწავლისა 2003-2004 სასწავლო წელს. მაშასადამე, ამ შეფარდებითი მაჩვენებლის ტენდენცია საქართველოში კლებადი იყო, რაც გვაფიქრებინებს, რომ მეტად დიდი რაოდენობის ბავშვები გაუნათლებელნი დარჩენენ, მათ წერა-კითხვაც კი არ იციან და ეს ხდება XXI საუკუნეში, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ეპოქაში.

[1] *სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006, გვ. 232.*

ცხრილი 9

საქართველოს საგანმანათლებლო ქსელი 2009-2013 წლებში[1]

	დაწესებულებათა რიცხვი			მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხვი (ათასი კაცი)		
	2009-2010	2013-2014	გადახრა	2009-2010	2013-2014	გადახრა
საჯარო სკოლები	2179	2084	-94	576,8	502	-74,8
კერძო სკოლები	283	244	-39	47,7	51,1	+3,4
სახელობო დაწესებულებები	74	-	-74	21,1	-	-21,1
საჯარო პროფსასწავლებლები	-	29	+29	-	11,1	+11,1
კერძო პროფსასწავლებლები	-	75	+75	-	10	+10
სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები	21	19	-2	74,1	83,3	+9,2
კერძო უმაღლესი სასწავლებლები	108	47	-61	28,7	34,5	+5,8
დოქტორანტურის მქონე დაწესებულებები	39	25	-14	3,0	3,2	+0,2

ქვემოთ მოტანილ ნახაზზე 5, რომელზეც განათლების დონის მიხედვით უმუშევრობის მაჩვენებლებია დატანილი, გვიჩვენებს, რომ საქართველოში 2009 წელს არსებული განათლების დონე, მისი სახეები და პროფესიები ნაკლებად შეესაბამებოდა ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს.

განათლების ხარისხის პრობლემა არსებობდა ზოგადი განათლების სისტემაშიც. 2009 წლის მოსწავლეების საერთაშორისო შეფასების პროგრამის (PISA) მიხედვით, საქართველოში მოსწავლეების შეფასება OECD-ის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი იყო. მოსწავლეთა მხოლოდ 38% სცილდება ფუნქციური წერა-კითხვის ზღვარს, ხოლო მათემატიკაში ზღვარზე ან ზღვარს ზემოთაა მოსწავლეთა მხოლოდ 31%-ია.

[1] *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, 2014, გვ. 65.*

ნახაზი 3. უმუშევრობის მაჩვენებლები განათლების დონის მიხედვით (2010)[1]



უმუშევრობის დონეზე სკოლამდელი განათლების ხარისხიც ახდენს გავლენას. საქართველოში საშუალოდ ბავშვების მხოლოდ 46% დადის საბავშვო ბაღში. რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი 20%-დან 58%-მდე მერყეობს და სოფლად კიდევ უფრო დაბალია. გარდა ამისა, სკოლამდელი განათლების ხარისხი არ არის თანაბრად უზრუნველყოფილი და დარეგულირებული ეროვნული სტანდარტებით, რაც ერთობლიობაში აუარესებს მოსწავლეების მზაობას ზოგადი განათლებისა და მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის. ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსწავლეების არათანასწორ შესაძლებლობებს საგანმანათლებლო პროცესებში.

გამოწვევების წინაშე იდგა პროფესიული განათლების სისტემაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია და ის ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც აკადემიური განათლების თანასწორი ან მიმზიდველი საგანმანათლებლო ალტერნატივა. პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების საშუალებად.

პრობლემას წარმოადგენს განათლების დაფინანსების დაბალი დონეც, რომელიც ბოლო წლებში იზრდება, თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

[1] *წყარო: მსოფლიო ბანკი, ოჯახების ბიუჯეტების 2010 წლის მიმოხილვის საფუძველზე.*

მცირე დაფინასება უარყოფითად აისახება განათლების სფეროში ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. გარდა ამისა, პედაგოგებს აქვთ დაბალი ანაზღაურება და ნაკლები მოტივაცია.

სკოლების და მოსწავლეთა შემცირებამ გამოიწვია პედაგოგების შემცირებაც. 2009-2014 წლებში საქართველოს სკოლებში შემცირდა 12739 პედაგოგის სამუშაო ადგილი. ისინი მიემატნენ დაუსაქმებელ და სამუშაოს მაძიებელ ისედაც დიდი რაოდენობის მოსახლეობას.

2009-2014 წლებში შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობაც (129-დან 65-მდე), თუმცა არ შემცირებულა სტუდენტების რიცხვი, პირიქით, იგი 102,7 ათასიდან 117,8 ათასამდის გაიზარდა. ზრდა მოხდა როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო უმაღლეს დაწესებულებებში. ამის შედეგია სწორედ ის ფაქტი, რომ არ შემცირებულა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი. პირიქით იგი 931 კაცით გაიზარდა.

2013-2014 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწე-სებულებების ბაკალავრიატში ირიცხებოდა 104809 სტუდენტი, მაგისტრატურაში - 10836 სტუდენტი, პროფესიულ სასწავლებლებში 2065, ხოლო დოქტორანტურაში - 3213 სტუდენტი.

კურსდამთავრებულთა რიცხვის დინამიკა 2009-2014 წლების პერიოდში ზრდადი იყო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში იგი შეადგენდა 163%-ს, დოქტორანტურაში 413%-ს.

ამ მიმოხილვიდან ჩანდა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო ქსელში და პროფესიულ სასწავლებლებში უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე სკოლებში. რაც საკმაოდ ყურადსაღებად მიგვაჩნდა .

შემდეგ წლებში კი მდგომარეობა გაუმჯობესდა. 2015/2016 წლებში საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა 2331 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და ირიცხებოდა 553 914 მოსწავლე, 2017/2018 წლებში ფუნქციონირებდა 2308 საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და ირიცხებოდა 575 181 მოსწავლე, 2018-2020 წლებში კი არის 2313 სკოლა და 592 883 მოსწავლე.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება პროფესიული განათლება, რომლის ხელშეწყობაც უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. ამჟამად საქართველოში ხორციელდება 2013-2020 წლების პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოების ყველა ფენისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, ბოლო წლებში მცირე ცვლილებები განიცადა და 2019-2020 სასწავლო წელს სულ 105 საჯარო და კერძო დაწესებულებაა წარმოდგენილი, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მიმდინარე წელს 43-ია და სტუდენტთა რაოდენობა 53 268.

ნებისმიერი ადამიანის და სახელმწიფოს წარმატება დღეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ძალისხმევა დახარჯა მან ცოდნის მიღებასა და დაგროვებაზე. საქართველოში განათლების უნივერსალობის ხარისხი დაქვეითებულია. ამდენად განათლებას ბიზნესური პროფილის წარმატებები - მოგების ზრდა და ა. შ. - კი არ უნდა მოვთხოვოთ, არამედ განათლების მსოფლიო დონესთან ადექვატურობა. აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა შესაძლებელია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების განათლების სისტემებთან დაახლოებით, რაც საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოში, მათი ჰუმანიზაციის, უნივერსალობისა და კომპლექსურობის თვალსაზრისით.

კვლევებმა აჩვენა, რომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია 4-ჯერ უფრო მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში.

„საზოგადოება და ბანკების“ კვლევაში, „განათლება ეკონომიკური ზრდისთვის“ აღნიშნულია, თუ შევხედავთ საერთაშორისო რეიტინგებს, რომელიც მოსწავლეთა უნარებს აფასებს, დავინახავთ, რომ კორელაცია აღნიშნული რეიტინგების შედეგებსა და ქვეყნის მშპ-ს შორის საკმაოდ მაღალია. ქვეყნები, რომლებიც საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილს ფლობენ, მაღალი მშპ-ის დონით გამოირჩევიან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება (განათლებაში ინვესტირება), იმისათვის რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ეკონომიკური ზრდა დარჩება დაბალ

ნიშნულზე, რომელიც მიესადაგება მისი ადამიანური კაპიტალის რესურსს. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობა კვლავ არც თუ ისე სახარბიელოა. მიუხედავად იმისა, რომ სწავლაზე დახარჯული წლების საშუალო მაჩვენებელი, საქართველოში არც ისე დაბალია (გაეროს მონაცემების თანახმად, სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში 15 წელია), საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის რეიტინგი საერთაშორისო კვლევებში. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, ქართველ მოსწავლეთა განათლების დონე საგრძნობლად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს, როგორც დაწყებითი განათლების საფეხურზე, ასევე საშუალო განათლების საფეხურზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომია (საჯარო სკოლები თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტშია განთავსებული და სწავლა უფასოა), მაღალი ხარისხის განათლებაზე წვდომა ყველა ბავშვს არ აქვს, ვინაიდან არსებობს სხვაობა განათლების იმ დონეებს შორის, რასაც საჯარო სკოლებში და კერძო სკოლებში იღებენ.

განათლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და დიდ როლს თამაშობს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის მწარმოებლურობაზე, ფაქტორებზე როგორიცაა ფიზიკური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, ადამიანური კაპიტალი და ტექნოლოგია. საქართველო არაა მდიდარი ფიზიკური კაპიტალით, ქვეყანას აქვს გარკვეული ბუნებრივი რესურსი (თუმცა მის სწორად გამოყენებას ცოდნა სჭირდება), ცოდნა სჭირდება ტექნოლოგიურ პროგრესსაც, ხოლო ადამიანური კაპიტალი თავისთავად ცოდნისა და გამოცდილების არსებობას გულისხმობს. შესაბამისად, ცოდნის მიღება და განათლების მაღალი დონე ის ერთადერთი გზაა, რაც აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, დღეს საქართველოს "განათლებულ" უმუშევართა დიდი ნაწილი მოტყუებულია, რადგან მათ მთავრობის დაშვებით განათლება "სარდაფებში და ავტოფარეხებში გახნილ კერძო უნივერსიტეტებში მიიღეს". რაღა თქმა უნდა, რომ მათი განათლების დონე დღევანდელი ბიზნესის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში განათლება წარმოადგენს სახელმწიფოს ზრუნვის სფეროს. საქართველოშიც ამ დარგში დიდი ხანია მიმდინარეობს რეფორმები და ბევრი კარგიც გაკეთდა, მაგრამ სწავლების ევროპული ხარისხის მისაღწევად ჯერ კიდევ დიდი შრომა გვჭრიდება.

მსოფლიო გადავიდა ახალ ეკონომიკურ წყობაზე, მას ცოდნის ეკონომიკა ქვია. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მაღალი იდნექსაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ეს იმ ეფექტიანი პროგრამების განხორციელებით უნდა მოხდეს, რომლებიც ამ სფეროში საქართველოს მთავრობას გააჩნია.

ამრიგად, ჩატარებულმა გამოკვლევამ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, აშკარად დაგვანახა მისი არც ისე სახარბიელო მდგომარეობა. მოსახლეობის დიდ ნაწილს მცირე შემოსავლები აქვთ, რის გამოც ისინი სიღარიბის ზღვარზე ან მის ქვემოთაა.

III.§3. შემოსავლების განაწილების უთანასწორობა საქართველოში

ვიდრე უშუალოდ საქართველოს მაგალითზე შემოსავლების უთანასწორობის ციფრობრივ მასალის ანალიზს წარმოვადგენთ, მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ცალკეულ მეცნიერთა აზრები და შეხედულებები განვიხილოთ.

შემოსავლების უთანასწორობა მოსახლეობაში ყოველთვის არ იყო. იგი მონათმფლობელურმა წყობილებამ წარმოშვა. ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებაში ეს განსხვავება არ არსებობდა, ვინაიდან არ არსებობდა ღარიბებად და მდიდრებად დაყოფა. მაშინ ადამიანები, რასაც მოიპოვებდნენ თანაბრად მოიხმარდნენ (განაწილება ხდებოდა თანაბრად). თუმცა, განსხვავება ამ ნიშნის მიხედვით ცალკეულ თემებსა (ტომებს) და რეგიონებს შორის მაინც იქნებოდა *ბუნებრივი რესურსების, უნარის, შრომის იარაღების და სხვა განსხვავებათა გამო".

მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა იწყება მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ფაქტორების მიზეზით განაწილების სამართლიანობა ირღვევა, საზოგადოების გარკვეული მცირე ფენა, უმრავლესობასთან შედარებით, შემოსავლების მეტ ნაწილს ითვისებს და სხვებზე მდიდარი ხდება, მაგალითად, მონათმფლობელები - მონებზე, თავადაზნაურები - გლეხებზე, კაპიტალისტები - მუშებზე.

სიღარიბეში იგულისხმება განსხვავება არა მხოლოდ მატერიალური ქონების, არამედ სხვა ფასეულობათა მიხედვითაც (განათლება, კულტურა, თავისუფლების ხარისხი და ა. შ.). შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულად, ყველა მონა და ყმაგლეხი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ითვლებოდნენ მუდმივ ღარიბებად. კაპიტალიზმის პირობებში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, ვინაიდან იურიდიულად მუშა (და გლეხიც) თავისუფალია და მისი იძულებით მუშაობა შეუძლებელია. ამდენად, კაპიტალისტი იძულებულია, შემოსავლებიდან მეტი დაუთმოს მას, ვიდრე ამას მონათმფლობელები და თავადაზნაურები აკეთებდნენ. ბატონყმობის წიაღში წარმოიშობა საშუალო ფენა, რომელიც კაპიტალიზმის დროს საზოგადოების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს.

საშუალო ფენა კი უმეტესწილად დაკავშირებულია მის ეკონომიკურ მდგომარეობასთან (იგულისხმება არა მხოლოდ შემოსავლის დონე, არამედ განათლება, ინტელექტუალური საკუთრება, კვალიფიციური შრომის უნარი და სხვ.) და საზოგადოების ის მრავალფეროვანი ნაწილია, რომლის წევრების შემოსავალი მერყეობს საზოგადოების (ქვეყნის) წევრთა შემოსავლების საშუალო დონის მახლობლად, ე. ი. ამ ფენის წარმომადგენლები არც ღარიბები არიან და არც მდიდრები. მისი შემადგენლობა მობილურია. მის რიგებში შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოების სრულიად სხვადასხვა წრის წარმომადგენელი (მუშა, გლეხი, მეწარმე, სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, სპორტსმენი და ა. შ.). საშუალო ფენის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მაკროეკონომიკურ და, საერთოდ, ქვეყნის საოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. სწორედ ამიტომაა, რომ განვითარებულ ქვეყნებში საშუალო ფენა საზოგადოების ყველაზე დიდი ნაწილია.

”საშუალო ფენის” ცნება პირველად გამოიყენა არისტოტელემ, ალბათ, ძირითადად, ხელოსანთა, ვაჭართა, მევახშეთა და მოსამართლეების იმ ნაწილის აღსანიშ-

ნავად, რომელთა მდგომარეობა მონათა ძირითად ნაწილზე უკეთესი იყო, ხოლო მონათმფლობელზე - უარესი. განვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის საშუალო ფენის ხვედრითი წონა იმდენად დიდია და ცხოვრების საერთო დონე იმდენად მაღალი, საზოგადოების დაყოფა კლასებად საერთოდ კარგავს აზრს. ამიტომ საზოგადოების დაყოფა ხდება მხოლოდ "სტრატებად", ანუ "ფენებად", რომელთა შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა არ არსებობს.

ისტორიული თვალსაზრისით, ადგილი აქვს **სიმდიდრის ზრდის ტენდენციას**. დროთა განმავლობაში ადამიანები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამიტომ დღევანდელი ღარიბი წარსულის მდიდრებზე გაცილებით მდიდარი შეიძლება აღმოჩნდეს არა შემოსავლების, არამედ, ცხოვრების კომფორტის მიხედვით. მაგალითად, დღევანდელი განვითარებული ქვეყნის საშუალო ფენის წარმომადგენილი გაცილებით მდიდარია, ვიდრე ეგვიპტის ნებისმიერი ფარაონი ან რომის ნებისმიერი იმპერატორი (მიუხედავად მათი გაცილებით დიდი შემოსავლებისა), ვინაიდან მათი ცხოვრების პირობები ნაკლებ კომფორტული იყო - ვერ სარგებლობდნენ დღევანდელი დონის სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით, ტელევიზიით, ვიდეო და აუდიოტექნიკით, კინომატოგრაფიით, ინტერნეტით და ა. შ.[1]

ამრიგად, შემოსავლების უთანასწორო განაწილების პრობლემა წინა საუკუნეებშიც იდგა, დღესაც დგას და როგორც ჩანს მომავალშიც იქნება. XX საუკუნეში მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანასწორობის დამყარების მიზნით ევროპაში და აშშ-ში მრავალი ღონისძიება გატარდა, მაგრამ დღესაც, კი აშშ-ში ამერიკელი ოჯახების 0,05% ფლობს ქვეყნად არსებული მთლიანი პირადი ქონების 35%-ს, მაშინ როცა უფრო "დაბლა" მყოფი ოჯახების 90%-ის ქონება შეადგენს მხოლოდ 30%-ს". მართალია, ცნობილი მეცნიერი, პ. ჰაინე, ერთ თავის ნაშრომში შენიშვნას აძლევს შემოსავლების განაწილების ბიუროს, აშშ-ში ოჯახებს შორის "შემოსავლების უთანასწორობის გაზვიადებაში, რადგან ისინი მხედველობაში არ იღებენ ოჯახების სიდიდეს, პირად გადასახადებს და ნატურით დახმარებებს,[2] მაგრამ ეს ასეც რომ იყოს, ფაქტი ერთია, მოსახლეობის შემოსავლებში უთანაბრობა

---

[1] *აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, 11, თბ., 2013, გვ. 2008.*

[2] *Пол Хейне, Экономический образ мышледния, М., 1991, გვ. 381.*

ამერიკაშიც არის და სხვა ქვეყნებშიც. ამის დადასტურებას გვიჩვენებს ცხრილში 10 მოცემული ციფრები.

ცხრილი 10

შემოსავლების განაწილების უთანაბრობა მსოფლიოში (%-ში)[1]

ქვეყანა	ყველაზე დაბალი 20%-ის	ყველაზე მაღალი 20%-ის	განსხვავდება მდიდარსა და ღარიბს შორის
იაპონია	10,6	35,7	3,4-ჯერ
გერმანია	8,5	36,9	4,3-ჯერ
ინდოეთი	8,9	41,6	4,7-ჯერ
კანადა	7,0	40,4	5,8-ჯერ
დიდი ბრიტანეთი	6,1	44,0	7,2-ჯერ
აშშ	5,4	45,8	8,5-ჯერ
რუსეთი	4,9	51,3	10,5-ჯერ
ჩინეთი	4,7	50,0	10,6-ჯერ
ნიგერია	4,4	55,7	12,7-ჯერ
მექსიკა	3,1	59,1	19,1-ჯერ
ბრაზილია	2,0	64,4	32,2-ჯერ
სამხრეთ აფრიკა	2,0	66,5	33,2-ჯერ

ასე რომ, შემოსავლების თანაბარი განაწილება უცხოა საბაზრო ეკონომიკური სისტემისთვის. ამის მიზეზად მეცნიერები, ქართველებიც და უცხოელებიც, მთელ რიგ ფაქტორებს ასახელებენ. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერები კემბელ რ. მაკკონელი და სტენლი ბრიუ შემდეგ ფაქტორებზე მიუთითებენ:[2]

1. **ადამიანთა განსხვავებები უნარებში, კერძოდ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში.** ინტელექტუალური უნარების მქონე ადამიანებს შეუძლიათ დაეუფლონ მაღალანაზღაურებად პროფესიებს.
2. **სწავლის და განათლების დონე.** ადამიანთა ერთი ნაწილი მიღებული განათლებით და პროფესიონალიზმით მაღლა დგას მეორე ნაწილზე. ამის შედეგათ მათი გამომუშავება უფრო მეტიც არის.
3. **პროფესიული გემოვნება და რისკი.** არის არასასიამოვნო სამუშაოები, მაგალითად, ნაგვის მოგროვება, რომელთა ანაზღაურება მაღალია, მაგრამ ყველა არ დათანხმდება მის შესრულებას. არის რისკიანი სამუშაოებიც, რომლებიც ასევე მაღალანაზღაურებადია.

---

[1] *ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009, გვ. 321.*

[2] *Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992, გვ. 280-281.*

4. **ქონების ფლობა.** ქონება ადამიანებს დიდ შემოსავალს აძლევს, განსაკუთრებით ფინანსური აქტივები - აქციები, ობლიგაციები და სხვა. ოჯახებს, რომელთაც ასეთი ქონება გააჩნიათ, სიმდიდრე და შემოსავლებიც (დივიდენდები, პროცენტები, კურსთა შორის სხვაობით მოგება და ა. შ.) მეტი აქვთ.
5. **ბაზარზე ბატონობა.**
6. **"საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა"**, ან პირიქით - უბედური შემთხვევა, მძიმე ავადმყოფობა, მარჩენალის სიკვდილი და ა. შ.

ამ ფაქტორების დასახელებამდე კემბელ მაკონელი და სტენლი ბრიუ იმასაც აცხადებენ, რომ "საბაზრო ეკონომიკა უნამუსოა, მან არ იცის მორალური ნორმები და ვერ ეგუება შემოსავლების "სამართლიან" განაწილებას".[1]

შემოსავლების უთანასწორობის ხარისხი შეიძლება დავინახოთ ლორენცის მრუდზე, სადაც "ოჯახების წილი" განლაგებულია აბსცისის ღერძზე, ხოლო შემოსავლების წილი - ორდინატის ღერძზე (ნახაზი 4).

ნახაზი 4. ლორენცის მრუდი



თეორიულად შესაძლებელია შემოსავლის აბსოლუტურად თანაბარი განაწილება, რომელიც ნახაზზე ნაჩვენებია ბისექტრისით. იგი უჩვენებს, რომ ოჯახების ყოველი მოცემული პროცენტი შესაბამის პროცენტულ შემოსავალს იღებს: 20% ოჯახების წილი იღებს შემოსავლის 20%-ს, 40% - შემოსავლის 40%, 60% - შესაბამის

[1] *Кемпелл Р., Макконел, Стенли Брю, Экономикс, М., 1992, გვ. 279.*

პროცენტს და ა. შ., რომელიც შესაბამისი წერტილებით ბისექტრისაზეა აღნიშნული. ბისექტრისასა და ლორენცის მრუდს შორის არსებული სივრცე მიუთითებს შემოსავლების უთანასწორობის ხარისხზე. რაც უფრო ფართოა ეს სივრცე ანუ დაცილება სწორ ხაზსა და მრუდს შორის, მით უფრო მეტია უთანასწორობის ხარისხი. თუ შემოსავლის ფაქტობრივი განაწილება აბსოლუტურად თანასწორი იქნებოდა, მაშინ ბისექტრისა და ლორენცის მრუდი ერთმანეთს დაემთხვეოდა. ნახაზზე აგრეთვე ნაჩვენებია აბსოლუტური უთანასწორობის სიტუაცია,რომელიც მაშინ წარმოიშობა, როცა ოჯახების 1%-ის საკუთრებაში აღმოჩნდებოდა შემოსავლის 100%. ამ შემთხვევაში ლორენცის მრუდი დაემთხვეოდა ორდინატის ღერძს.

საერთოდ შემოსავლების თანაბარი განაწილების საკითხი სადისკუსიო საკითხია. მას მომხრეებიც ყავს და მოწინააღმდეგეებიც. ერთსაც აქვთ სათანადო არგუმენტები და მეორესაც.

შემოსავლების თანაბარი განაწილების სასარგებლოდ ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ თანაბარი განაწილება მოცემული შემოსავლის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას იძლევა.[1] ეს კონცეფცია უტილიტარიზმად იწოდება. უთანასწორობის კონცეფციის დამცველები გვთავაზობენ "მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას" ანუ "მინიმაქსის კრიტერიუმს". მინიმაქსის კრიტერიუმი" საბოლოოდ დასაშვებად მიიჩნევს შემოსავლების უთანასწორობას, რადგან ეს გააძლიერებს შრომის სტიმულს და ქმნის შესაძლებლობას მეტი დახმარება გაეწიოთ ღარიბ ადამიანებს.[2] ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის და მეცნიერებს შორის ეს პოლემიკა დღესაც გრძელდება.

შემოსავლების არასამართლიანი განაწილება ყოველთვის აუცილებლად ეკონომიკური განვითარების დონესთან დაკავშირებული არ არის. იგი უფრო ჩამოყალიბებული ტრადიციებითა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფილებით განისაზღვრება.

იკვლევდა რა ისტორიულ ჭრილში ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებს განვითარებად ქვეყნებში, სვიმონ კუზნეცევი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდა-

---

[1] *სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006, გვ. 349.*
[2] *ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009, გვ. 324.*

პირველად ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს განაწილების გაუარესების პირობებში, ხოლო შემდეგ, გარკვეულ დონეზე იწყება შემოსავლების გათანაბრება. ეს გრაფიკულად გამოისახება მრუდით, რომელმაც კუზნეცის მრუდის სახელწოდება მიიღო (იხ. ნახაზი 5). ამ მრუდის თეორიული ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები უნდა გადანაწილდეს ბიზნესმენთა სასარგებლოდ, მათ რომ ეს თანხები წარმოებაში დააბანდონ, რითაც მიიღწევა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ამით გაიზრდება სამუშაო ადგილები და უმუშევარი ღარიბებიც დასაქმდებიან. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს დებულება არასწორია, იგი ემსახურება მათ ინტერესებს, რომლებიც სარგებლობენ განაწილების უსამართლობით. კუზნეცის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოითქმება შემდეგი მოსაზრებები:[1]

1. განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მდიდარი ნაწილი არ არის მიდრეკილი საინვესტიციო დაგროვებისადმი. ისინი ამჯობინებენ შემოსავლები გამოიყენონ პირადი დაგროვების მიზნით: შეიძინონ ძვირფასეულობა, უძრავი ქონება, გახსნან ანაბრები საზღვარგარეთ და ა. შ.
2. მცირე შემოსავლების დროს დაბალია სამუშაო ძალის უნარი: ჯანმრთელობა, განათლება, კვალიფიკაცია და ა. შ.
3. გადანაწილება ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ გაზრდის მოთხოვნას სამამულო წარმოების საქონელზე, რაც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი ფაქტორი იქნება.
4. სამართლიანი განაწილების შემთხვევაში გაცილებით დიდია ქვეყნის პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არ არის შეუძლებელი ერთდროულად ჰქონდეს ადგილი როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე განაწილების გაუმჯობესებას.

[1] *Тодаро П., Экономическое развитие, М., Юнити, 1997, გვ. 152.*

ნახაზი 5. შემოსავლების გათანაბრების მრუდი[1]



ეს საკითხი საქართველოსთვის ისეთივე მტკივნეულია, როგორც სხვა ღარიბი ქვეყნებისთვის. ჩვენთანაც შემოსავლები დიფერენცირებულია ქალაქსა და სოფლის მოსახლეობას და ქვეყნის რეგიონებს შორის. სოფლად შემოსავლები რომ უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად და საქართველოს ზოგიერთ დეპრესირებულ რეგიონში კიდევ უფრო მცირეა.

[1] *აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური მეცნიერებათა აკადემია, შრომები 11, 2013, გვ. 211.*

თავი IV. საქართველოში სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტების მოდელირება

სიღარიბე საქართველოში მეტ-ნაკლებად მისი საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ განვითარდა. ამ დროიდან დაწყებული ქვეყნის მთავრობა ყოველთვის იღებდა რაღაცა ზომებს მის დასაძლევად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დოკუმენტები იყო ორი სამთავრობო დადგენილება - "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე" და "საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია" (2002 წელი), რომელიც 2015 წლამდე სიღარიბის დაძლევის სტრატეგიას წარმოადგენდა. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას და სიღარიბის არსებით შემცირებას, საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას.[1]

ამ ჩანაწერის მიხედვით - 2015 წელს - საქართველოს მოსახლეობას უკვე უნდა ჰქონოდა კეთილდღეობა და ღირსეული ცხოვრების პირობები. ასეთ დროს, მოსახლეობის თითქმის ნახევარი ღარიბ-ღატაკია იყო, ხოლო ღირსეული პირობები ალბათ მოსახლეობის 5-10%-ს ჰქონდა (საშუალო და მდიდარი ფენა).

რეალურად, 1991-2002 წლამდე არსებულ პერიოდში მდგომარეობა უფრო მძიმე იყო. 1998 წელს მეცნიერი გ. ფანცულაია წერდა, რომ გაჭირვებით მცხოვრებთა რიცხვი (მათ მიეკუთვნებოდა 300 ლარამდე შემოსავლიანი ადამიანი) 82%-დან 73%-მდე შემცირდა, ხოლო ადამიანები, რომელთა არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება (მათ მიეკუთვნებოდა 100 ლარამდე შემოსავალი ადამიანი) 40%-დან 24%-მდე შემცირდა".[2] მაშასადამე, მაშინ ღარიბ-ღატაკნი მთელი მოსახლეობის 97%-ს შეადგენენ.

მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მცხოვრებნი (21,4%) და 40%-ის ქვევით მცხოვრებნი (8,4%) უნდა ჩავთვალოთ ღარიბებად და ღატაკებად. ჩვენი გამოთვ-ლით პირველი 959533 ადამიანია, მეორე 376639 ადამიანი. პროცენტულად საერთო

---

[1] *საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების სტრატეგია, თბ., 2002, გვ. 1.*

[2] *ფანცულაია გ., ოჯახების შემოსავლები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითა-რების ცენტრის ბიულეტენი, 1998, ნოემბერი, გვ. 31.*

მოსახლეობის მიმართ პირველის წილი 21,4%-ია, მეორესი - 8,4%, ანუ ორივესი ერთად 29,8%.

ასე რომ, ღარიბ-ღატაკთა რიცხვის შემცირება 1998 წელთან შედარებით ნამდ-ვილად მოხდა, მაგრამ მას შემდეგ გავიდა 17 წელი და ის, 2002 წელს მთავრობის მიერ დანაპირები კეთილღეობა, მიანც ვერ შეიქმნა.

სიღარიბე ყველა ქვეყანაშია, თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი. თუმცა იქ ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი თვეში 1296 დოლარია. ეს ციფრი თავისი სიდიდით საქართველოში შეძლებული ოჯახების საშუალო შემოსავალსაც კი მნიშვნელოვნად აღემატება. ასე რომ განსხვავება დიდია.

სიღარიბე არსებობს სხვა ქვეყნებშიც. ყველა ქვეყნის მთავრობა, და, მათ შორის საქართველოს მთავრობაც, ამუშავებს და ატარებს კიდეც სიღარიბის დაძლევის პროგრამებს. ზოგან იგი შედეგიანია, ზოგან ნაკლებშედეგიანი და რიგ შემთხვევებში საერთოდ უშედეგო. როგორც აღვნიშნეთ, ეს კეთდება საქართველოშიც. სიღარიბის დაძლევის საქართველოს სამთავრობო პროგრამები ძირითადად გამოიხატება უმწეო მოსახლეობისთვის პენსიების, შემწეობების, სუბსიდიების მიცემაში, პირველადი მოხმარების პროდუქტების გადაცემაში და ა. შ.

მაშასადამე, საქართველოში გაჭირვებულ ადამიანთა სოციალური დაცვისთვის გარკვეული ღონისძიებები ტარდება და მნიშვნელოვანი თანხები ბიუჯეტიდან იხარჯება. ამ მიზნით საკმაოდ დიდი მოცულობის სახსრებიც შემოდიოდა საერ-თაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან (მსოფლიო ბანკიდან - 640 მლნ აშშ დოლარი, სავალუტო ფონდიდან 470 მლნ აშშ დოლარი) და ცალკეული ქვეყნები-დან. ამ თანხების ნაწილი პირდაპირ ბიუჯეტში ირიცხებოდა, ნაწილი კი ხმარდე-ბოდა სოციალური ინფრასტრუქტურის და ცალკეული დარგების განვითარებას. ამის მიუხედავად სიღარიბე საქართველოში კვლავაც არსებობს.

სიღარიბის შემცირების მიმართულებით საქართველოს მთავრობის ზრუნვა არ შეწყვეტილა დღესაც. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში (”საქართველო 2020”), რომელიც შემუშავდა 2013 წლის ნოემბერში, ჩაწერილია, რომ ”საქართველო ისწრაფვის გახდეს თავისუფლების, კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის ქვეყანა, სადაც საზოგადოების ყველა წევრი

სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და მაქსიმალურად არის გამოყენებული თითოეული მოქალაქის პოტენციალი".[1] იქვე, იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ: "სოციალურ უზრუნველყოფის სფეროში მთავრობის პოლიტიკას ორი მიზანი აქვს - შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. შედეგად, 2020 წლისთვის უღარიბესი დეცილის გადაფარვა TSA-თი მოხდება 80%-ის ფარგლებში, მედიანური მოხმარების 60%-ზე ქვევით აღმოჩნდება მოსახლეობის 18%, 40%-ის ქვემოთ - 5%, ჯინის კოეფიციენტი გახდება 35%, საპენსიო დახმარება 100%, ხელფასის ჩანაცვლების მაჩვენებელი 25% .

ამის გარდა, დაიგეგმა ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, განათლების განვითარება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და ა. შ. როგორც ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების საშუალებები. წინა თავებში გაკეთებული ანალიზი და დინამიკა აჩვენებს რამდენად შესრულდა ზემოთ აღნიშნული პროგრამა, თუმცა დადებითი დინამიკა 2020 წლისათვის თვალსაჩინოა, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია ამ კუთხით.

შეუძლებელია არ შევეხოთ **ბავშვთა სიღარიბეს.** საქართველოში ერთ–ერთ მძიმე გამოწვევად რჩება ბავშვთა სიღარიბე. წლების განმავლობაში ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ბავშვთა სიღარიბე უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ქვეყნისთვის. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები წლიდან წლამდე რთულად აღწევენ თავს ამ ვითარებას და სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო რთულად გამოდიან ამ მდგომარეობიდან.
ბავშვს სიღარიბეში ყოფნა ბევრი გამოწვევის წინაშე აყენებს: მაგალითად, განათლებასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სერვისების მიღებასთან დაკავშირებით, იმისგანაც არ არის დაზღვეული, რომ მშვიდი გარემო ჰქონდეს, არ არის დაცული მისი უსაფრთხოება. ძალიან ბევრი ისეთი ფაქტორი იყრის თავს, რომელიც ბავშვს შემდეგომ განვითარებაში ხელს უშლის. სამწუხაროდ,

[1] *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, თბ., 2013, გვ. 7.*

არასწრულწლოვანს მდგომარეობის შესაცვლელად არაფრის გაკეთება არ შეუძლია, მას არ აურჩევია სად იზრდება. ანუ პასუხისმგებლობა იმაზე როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ბავშვის მდგომარეობა არის ოჯახზე, საზოგადოებაზე და რა თქმა ხელისუფლებაზე. ბოლო მონაცემი, რომელიც საქართველოში ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის სურათს აღწერს, 2017 წლით თარიღდება და ის გაეროს ბავშვთა ფონდის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევებს ეფუძნება, რომლებიც საქართველოში 2009 წლიდან 2017-ის ჩათვლით რამდენჯერმე ჩატარდა. ამ გამოკვლევების მიხედვით: 2009 წელს საქართველოში სიღარიბეში ცხოვრობდა ბავშვების 11.5%. 2011 წელს – 9.4 %; 2013-ში – 6 %; 2015 წელს – 2.5 %. ხოლო 2017 წელს – 6.8 %. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემების თანახმად, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 20,1 პროცენტია. აქედან 0-დან 17 წლამდე ასაკის ადამიანების 25.5 % ცხოვრობს აბსოლუტურ სიღარიბეში - ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად ემთხვევა "იუნისეფის" მონაცემს ზოგადი სიღარიბის შესახებ.

2018 წელს სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში წერია, რომ ბავშვთა სიღარიბის დაძლევის მხრივ წლებია ქვეყანაში არსებული ვითარება არ შეცვლილა და რომ ამ მხრივ ყველაზე რთულ ვითარებაში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები არიან. თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში არსებული 6 დღის ცენტრის და 6 სადღეღამისო თავშესაფრით 2018 წელს 280-მა არასრულწლოვანმა ისარგებლა. და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ბავშვების, ვინც სიღარიბეში ცხოვრობს და დახმარებას ითხოვს. საქართველოში 83 065 მოზარდი სარგებლობს ე.წ „ბავშვის კვების ბარათით“, რომელზეც თვეში 30 ლარი ირიცხება, რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ სურსათის შეძენა. მოზარდებს ბარათით სარგებლობა მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულ სავაჭრო ობიექტებში შეუძლიათ. კვების ბარათი 50 ლარიანი შემწეობის ნაწილია, საიდანაც 20 ლარი ოჯახის საბანკო ბარათზე ირიცხება.

სოციალური მომსახურების სააგენტოს უახლესი მონაცემებით, ჯამში, საქართველოს მასშტაბით, სოციალურად დაუცველის სტატუსითა და 50-ლარიანი შემწეობით სარგებლობს 139,976 მოზარდი. უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ანუ დღიურად 1.25 დოლარზე ნაკლებს მოიხმარს, ბავშვების 6.8%, რაც რიცხობრივად

დაახლოებით 49 800 ათასი ბავშვია. ზოგად სიღარიბეში ცხოვრობს ბავშვების 27.6%, დაახლოებით 202 ათასი ბავშვი.

სიღარიბის მაჩვენებლების ზრდის საპასუხოდ, 2019 წელს მთავრობამ ხუთჯერ გაზარდა ბავშვის დანამატი. ამჟამად, გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით, მთავრობა ახორციელებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის და ბავშვთა ფულადი დანამატების ზეგავლენის სიღრმისეულ შეფასებას. ასეთი მიდგომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მიმდინარე წლის (2020) პანდემიის პირობებში წარმოშობილი პრობლემების შესამცირებლად. რადგან კორონავირუსით გამოწვეულმა პრობლემებმა, როგორიცაა ეკონომიკური აქტივობის დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა, შეიძლება კიდევ უფრო გაზარდოს ბავშვთა სიღარიბე, ღარიბი კი ღატაკად გადაიქცეს, ღარიბი მოსახლეობა ხომ ყველაზე მეტად მოწყვლადია ასეთი შოკების მიმართ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ რთულ პერიოდში ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა სოციალური ღონისძიებების კუთხით.

ნაშრომის წინა ნაწილებში მოცემულმა უმუშევრობის და სიღარიბის ქართულმა სინამდვილემ დაგვანახა, რომ ქართული სიღარიბე მყარია და მას მარტო პროგრა-მების დაწერა ვერ უშველის. საჭიროა უფრო ქმედითი და უფრო რადიკალური ღონისძიებების გატარება. ჩვენნაირი და ჩვენზე უფრო ღარიბი ქვეყნების სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხილვამ, მხედველობაში მაქვს აფრიკის და აზიის ქვეყ-ნები, მათმა ანალიზმა და შეფასებამ, საშუალება მოგვცა გამოგვეკვეთა სიღარიბის ფინანსური ასპექტები და შეგვემუშავებინა მისი ეტაპობრივი დაძლევის კონცეპტუალური ხედვა.

პირველ ასეთ ღონისძიებაა ბიზნესში ღარიბი მოსახლეობის ჩართვა, ანუ **ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნა-დანერგვა**.

საქართველოს მთავრობა და მისი დავალებით "საქსტატი" გვისაბუთებს, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება, თუ საქართველოს ეკონომიკური ზრდა უტყუარი ფაქტია, ხოლო სიღარიბე ქვეყანაში მკვეთრად არ მცირდება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ღარიბი მოსახლეობის პოტენციალი ვერ გამოგვიყენებია.

UNDP 2008 წლის მოხსენებაში ხაზგასმულია, თუ ბიზნესს როგორ შეუძლია დაეხმაროს ღარიბებს, ბიზნესში მათი როგორც კლიენტებისა და მყიდველების

მოზიდვის გზით, აგრეთვე ითანამშრომლოს მათთან მწარმოებლის, მომუშავეების და მეწარმეთა სახით.

მოხსენებაში მოყვანილია იმ კომპანიების მაგალითი, რომლებიც ღარიბების ბიზნესში ჩართვით იღებენ მოგებას, ქმნიან ზრდის ახალ პოტენციალს და ამაღლებენ ღარიბი მოსახლოების ცხოვრების დონეს. მოხსენების საკვანძო აზრია: "ბიზნესი ღარიბების მონაწილეობით - ყველასთვის მომგებიანია".

ხსენებული მოხსენება დაფუძნებულია 50 წარმატებული კომპანიის მაგალითზე, რომლებიც ბიზნესს ახორციელებენ ღარიბ მოსახლეობასთან თანამშრომლობით. განხილული მაგალითები გვთავაზობენ იდეების ფართო ნაკრებს საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შესაქმნელად. ამ მოდელში ღარიბები ჩართული იქნებიან მომხმარებლის სახით; როგორც კლიენტების და მყიდველების, ასევე ღირებულების შექმნის ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე თანამშრომლების, მწარმოებლებისა და მეწარმეთა სახით. იგი უზრუნველყოფს ბიზნესის ურთიერთხელსაყრელ განვითარებას ღარიბთა მონაწილეობით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის უპირატესობა მხოლოდ უშუალო მოგების მიღებასა და შემოსავლის ამაღლებაში არ გამოიხატება. ბიზნესისთვის ეს იქნება ინოვაციური მიდგომების განვითარება, ბაზრების გაფართოება და მომარაგების სისტემის განმტკიცება.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოხსენებაში ინკლუზიური ბიზნესის კონცეფცია დაფუძნებულია მყარი განვითარების შესახებ მეწარმეთა მსოფლიო საბჭოს და ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების გამოკვლევებზე - შესაძლებლობა ყველასთვის. ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა მოსახლეობის ამ ჯგუფს ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს. ეს სიღარიბის გადალახვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. თავის მხრივ, მეწარმეების და კომპანიებისათვის იგი არის ინოვაციური გადაწყვეტილება - ბაზრების შექმნა, ეკონომიკური ზრდის ახალი სფეროების მოძიება. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელები ქმნიან და სარგებლობენ ადამიანისეული განვითარების უპირატესობით.

ღარიბი მოსახლეობა კერძო სექტორის მონაწილეა. ყველა ითვლება მომხმარებლად. მათი უმრავლესობა დაქირავებული მუშაკები ან კერძო მეწარმეებია. ამასთან ფრაგმენტირებული და არაორგანიზებული ბაზრები არ იძლევიან აუცილებელი რესურსების მიღებისა და მათი პროდუქტიულად (ეფექტიანად) გამოყე-

ნების შესაძლებლობას. ბიზნესი ღარიბებს შორის, როგორც წესი, დაფუძნებულია არაფორმალურ შეთანხმებებზე: ოჯახი ან მეგობრები აწოდებენ საშუალებებს, რის გამოც კონკურენცია სუსტია, ფასები საქონელსა და მომსახურებაზე კი - ზრდადი.

ღარიბებთან ბიზნესს შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს გრძელვადიან ზრდას ახალი ბაზრების განვითარების, ინოვაციის, სამუშაო ძალის რეზერვის გაფართოებისა და წარმოებით-გამსაღებელი ჯაჭვის გამყარების ხარჯზე. ღარიბებთან ერთად ბიზნესის წარმართვას უფრო მაღალი მოგების მოტანა შეუძლია, ვიდრე ბიზნესს განვითარებულ ბაზრებზე. რიგმა ორგანიზაციამ მიკროკრედიტების სფეროში შეძლეს 23%-ზე მეტი მოგების მიღება. მაგალითად, კომპანიამ Smart Communication, რომელიც ფილიპინებში დაბალი შემოსავლის დონის მომხმარებლების სატელეფონო კავშირს ემსახურება, მიაღწია ქვეყანაში ფუნქციონირებულ 5000 მსხვილ კომპანიას შორის ყველაზე მაღალ მოგების დონეს, ინდოეთის კომპანიამ Sulabb, რომელიც სანიტარულ-ჰიგიენურ მომსახურებას დაბალ ფასში ახორციელებდა, 2005 წელს 5 მლნ დოლარის მოგება მიიღო.

ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის შექმნას შეუძლია ხელი შეუწყოს ინოვაციური გადაწყვეტილების მიღებას კომპანის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, მაგალითად, ღარიბების საჭიროებისა და მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად კომპანიებმა უნდა მოახერხონ ხარისხისა და ფასის შეხამება. მათ უნდა შეძლონ ღარიბებთან თანამშრომლობის სიტუაციაში ბიზნეს-მოდელის ახალი პროდუქტების და მომსახურების დამუშავება, რომლებიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნას ღარიბთა ბაზრებზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველსაყოფად.

ღარიბი მოსახლეობა სამუშაო ძალის შევსების მძლავრი წყაროა. ღარიბთა დაქირავების უპირატესობა ცილდება დანახარჯის შემცირების ჩარჩოს. შესაბამისი სწავლებისა და ეფექტური მარკეტინგის დროს მათ (ღარიბებს) შეუძლიათ უზრუნველყონ პროდუქტებისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, ხოლო ადგილობრივი ბაზრისა და კავშირების ცოდნის გამოყენება შეიძლება გამოყენებულ იქნას რეგიონის ღარიბი მოსახლეობის, როგორც მყიდველთა რაოდენობის გასაფართოებლად.

ღარიბთა ინტეგრაცია წარმოებით-საგამსაღებლოთა ჯაჭვში მწარმოებლის, მომწოდებლის, დისტრიბუტორთა, საცალო გამყიდველთა, ფრანშიზის მფლობელთა

სახით, როგორც აღვნიშნეთ, დაეხმარება, კომპანიას რომელიც მუშაობს ადგილობრივ ბაზრებზე, გააფართოვოს მყიდველთა წრე და შეამციროს რისკი.

ბიზნესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას ანუ გაეროს ტერმინოლოგიით - ადამიანისეული პოტენციალის განვითარებას, რომელიც ღირსეული ცხოვრების მიღწევაში აისახება:

- **ძირითადი მოთხოვნილების უზრუნველყოფა.** საზრდო, სუფთა წყალი, ელექტროობა და სამედიცინო მომსახურება ითვლება ადამიანთა ძირითად მოთხოვნილებად (ასევე, ბინა და ტანსაცმელი). ფილიპინებში კომპანია RiteMed სამკურნალო პრეპარატებს 20 მლნ-ზე მეტნაკლებად უზრუნველ ადამიანზე ყიდის წამყვანი მწარმოებლების ფასის დაბლა (20-75% ფარგლებში);
- **ღარიბთა მწარმოებლურობის ამაღლების შესაძლებლობა.** საქონელსა და მომსახურებაზე დაშვება (დაწყებული ელექტროობით და მობილური კავშირით, დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, კრედიტებითა და დაზღვევით) ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას;
- **შემოსავლის ამაღლება.** წარმოებით-საგამსაღებლო ჯაჭვში კლიენტების, მომუშავეთა, მწარმოებელთა და მეწარმეების როლში ღარიბების ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს მათი შემოსავლის ამაღლება. მექსიკაში კომპანია Amanco-ს მაგალითზე, მწარმოებელთა ზრდამ გაასამმაგა ფერმერთა შემოსავალი. ტანზანიაში კომპანიამ AtoZtextiles სამუშაო ადგილებით უზრუნველყო 3200 ადამიანი (მათგან 90% ქალი), რომლებიც საწოლებისათვის აწარმოებენ ინსეკტიციდით დამუშავებულ მწერდამცავბადეებს და მათ, კონკურენტ კომპანიებთან შედარებით 20-30%- ზე მეტს უხდის;
- **ღარიბთა შესაძლებლობის გაფართოება.** ეს საქმინაობა ხელს უწყობს ღარიბთა (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად) შესაძლებლობის გაფართოებას, ეხმარება მათ თავიანთ თავზე აიღონ თავიანთ ცხოვრებაზე კონტროლი. ეს მიიღწევა ინფორმაციისა და განათლების ამაღლების, მოსახლეობის მარჟინალური ჯგუფების ინტეგრაციის გზით. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელები ღარიბებს ეხმარებიან იმედების აღორძინებაზე და

აღმოაჩენენ სიღარიბის დამოუკიდებლად გადალახვის ძალების ახალ წყაროებს.

მაგრამ ღარიბებთან ბიზნესის წარმართვა კომპანიებისთვის ძნელია, სარისკოა, იქ სადაც სიღარიბეა ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი - მოგება, როგორც წესი, არ არსებობს. ამიტომ კომპანიები მაინცდამაინც არ მისწრაფვიან ღარიბებთან თანამშრომლობაში. ასეა საქართველოშიც.

UNDP-ს მოხსენებაში მოყვანილი მაგალითები ასახავენ ამ სფეროში არსებულ ხუთ ძირითად პრობლემას:

1. **ბაზრებზე ინფორმაციის შეზღუდულობა**. ბიზნესმა ძალზე ცოტა იცის ღარიბებზე. მათთვის მიუწვდომელია ინფორმაცია ღარიბთა ინტერესების შესახებ.
2. **არაეფექტური რეგულირება**. ღარიბთა ბაზრებზე არ არსებობს მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც აუცილებელია ბიზნესის საქმიანობის ნორმალურად უზრუნველსაყოფად.
3. **განუვითარებელი ინფრასტრუქტურა**. აქ იგულისხმება განუვითარებელი სატრანსპორტო სტრუქტურა, გზების და დამხმარე ობიექტების უქონლობა, წყალმომარაგების, ელექტრო მომარაგების სისტემების, ასევე კანალიზაციისა და ტელეკომუნიკაციის სისტემების არარსებობა. მაგალითად, კომპიუტერების მწარმოებელი კომპანია Tsinghua Tongfang, რომელიც დაინტერესებული იყო ჩინეთის სასოფლო რაიონებში თავისი საქონლის გავრცელებით, ამ სფეროში წააწყდა ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის და ინტერნეტპროვაიდერების უქონლობას.
4. **ცოდნისა და კვალიფიკაცის უკმარისობა**. ღარიბი მოსახლეობის მომხმარებლებმა შეიძლება არ იცოდნენ ტექნიკის გამოყენება ან სხვა საქონლის უპირატესობა.
5. **შეზღუდული დაშვება ფინანსურ პროდუქტებსა და მომსახურებაზე**. კრედიტის მიღების შესაძლებლობის უქონლობის გამო, ღარიბ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს არ შეუძლიათ ინვესტიციის ან მსხვილი შესყიდვის ფინანსირება.

საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე დავამატებთ კიდევ სხვა პრობ-ლემებს, სხვა ბარიერებს. ერთ-ერთი დაკავშირებულია ბინადრობის ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა საქართველოს დეპრესიულ რაიონებში - სამცხე-ჯავახეთი, მთა-თუშეთი, ხევსურეთი, მთიულეთი, ზემო სვანეთი და სხვა ცხოვრობენ. ეს ადგილები ნაკლებ დასახლებული და მიუდგომელია. ბიზნესს ვერ აიძულებ ამ ადგილებში მისვლას, მანამ იქ არ შეიქმნება ბიზნესისთვის საჭირო პრეფერენციები.

სიღარიბესთან ბრძოლა არაა ბიზნესის ამოცანა, მისი ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, რომელიც ობიექტურად იწვევს დასაქმებულთა რიცხოვნების ზრდასა და მათი რეალური შემოსავლის დონის ამაღლებას. მაგრამ თუ ბიზნესი არ მიდის ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ დეპრესიულ რეგიონებში საქმიანობა, ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, მაგალითად, მსოფლიოში სასურსათო ფასების ამჟამინდელი ზრდა ქმნის ქართული სასოფლო წარმოების განვითარების წინაპირობას. პრობლემა ამ შემთხვევაში სახელმწიფო მხარდაჭერას ეხება. თუ ეს საკითხი (ინფრასტრუქტურის შექმნა) დადებითად გადაწყდა, ამ პროცესში ჩართული სუბიექტი (ღარიბი მოსახლეობა, ბიზნესი და სახელმწიფო) მოიგებს. აქედან დასკვნა: თუ სიღარიბის დაძლევის ეს სტრუქტურა არ ამუშავდა, მაშინ დეპრესიულ რაიონებს, ასეთები კი საქართველოში რაიონების დიდი უმრავ-ლესობა, ნელი, მაგრამ აუცილებელი კვდომა ემუქრება?

გაეროს აღნიშნულ მოხსენებაში მითითებულია, რომ საბაზრო და ბიზნეს-მიდგომა თავისთავად პანაციები არაა ღარიბებისათვის. სიღარიბის სხვადასხვა ასპექტები მოითხოვენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. ვიღაცამ შეიძლება უპირა-ტესობა მიიღოს ბაზარზე დაშვების გაუმჯობესების შემთხვევაში, თუ მის აქტივია მიწა, ჯანმრთელობა და განათლება ანუ განვითარებისათვის მცირე შემოსავალი მაინც, მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში ღარიბები მოკლებულია ამ ფაქტორებს და მათ არ შეუძლიათ უპირატესობის გამოყენება. მათთვის აუცილებელია მიზნობრივი მხარდაჭერა მყარი შემოსავლის მისაღებად და საბაზრო ურთიერთობის გამოყენება.

არსებობს ღარიბი მოსახლეობის კატეგორია, რომელიც ოჯახური მდგომარეო-ბის გამო (ბავშვების აღზრდა, ოჯახში ხანდაზმულთა და ინვალიდების მოვლა)

შრომის ბაზარზე არაკონკურენტული არიან. მომსახურების სექტორის უქონლობა, რომელსაც შეეძლება ამ სტრუქტურაში საოჯახო მეურნეობის მხარდაჭერა (საბავშვო ბაგები და ბაღები, მოხუცებულთა თავშესაფარი, ინვალიდთა სახლები, მშობელთა ჯგუფები, სოციალური მუშაკები...) იქნებოდა მათი შესაძლებლობის რეალიზაციის სერიოზული წინაპირობა. არასტანდარტული დასაქმების შექმნა (მაგალითად, სახლში მუშაობა კომპიუტერის არსებობისა და ინტერნეტში დაშვება) აგრეთვე იძლევა მათი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მხარდაჭერა კი მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის აბსოლუტურად აუცილებელია. არსებობს მოსახლეობის დიდი კატეგორია, რომელიც თუმცა მუშაობს, მაგრამ მათი ხელფასი არასაკმარისია თავისი და კმაყოფაზე მყოფთა გამოსაკვებად (საქართველოში ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, მასწავლებელთა უზარმაზარი არმია - ნ. კ.). ღარიბი მოსახლეობის კიდევ ერთი კატეგორიაა ძალზე დაბალი პოტენციალის მქონე პირები. მეტწილად მარგინალური ჯგუფები (ნარკომანები, ალკოჰოლიკები...), რომელთა ჩართვა შრომის ბაზარზე ძალზე რთულია. მოსახლეობის ეს კატეგორია საქართველოში ფართოვდება და მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ჯერჯერობით სახელმწიფოს როლი ამ სფეროში მხოლოდ სასჯელით ამოიწურება, რომელიც, რა თქმა უნდა, პრობლემას ვერ წყვეტს. იგი, მხოლოდ მათი ოჯახის შემოსავლის და აქტივის დაკარგვას ემუქრება, ანუ კიდევ უფრო აფართოებს ღარიბთა რიცხოვნებას. მოსახლეობის ეს კატეგორიაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდისგან უკუგებას ვერ იღებს.

გაეროს აღნიშნულ მოხსენებაში მოხსენებულია ეგრეთ წოდებული, "ჯარიმა (გადასახადი) სიღარიბეზე", რომელსაც საქართველოშიც ვხვდებით (მაგალითად, კრედიტების აღებაში). საქართველოში "ჯარიმას სიღარიბეზე" იხდიან დეპრესიულ რაიონებში მცხოვრებნიც. ეს უმთავრესად ეხება საბანკო-კომუნალურ მომსახურებას, რომელთა ფასები რაიონებში თბილისთან შედარებით უფრო მაღალია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მით უფრო იაფია მომსახურების ღირებულება ანუ მოქმედებს მასშტაბის ეფექტი.

გაეროს დასახელებულ მოხსენებაში ღარიბებზე ინფორმაციის უქონლობა მიჩნეულია ინკლუზიური ბიზნეს-მოდელების შექმნის ერთ-ერთ სერიოზულ

შემაფერხებელ ფაქტორად. რა სახის საქონელი და მოხმარება არის ღარიბებისთვის აუცილებელი? რამდენს გადაიხდიან მათზე? უეჭველია რომ ღარიბების მომსახურება და მათთვის საქონელის მიწოდება შეიძლება გახდეს პერსპექტიული ახალი ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაშინ როცა სხვა მიმართულებები უკვე ამოწურულია. ამ ასპექტში განვითარებული ბიზნეს-სტრუქტურის გასვლა ღარიბების ბაზარზე ახალი საქონლის წარმოების - რეალური მოდელია. მოხსენებაში მოყვანილია პოლონეთის მაგალითი, სადაც ტრანსნაციონალურმა სასურსათო კორპორაციამ, გააერთიანა ძალისხმევა ბავშვთა ჯანმრთელობასა და კვების საკითხებზე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან. სწრაფი მომზადების პროდუქტების უმსხვილესმა კორპორაციამ მომხმარებელს შესთავაზა იაფ ბურღულთან რძის ნარევი (ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული) ბავშვებისათვის.

2006 წლის ბოლოს ამ პროდუქტებზე დანახარჯი გამოისყიდა და პოლონეთის მასშტაბით მისით სარგებლობს დაახლოებით 33 ათასი ოჯახი. საქონლისა და მომსახურების სეგრეგაცია სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის ის მოდელია, რომელსაც უკვე მრავალი მეწარმე იყენებს, ასეთია პარიზში "ტატი", მოსკოვში "Копеечка", "Фзиукавкуса" და სხვები.

საქართველოშიც ამის დიდი შესაძლებლობებია ასათვისებელი მის ცალკეულ მხარეებში. კახეთის რეგიონში ჩურჩხელების და ფელამუშის წარმოება შეიძლება ავიდეს ინდუსტრიულ დონეზე და მასში ღარიბი მოსახლეობა დასაქმდება, მთათუშეთში - პაჭიჭების ქსოვა, ფარდაგ-ხალიჩების ქარგვა და აქაც ღარიბები დასაქმდებიან, სვანეთში - სვანური სულგუნის და სვანური მარილის წარმოება ღარიბების დასაქმებით, ხევსურეთში - ხევსურული წინდების ქსოვა, რაჭაში - მინერალური წყლების ჩამოსხმის ტექნოლოგიური ხაზების გახსნა ღარიბების ჩართვით და მრავალი სხვა. ამ საქმეს თვითონ ღარიბები ვერ დაიწყებენ. ეს საქმეები ან ქართულმა მსხვილმა საწარმოებმა უნდა ითავონ თავიანთი პატრიოტიზმიდან გამომდინარე (რადგან თავდაპირველად მათ ამ საქმეებში მოგება არ ექნებათ), ან და სახელმწიფო ხელისუფლებამ. სახელმწიფოს ევალება კიდეც ამის გაკეთება, რადგან სიღარიბის დაძლევა მისი ფუნქციაა და არა კერძო ბიზნესის. თუმცა ბიზნესშიც მოიძებნება პატრიოტი ხალხი, რომლებიც აიტაცებენ ამ იდეას, საჭიროა მხოლოდ მისი "კარგად შეფუთვა" და მათთვის მიწოდება.

სიძნელეების მიუხედავად, კომპანიების რიცხვი, რომლებიც ღარიბთა ბაზრებზე მუშაობენ, მსოფლიოში მუდმივად იზრდება. თითოეულმა კომპანიამ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, დაამუშავა გადაწყვეტილებათა ნაკრები, რომელმაც მათ წარმატება მოუტანა ადგილობრივ პირობებში:

1. **საქონლისა და პროცესების ინვესტიციის ადაპტაცია**.
2. **ინვესტიცია ბაზარზე სიძნელეების გადალახვაზე**. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე შეზღუდულობის გადალახვა, როგორც წესი, ითვლება სამთავრობო საქმიანობის სფეროდ, არც თუ იშვიათად კომპანიები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, თვითონ წყვეტენ ამ ამოცანებს. მაგალითად, გაიანა-ში საფეიქრო კომპანია Denmor-ის ყველა თანამშრომლისათვის ტარდება კროს-ტრენინგი. ამრიგად, თითოეულ თანამშრომელს შეუძლია იმუშაოს წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, რაც შესაძლებლობას იძლევა დაცული იქნას ვადები დიდი რაოდენობის დაკვეთების პერიოდებში.
3. **ღარიბთა ძლიერი მხარის გამოყენება**. ღარიბები, რომლებიც მუშაობენ ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, ითვლებიან კომპანის საკვანძო პარტნიორებად. ღარიბების მოზიდვისა და მათი სოციალური ქსელის ხარჯზე კომპანიებს შეუძლიათ გააფართოონ ბაზრებზე დაშვება, ნდობისა და გამჭვირვალობის ამაღლება. ეს თვისებები კომპანიებს ბაზრის გაფართოების შესაძლებლობას აძლევს და ადიდებს მონაწილეობას ღირებულების შექმნის ჯაჭვში. გასაღების სფეროში ღარიბთა ჩართვის ერთ-ერთი მოდელია **მიკროფრანჩაიზინგი**. ასეთი მოდელის გამოყენების მაგალითია კომპანია CFW კენიაში. იგი არის კლინიკისა და აფთიაქის მიკროფრანჩაიზინგის სისტემა. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ადგილობრივი ბაზრის ცოდნა და ნდობა ღარიბთა საზოგადოებებში. თვით ღარიბები ხშირად სთავაზობენ უკეთეს იდეებს ღარიბთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დასამუშავებლად. მთლიანობაში ღარიბთა მოზიდვა ამცირებს ბიზნესის დანახარჯს.
4. **რესურსებისა და შესაძლებლობის შეხამება სხვა ორგანიზაციებთან**. ისევე როგორც სხვა ბიზნეს-მოდელი, ინკლუზიური მოდელები წარმატებას

აღწევენ სხვა ბიზნესებთან ურთიერთხელსაყრელი პარტნიორების შექმნით, აგრეთვე არატრადიციული პარტნიორობით. ეს უკანასკნელი მოიცავს არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციებს.

5. **მთავრობასთან დიალოგი პოლიტიკის დამუშავების საკითხებზე**. პოლიტიკის დამუშავების სფეროში დიალოგი ღარიბ მოსახლეობასთან ბიზნესის წარმართვის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამ შემთხვევაში კომპანია თავისთავზე ლიდერის როლს იღებს, რამდენადაც ასეთ ბაზრებზე ბიზნესის წარმართვის პირობები ჯერ კიდევ შეუქმნელია.

ყველა ხუთი პრობლემა, რომელსაც ბიზნესი ღარიბთა ბაზრებზე აწყდება, სხვადასხვა ზომით დაკავშირებულია სამთავრობო პოლიტიკასთან. მრავალ შემთხვევაში კომპანიები პოულობენ ბაზარზე არსებულ სიძნელეების გადალახვის შემოქმედებით გზას, მაგრამ სასურველია ამ საქმეში მთავრობის ჩართვაც.

მთავრობას შეუძლია, პრობლემებზე რომელსაც ბიზნესი აწყდება, სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება და ამ პრობლემების შესაძლებელი გადაჭრის გზების შეთავაზება.

ინკლუზიურ ბიზნესს, როგორც წესი, განსაზღვრული ამოცანები აქვს, რომელთა შორის გამოიყოფა სახელმწიფოს მხრივ საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფის სტიმულირება, რომელიც აუცილებელია რომელიმე რაიონში ბიზნესის გასაძღოლად. ზოგჯერ ცალკეულ ინდივიდის ან კომპანის საქმიანობას შეიძლება ფართო შედეგი მოყვეს (ბაზრის სტრუქტურის ცვლილება ან ახალი ბაზრების გახსნა). მაგალითად, Tiviski-ს (აქლემური რძის ფერმა მავრიტანიაში) ფერმის დამფუძნებელთა საქმიანობის წყალობით, ევროკავშირმა ახალი რძის პროდუქტებისათვის ბაზარი შექმნა. ასე შეიძლება შეიქმნას ქართული ჩურჩხელის ბაზარი ევროპაში, ქართული სულგუნის ბაზარი, ქართული საწებლების ბაზარი და სხვა, თუ კი რომელიმე ქართული კომპანია წარმოიწყებს მათ წარმოებას ღარიბების ჩართვით.

მეორე ღონისძიებაა მიკროდაზღვევა. ღარიბებს ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ სადაზღვევო მომსახურებით სარგებლობა, თუმცა სწორედ ისინი ყველა ზედმეტად მოწყვლადია რისკებისა და ეკონომიკური რყევების მიმართ. მიკროდაზღვევა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ფინანსური მომსახურება, რომელიც ეხმარება მათ რისკის მართვაში. რისკები დამახასიათებელია არაღარიბებშიც, მაგრამ ღარი-

ბების რისკები წამოიჭრება გაცილებით ხშირად და ახდენს უფრო ძლიერ ფინანსურ ზემოქმედებას. გარდა ამისა, ღარიბების მოწყვლადობა ყოველთვის ძლიერდება, როცა ისინი ზარალს განიცდიან, რომლებიც მათ ჩაითრევენ მანკიერ წრეში. ძირითადი რისკებია: სიკვდილი, ავადმყოფობა ან ტრამვა, საკუთრების დაკარგვა (გაქურდვა, ხანძარი...) და სტიქიური უბედურება (გვალვა, მიწისძვრა, მეწყერი...).

საქართველოს ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა რისკებს საკუთარი ძალისხმევით ებრძვის. მრავალი რამ დამოკიდებულია მრავალრიცხოვან არაფორმალურ მექანიზმთან (დანაზოგი, აქტივის გაყიდვა, ნათესავებისა და მეგობრების დახმარება, დანაზოგის როტაცია, სესხის აღება...), რომლითაც სარგებლობენ, რათა მომზადებული შეხვდნენ და დაუპირისპირდნენ ისეთ რისკებს, როგორიცაა ოჯახში მარჩენალის გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა, საქონლის გაწყვეტა და ა. შ. რა არის მიკროდაზღვევა? მასში იგულისხმება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა განსაზღვრული საფრთხისგან რეგულარული გადასახადების (პრემიების) სანაცვლოდ.

მიკროდაზღვევა უნდა შეესაბამებოდეს მცირე მქონებელთა ძირითად მოთხოვნილებებს რისკებთან არჩევაში (დამოკიდებულება ბაზარზე, სამედიცინო დაზღვევა, ავტომობილის დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა) იგი უნდა იყოს გასაგები და მისაწვდომი. რა სიძნელეები წარმოიშობა ღარიბი მოსახლეობის დაზღვევისას? მიკროდაზღვევის არსებულ სქემებს, რომლებიც აწვდიან უფრო რთულ მომსახურებას, ვიდრე მსესხებლის დაზღვევა, უძნელდებათ მიაღწიონ თვითგამოსყიდვას.

ღარიბების უმრავლესობა დაზღვევაში ვერ ერკვევა, ან მის მიმართ აქვს წინასწარ შექმნილი აკვიატებული აზრი. მრავალი სკეპტიკურად მიიჩნევს პრემიების გადახდის აუცილებლობას მომავალში შესაძლებელი გადახდის გამო, თუ სადაზღვევო შემთხვევა არასდროს დადგება. დაზღვევის სარგებლობის ახსნას დიდი დრო და სახსრები ჭირდება. გარდა ამისა, სადაზღვევო კონტრაქტების ფორმულირება ძალზე რთულია ღარიბებისთვის, რომელთაგანაც ბევრს შესაბამისი განათლებაც არ აქვს.

მიკროდაზღვევისათვის საჭიროა სისტემა, რომელიც ეფექტიანად მოემსახურება ოპერაციას კლიენტებისათვის ხელსაყრელ ადგილზე და იწვევს ნდობას. ძალზე ძნელია ასეთი ტიპის დისტრიბუციის სისტემის პოვნა. პრემიების მიღებისა

და კომპენსაციების გაცემის ახალი სისტემის შექმნა ძვირი დაჯდება და ხშირად არაეფექტურია. აღმოსავლეთ აფრიკაში სადაზღვევო კომპანიამ - ამერიკული სადაზღვევო ჯგუფი (AIG) დადო პარტნიორული შეთანხმება რამდენიმე მფო-სთან ყველა ამ სამი სიძნელის გადასალახავად.

ამისათვის საჭიროა დონორებმა გულდასმით განიხილონ კლიენტთა მოთხოვ-ნილება ფინანსური მომსახურების ყველა სპექტრისადმი რისკების მართვაზე დაზღვევის გადაწყვეტილების მიღებამდე; წაახალისონ კომერციული სადაზღვევო კომპანიები ღარიბთა მომსახურების ჩარჩოში; იუმუშაონ მხოლოდ ძლიერ დაწესებულებებთან (სადაზღვევო კომპანიები, მფო) და განახორციელონ ღარიბებში მიკროდაზღვევის პროდუქტებით სარგებლობის გულდასმითი ანალიზი; განახორციელონ სხვა დონორებთან (კერძო სადაზღვევო კომპანიები, სახელმწიფო) კოორდინაცია; მიკროდაზღვევის ოპერაციებში ისარგებლონ ტექნიკური ექსპერტიზით და გამოიჩინონ მოთმინება სტრატეგიის განსაზღვრაში; გულდასმით აკონტროლონ მიკროდაზღვევის პარტნიორების მუშაობის მაჩვენებლები; საჭიროების შემთხვევაში მიაწოდონ ტექნიკური დახმარება, აუხსნან კლიენტებს მიკროდაზღვევის ხელსაყრელობა და უპირატესობა. ეს მექანიზმი საქართველოში მეტად მისაღებია სოფლის ღარიბი მოსახლეობისთვის, რომელთაც შეიძლება დავუზღვიოთ მოსავალი (რომელიც შეიძლება სეტყვამ გაუნადგუროს), პირუტყვი და სხვა. საჭიროა მხოლოდ მათ ეს ავუხსნათ.

მესამე ღონისძიებად მიგვაჩნია დაბეგვრის რეგულირება. მართალია, ღარი-ბები არაფერ გადასახადებს არ იხდიან - მათი პენსიები, შემწეობები, ასიგნებები არ იბეგრება, მაგრამ თუ ღარიბმა სამუშაო იშოვა, როგორი მცირეც არ უნდა იყოს მისი ანაზღაურება, დაუბეგრავი მინიმუმის გაუქმების შემდეგ (2015) იგი 20%-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება. ასე რომ, თუ ღარიბი თვეში 300 ლარს გამოიმუშავებს, მან მისგან 60 ლარი ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს, ხოლო თუ მდიდარი თვეში 8000 ლარს, მან მისგან 1600 ლარი ბიუჯეტში უნდა გადარიცხოს. ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი ნორმალურია. საქართველოში პროპორციული დაბეგვრის სისტემაა შემოღებული და ყველა ერთნაირად იბეგრება. დიახაც, პირ-ველს 60 ლარის გადახდა ეკუთვნის, მეორეს 1600 ლარის. მაგრამ მოდით "ავწონოთ" ეს გადასახადები და გადახდის შემდეგ დარჩენილი შემოსავლები. პირობითად

ჩავთვალოთ, რომ ბიუჯეტში გადარიცხვის შემდეგ პირველს დღეში გამოსაყენებ-ლად რჩება მხოლოდ 8 ლარი ((300-60) : 30 დღე - 8 ლარი), მეორეს კი 213 ლარი ((8000-1600) : 30 დღე = 213 ლარი). განა ნორმალურია, რომ პირველს მხოლოდ 8 ლარს ვუტოვებთ, რომელიც დღეში ერთხელ ჭამაზე თუ ეყოფა, მეორეს კი 213-ს, რომლითაც დღეში 30 ლარად ერთ კვირასაც მშვენივრად იცხოვრებს.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოში საჭიროა:

1. აღსდგეს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც 2015 წელს გაუქმდა. ეს საშუა-ლებას მოგვცემს მცირეხელფასიანები აღარ დავბეგროთ საშემოსავლო გადა-სახადით.
2. პროპორციული საგადასახადო სისტემა შეიცვალოს პროგრესული სისტემით და დაწესდეს საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებული შკალა - ნაკლებ შემოსავალს - ნაკლები გადასახადის განაკვეთი, მეტს - მეტი (ასე არის საზღვარგარეთის ქვეყნებში). მაგალითად ასე:
   - 600 ლარამდე შემოსავალი გავათავისუფლოთ გადასახადისგან;
   - 600-დან 1500 ლარამდე დავბეგროთ - 12%-ით;
   - 1500-დან 3000 ლარამდე დავბეგროთ 17%-ით;
   - 3000-დან 30000-მდე დავბეგროთ 20%-ით;
   - 30000-დან 100000 ლარამდე დავბეგროთ 35%-ით.
3. მცირეშემოსავლიან მოქალაქეთა (რომლებიც ღატაკებს თუ არა, ღარიბებს მაინც მიეკუთვნებიან) დაბეგვრის ნაცვლად, რომელიც ალბათ ბიუჯეტის შევსების მოსაზრებითაა დადგენილი, ჩვენ ვიძლევით მისი ჩანაცვლების წინადადებას ფუფუნების გადასახადის შემოღებით, რომელიც უნდა დაეკის-როს ძალზე მდიდარ ინდივიდებს და კომპანიებს. ის უნდა გავრცელდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების შემოსავლებსა და ქონებაზეც. ასეთი გადასახადის შემოღებას რუსეთში მოსახლეობის 70%-მა დაუჭირა მხარი.[1] უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება მას საქართველოში, რადგან აქ სიღარიბის დონე რუსეთზე მაღალია. ვერ ვიტყვით, რომ ეს გადასახადი საქართველოს ბიუჯეტს გადაავსებს, მაგრამ მცირეხელფასიან ოჯახებს ეს დიდ შეღავათებს მისცემს. ასეთი კი საქართველოში ბევრია. ძალიან მდიდ-

[1] *კრიზისი, ბიუჯეტი და კრეატული მთავრობები, ჟ. "საქართველოს ეკონომიკა", №3, 2012, გვ. 33.*

რებს ხშირ შემთხვევაში 1-2 შვილი ყავთ, ღარიბებს კი 4-5. ერთი მდიდრის ფუფუნების გადასახადი შეცვლის 3-4 ღარიბის საშემოსავლო გადასახადს, რის გამოც მდიდარს და მის 1-2 შვილს ამით არაფერი მნიშვნელოვანი არ დააკლდება, 3-4 ღარიბი ოჯახის ბავშვებს კი დამატებითი ლუკმა გაუჩნ-დებათ. საქართველოს მაგვარი ქვეყნისთვის, სადაც მოსახლეობის 20-25% თუ იკვებება ნორმალურად, ხოლო დანარჩენი შიმშილობს, ანდა არასრულ-ფასოვნად იკვებება, რასაც მოსდევს უდროო გამოფიტვა, ავადმყოფობა და სიკვდილი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

4. დაბეგვრის ხაზით შესაძლებელია გაუქმდეს დღგ-ს გადასახადი ფართო მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე. დაწესდეს მხოლოდ ფუფუნების საგნებზე. (მაგალითად, როგორც ინგლისში).

თავის დროზე შარლ ლუი მონტესკიეს უთქვამს: ”არაფერი არ მოითხოვს ისეთ სიბრძნეს და ნიჭს, როგორც იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც ართმევენ ქვეშევრდომებს და იმ ნაწილის, რომელსაც მათ უტოვებენ”.[1]

მსოფლიო მეურნეობის განვითარების ისტორიამ დაამტკიცა, რომ მონტესკიე მართალი იყო. ამის მიუხედავად დღემდე მსოფლიოში არ გამოჩნდა ისეთი აბსო-ლუტური ნიჭის მქონე ადამიანი, რომლის წინადადებას ამ საკითხში ეკონომიკური საზოგადოება უსიტყვოდ დაეთანხმებოდა. თვით ამერიკელ მეცნიერ ა. ლაფერსაც კი, რომელმაც დაადგინა, რომ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე შემოსავლების 10-45%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს, და, რომელსაც მხარს უჭერს ცნობილი ეკონომისტების დიდი უმრავლესობა, ჰყავს მოწინააღმდეგეებიც.

საგადასახადო პოლიტიკა ყოველთვის იყო სახელმწიფოს მიერ ქვეყნის სოცია-ლურ-ეკონომიკური სფეროს რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი. რადგან გადასახადები ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა, სახელმწიფო ყოველთვის დაინტერესებულია, რომ მეტი გადასახადები შემოვიდეს ბიუჯეტში, გადასახადის გადამხდელთა ინტერესები კი მათი შემცირების მხარეზეა. და მაინც რამდენი უნდა გადაიხადოს გადასახადის გადამხდელმა, რომ არც ბიუჯეტი დაზა-რალდეს და არც მეწარმე?

[1] *ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015, გვ. 195.*

ეს საკითხი ყოველთვის აწუხებდა კაცობრიობას. კაცობრიობა დიდხანს ეძებდა გადასახადების ამოღების ისეთ საშუალებას, რომელიც ერთდორულად უზრუნველყოფდა გადამხდელთა ინტერესების დაცვას და სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებას.[1] ჯონ მეინარდ კეინსის მიხედვით ეკონომიკის აღმავლობის დროს, საჭიროა გადასახადების გადიდება, ხოლო მისი დაცემის დროს შემცირება. ნეოკლასიკური თეორიის ფუძემდებლების რ. სოლოუს, ალ. ლაფერის და სხვების აზრით კი - წარმოებაზე ზემოქმედება საჭიროა ფართომასშტაბიანი და მიზანდასახული გადასახადების შემცირების გზით. ეს პოლიტიკა მიწოდებაზეა ორიენტირებული. დაბალი გადასახადები ზრდის მეწარმეთა და საოჯახო მეურნეობების დანაზოგებს. ასეთ დროს იზრდება ინვესტიციების მოცულობა და აქედან გამომდინარე, კაპიტალის დაგროვების ნორმა. მაგრამ ამავე მეცნიერების აზრით, ეს შემცირება იმდენად და იმ ზომით უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან ბიუჯეტის შემცირება კი არა, პირიქით, ბიუჯეტის ზრდა გამოიწვიოს. ამერიკელმა მეცნიერმა ა. ლაფერმა დაადგინა, რომ გადასახადების განაკვეთების შემცირება მართლაც იწვევს ამას, მხოლოდ ხანგრძლივვადიან პერიოდში. ამის საფუძველი ხდება საგადასახადო ბაზის გაფართოება.

მსოფლიო ისტორია გვამცნობს, რომ ეკონომიკას, ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი იქნება იგი, თუ საბაზრო, რეგულირება სჭირდება, პირველს - მეტი, მეორეს - ნაკლები. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების დონეს განსაზღვრავს ქვეყანაში წარმოებული წმინდა შემოსავლის განაწილება სახელმწიფოსა და ბიზნეს-სექტორს შორის, ე. ი. თანაფარდობა საწარმოებში დარჩენილ და სახელმწიფოსთვის გადასახადების სახით გადახდილ თანხებს შორის. თუ სახელმწიფოსთვის გადახდილ წმინდა შემოსავლების ნაწილს M-ით, ხოლო საწარმოებში დარჩენილ წმინდა შემოსავალს N-ით, ხოლო მთლიანად წმინდა შემოსავალს K-თი (K=M+N). აღვნიშნავთ, მას ორ ტოლ ნაწილად გავყოფთ და ჩინელების მსგავსად სასწორის მექანიზმით გამოვსახავთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს (ნახაზი 6).

[1] *სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006, გვ. 307.*

ნახაზი 6. წმინდა შემოსავლის თანაბარი განაწილება სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის - M=50%, N=50%-ს



წმინდა შემოსავლის ასეთი თანასწორი განაწილება, ალბათ, ყველაზე სასურველი, საჭირო და მისაღები განაწილებაა, რადგანაც იგი სრულ წონასწორობას, სრულ დაბალანსებულობას გვიჩვენებს - ის, რაც მიაქვს სახელმწიფოს, იმდენივე რჩებათ მეწარმეებს, სახელმწიფო ზედმეტად არ ერევა სამეწარმეო საქმეში და არც მეწარმეები არიან ზედმეტად თავისუფალნი წმინდა შემოსავლის მითვისებაში. მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ იყო ყოველთვის, და, კიდევ უფრო სამწუხაროდ, ეხლაც არ არის ყველა ქვეყანაში ასე. საბაზრო ეკონომიკის ადრეულ ეპოქაში, როცა თავისუფალი კონკურენცია ბატონობდა, წმინდა შემოსავლის 80-90%, ხშირად მეტიც, მეწარმეებს რჩებოდათ, ეკონომიკის გააბსოლუტიზებულ სახელმწიფო რეგულირების პირობებში (ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში) კი - მთელი წმინდა შემოსავალი სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. თუ ამ ვითარებებს ისევ სასწორის მექანიზმით გამოვსახავთ პირველს ექნებოდა №7 ნახაზზე ნაჩვენები სახე, მეორეს კი №8 ნახაზზე ნაჩვენები სახე.

წმინდა შემოსავლის განაწილების განხილული მოდელებიდან, ცხადია, ყველაზე მისაღებია ეკონომიკის სრული რეგულირების გაწონასწორებული მოდელი, რომლის დროსაც M=50% და N=50%-ს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად ასეთი მოდელი არცერთ ქვეყანაში არ არსებობს. მასთან მიახლოვებულია შვედეთი (N=44%-ს, M=56%), ჩინეთი (N=57%-ს, M=43%) და აშშ (N=55%-ს, M=45%).





ნახაზი 7. წმინდა შემოსავლის განაწილება - M=10-20%, N=80-90%-ს

ნახაზი 8. წმინდა შემოსავლის განაწილება - M=100%, N=0%-ს

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ საქართველოში მეწარმეებს რჩებათ წმინდა შემოსავლის 30%, ბიუჯეტში კი, გადასახადების სახით ირიცხება მათი წმინდა შემოსავლების 70%[1] (იხ. ნახაზი 9). წმინდა შემოსავლის ასეთი განაწილებით მეწარმეები ვერ ახერხებენ წარმოების ტექნიკა-ტექნოლოგიურ გადაიარაღებას და ამ მიზეზით მათი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანია საშინაო ბაზარზეც კი.

ზემოთ აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს მთავრობას ამ ეტაპზე გადასახადების ფისკალური ფუნქცია (ბიუჯეტის შევსება) მიაჩნია პრიმატად, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი. საქართველოს ბიუჯეტი აღარ არის ისეთი დეფიციტური და მწირი, რომ მთავრობამ მეწარმეები ასეთი საგადასახადო წნეხის ქვეშ ამყოფოს. უმჯობესია ამოქმედდეს მეწარმეობის მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც გრძელვადიან ეფექტზე იქნება ორიენტირებული, მაგრამ რომელიც მეწარმეობას ააყვავებს და მინიმუმამდე დაიყვანს უმუშევრობას და სიღარიბეს. ამის მაგალითს მაღალგანვითარებული ქვეყნები იძლევიან და ჩვენ ამ საკითხში ექსპერიმენტები აღარ გვჭირდება.

[1] *შოშიტაიშვილი თ., როგორ ვარეგულიროთ ეკონომიკა გადასახადებით, ჟ., "ბიზნესი და კანონმდებლობა", №2, 2006, გვ. 9.*



ნახაზი 9. წმინდა შემოსავლის განაწილება საქართველოში სახელმწიფოსა და მეწარმეებს შორის - M=70%, N=30%-ს

ერთი შეხედვით საქართველოში ეს მისწრაფება თითქოს გამოჩნდა, როცა ქვეყნის ახალმა მთავრობამ გადასახადების რაოდენობის და მათი განაკვეთების შემცირება დაიწყო, მაგრამ ეს ღონისძიებები იმდენად სიმბოლური იყო, რომ იგი არ დაეტყო მეწარმეობის განვითარებას.

ჩვენი აზრით, ამ სფეროში კარდინალური ღონისძიებებია გასატარებელი. თავდაპირველად იგი უნდა გავატაროთ მცირე ბიზნესში, შემდეგ საშუალო და ბოლოს, მსხვილ ბიზნესში. ასეთი ეტაპები საჭიროა იმისთვის, რომ ბიუჯეტის შემოსავლებში მკვეთრი კლება არ მოხდეს.

ამ ეტაპზე ჩვენ ვერ დავსახელებთ ზუსტად იმ პროცენტს, რამდენიც უნდა გადაუხადონ მეწარმეებმა სახელმწიფოს გადასახადის სახით, რადგან ამ საკითხის სპეციალური გამოკვლევა არ ჩაგვიტარებია, მაგრამ იგი აუცილებლად მიახლოებული უნდა იყოს 50%-თან და თუ ა. ლაფერსაც დავუჯერებთ, მის ოპტიმალურ სიდიდედ 45%-იც შეუგვიძლია მივიღოთ.

ცხადია, რომ ამ ღონისძიების გატარება არ იქნება იოლი. იგი წინააღმდეგობებით იქნება სავსე. მაგრამ, დრო აღარ ითბენს, ეს საქმე აუცილებლად უნდა დაიწყოს, დაუსაქმებელი მოსახლეობა შიმშილობს...

შემდგი წინადადებაც **გადასახადებს ეხება**. საქართველოს მთავრობას ვთავაზობთ მეწარმეს, რომელიც დაასაქმებს ოფიციალურად დარეგისტრირებულ

ღარიბს, მას შეუმციროს მოგების გადასახადი, თუ რამდენ დასაქმებულზე რამდენით შეუმციროს, რომ ბიუჯეტი არ დაზარალდეს, ამასაც ცალკე გამოკვლევა სჭირდება.

საქართველოს მოსახლეობის ღარიბი ფენის სიღარიბის დასაძლევად ერთ-ერთ ფინასურ წყარო ასევე არის **მიკროლიზინგი**. ლიზინგი ქონების გაქირავებაა. მიკროლიზინგი მცირე ღირებულების ქონებას ეხება. თუ საქართველოს ხელისუფ-ლება სიღარიბის დაძლევის რომელიმე პროგრამაში ჩართავს მიკროლიზინგს და თვითონვე დაუდგება თავდებათ ამ საქმეში ღარიბებს, მათი საერთო რაოდენო-ბიდან 5% მაინც გადაწყვეტს დაიწყოს ბიზნესი და მიკროლიზინგით მიღოს შენობა-ნაგებობები, მანქანა-მოწყობილობა და ა. შ.

საქართველოში რამდენიმე სალიზინგო კომპანია მუშაობს (”თიბისი” ლიზინგი, საქართველოს სალიზინგო კომპანია, ”აქტივ-ლიზინგი”...). ისინი მიკროლიზინგზეც მუშაობენ. ასეთ ოპერაციებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც ასრულებენ. თუ ქვეყნის მთავრობა მოელაპარაკება მათ ღარიბების ბიზნესისთვის ლიზინგის ობიექტების შესყიდვაზე და მათთვის გადაცემაზე, რა თქმა უნდა საქართველოს მთავრობის თავდებით, ისინი ამ ურთიერთობაზე უარს არ იტყვიან. მათთვის ეს ეკონომიკურადაც სასარგებლო იქნება და პატრიოტულიც. საქართველოს მთავრობისთვის კი ეს იქნება მისი პირდაპირი მოვალეობის შესრუ-ლება.

ქ. თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევებით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 52% თანახმა არის დაიწყოს ბიზნესი, მაგრამ არა აქვს ფული. თუ მთავრობა დაუდგება თავდებად, ანდა სუბსიდიის სახით რაღაც თანხას გაიღებს მათთვის, ისინი აუცილებლად მოკიდებენ ხელს ბიზნესს.

და ბოლო წინადადება, რომელიც ეხება პენსიების და შემწეობების გაზრდას, საარსებო მინიმუმის გადახედვას, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების დახ-მარებას, მარჩენალდაკარგულ ოჯახებისთვის ხელშეწყობას და ა. შ, და, რომლებიც ასევე სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტებია, ისინი მთავრობის პირდაპირი მოვალეობაა და ყოველგვარი მეცნიერული კვლევების გარეშე საქართველოს მთავრობამ უმოკლეს დროში უნდა მოაწესრიგოს ისინი. თუმცა, ღირსეულად ცხოვრება შეიძლება მხოლოდ შრომით, რასაც სჭირდება სამუშაო ადგილები და სათანადო გარემო, რომლის შექმნაც ასევე სახელმწიფოს მოვალეობაა.

იმედს გამოვთქვამთ, რომ სიღარიბის დაძლევის მიმართულებით გამოთქმულ ამ მოსაზრებებს გაითვალისწინებს ქვეყნის მთავრობა და ისინი არ დარჩებიან ”ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა”, ისე როგორც მრავალჯერ დარჩა ქართველი, მეცნიერების ამ პრობლემაზე გამოთქმული რჩევები და რეკომენდაციები.

დასკვნა

ნაშრომი თემაზე - *"სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები"* ჩატარებულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა მასალის კვლევამ, მოგვცა შემდეგი დასკვნები:

1. არ არსებობს სიღარიბის უნივერსალური განმარტება. ამ სფეროში მომუშავე მეცნიერები მას სხვადასხვანაირად განმარტავენ.

2. ცნობილია სიღარიბის 4 კონცეფცია: აბსოლუტური სიღარიბის, შედარებითი, დეპრივაციის და სუბიექტური. ამჟამად საქართველოს მოსახლეობა აბსოლუტურ სიღარიბეშია, მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს ან არასრულფასოვნად იკვებება.

3. სიღარიბის მიზეზი უმუშევრობაა, უმუშევრობით და მისით გამოწვეული სიღარიბით საქართველოში გაზრდილია დანაშაულთა რიცხვი, ამაღლებულია ავადობის და სიკვდილიანობის დონე, შემცირებულია ქორწინებები და შობადობა და ა. შ.

4. ცხოვრების დონით (შემოსავლები + ჯანმრთელობის დაცვა + განათლება) საქართველო მიეკუთვნება ღარიბ ქვეყნების რიცხვს.

5. დაბალია საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალიც.

6. კიდევ უფრო დაბალია სულადობრივი შემოსავალი საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, მათ შორის დეპრესირებულ რეგიონებში.

7. სულადობრივ შემოსავლებში არსებითი განსხვავებებია ქალაქის და სოფლების მიხედვითაც. სოფლის ერთი მცხოვრების საშუალო სულადობრივი შემოსავალი 10-15%-ით ნაკლებია ქალაქის ერთი მცხოვრების შემოსავალზე.

8. უკანასკნელ წლებში საქართველოს სტატისტიკის სამსახური აღარც სიღარიბის სიმწვავის და სიღრმის მაჩვენებელს აქვეყნებს და არც ინფორმაციას მის საანგარიშოდ. არც ცხადდება 10 დეცილური ჯგუფის შემოსავლები და ხარჯებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხდება სიღარიბის რეალური მდგომარეობის დასაფარავად.

9. ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას მოსახლეობაში საქართველოში 2006-2014 წლებში 0,45-დან 0,41-მდე არის შემცირებული. ეს დინამიკა ამ დიფერენციაციის გაუმჯობესებაზე მიგვი-

თითებს. მაგრამ აშკარად ჩანს,რომ საქართველოს მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლებში დაცილება დიდია.

შექნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად უპირველესად საჭიროა უმუშევრობის შესამცირებლად რადიკალური ღონისძიებების გატარება, კერძოდ:

1. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია შრომის ბაზრის ინსტიტუციური მოწყობა, რაც გულისხმობს შრომის ბირჟის, დასაქმებისა და მიგრაციის სახელმწიფო სამსახურის, დასაქმების ფონდისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას. მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თავისუფალი სამუშაო ადგილების (ვაკანსიების) და უმუშევართა აღრიცხვა; კონსულტაციების გაწევა უმუშევართათვის სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; უმუშევრებისათვის დახმარებების გაცემა; მოქალაქეთა პროფესიული მომზადება და გადამზადება; შრომის ბაზარზე მდგომარეობის შეფასება (ეკონომიკური და არაეკონომიკური, ეკონომიკურად აქტიური და ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რაოდენობის დადგენა და და ა. შ.); შრომით მიგრანტთა აღრიცხვა, შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და სხვ.;

2. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ეკონომიკას გადაადგილებს არა ფილიპსის მრუდზე, არამედ, რომელიც გამოიწვევს თვით ფილიპსის მრუდის გადაადგილებებს ისეთ წერტილებში, სადაც უმუშევრობის დონე კლებულობს, ხოლო ფასების საერთო დონე უცვლელია ან უმნიშვნელოდ მატულობს. ეს მიიღწევა ისეთი ინოვაციური პროგრამების სტიმულირებით (უმუშევრობის შემცირებისაკენ მიმართული ინოვაციური პოლიტიკა), რომელიც უზრუნველყოფს ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაახლოებით ერთნაირი ტემპებით ზრდას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროდუქციის მოცულობის ზრდის ტემპები წინ უნდა უსწრებდეს, ხოლო ხელფასების ზრდის ტემპები ჩამორჩებოდეს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს, სანამ უმუშევრობის რეალური დონე არ გაუტოლდება მის ბუნებრივ დონეს. ეს მიიღწევა წარმოებისა და მომსახურების არსებული დარგების გაფართოებით და მათი ახალი სფეროების ათვისებით;

3. უმუშევრობის დონის შემცირება ძირითადად დაკავშირებულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან, ე. ი. ახალი კაპიტალდაბანდებების განხორციე-

ლებასთან. გარდა ამისა, ინოვაციების განხორციელებას, რომელსაც თან ახლავს შრომის მწარმოებლურობის ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა რომ არ მოჰყვეს, აუცილებელია წარმოების გაფართოება შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად. ე. ი. საქართველოში, ვინაიდან ადგილი აქვს უმუშევრობის მაღალ დონეს და წარმოებაში ინერგება სიახლეები, უმუშევრობის არსებული დონის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდის ტემპები წინ გაუსწრებს შრომის მწარმოებლურობის ზრდის ტემპებს. უმუშევრობის დონის შემცირებას ართულებს ასევე შრომითი ემიგრანტების დაბრუნება. ამრიგად, ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფასთან ერთად აუცილებელია მასშტაბების მნიშვნელოვანი ზრდა. რაც დიდი მოცულობის დაბანდებების განხორციელებითაა შესაძლებელი. ეს კი შეიძლება მოხდეს როგორც შიგა, ისე გარე ინვესტიციების ხარჯზე. კვლავ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ამასთან, სახელმწიფო კრედიტები და დახმარებები გამოყენებული უნდა იქნეს რეალურ წარმოებაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას;

4. ადგილობრივი ინვესტიციების მობილიზაციისათვის აუცილებელია ადგილობრივ ბიზნესმენებზე სახელმწიფო მოხელეთა ყოველგვარი ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა. მართალია საქართველოში კორუფცია შემცირდა, მაგრამ მთლიანად არ აღმოფხვრილა.

5. უმუშევრობის შემცირების დიდი რეზერვი არის მცირე ბიზნესი. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა. საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ფართო ინფრასტრუქტურა, საქართველოში კი მცირე ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება თითქმის არ ხდება და არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს:[1]

6. საერთოდ, როგორც ეკონომიკის განვითარების, ისე უმუშევრობის დონის შემცირებისათვის აუცილებელი პირობაა სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის

[1] *საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით იხილეთ: აბესაძე რ., კაკულია ვ., მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბ., 2009.*

ჩამოყალიბება. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკა დეფორმირებულია, ვინაიდან საბაზრო ინფრასტრუქტურა ჩამოუყალიბებელია და მისი სტრუქტურა არარსულ-ყოფილია. მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია ეკონომიკური რეფორ-მების სწორად წარმართვა, რისთვისაც საჭიროა:

- საკუთრების ხელშეუხებლობის მოთხოვნის დაცვა;
- კონკურენციის გაძლიერება, რისთვისაც აუცილებელია ანტიმონოპოლიური სამსახურის რეალურად ამოქმედება;
- საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენება და გაძლიე-რება;
- ეფექტიანი პრივატიზების განხორციელება.

7. ეკონომიკური თვალსაზრისით, მიუღებელია მაღალი განათლების მქონე პირს ჰქონდეს დაბალი ანაზღაურება. არადა, საქართველოში მრავალი ასეთი მაგა-ლითის დასახელება შეიძლება. ასეთ ვითარებას მინიმუმამდე დაჰყავს განათლე-ბაში ინვესტიციების ეფექტიანობა. ჩვენთან უმაღლეს განათლებას ახალგაზრ-დობის დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ, დიპლომისათვის იღებს, რაც მათ დასაქმებას სპეციალობის მიხედვით ძლიერ აძნელებს;

8. სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის (მათ შორის პრეფერენციების) გამოყენებით უნდა წაახალისოს საექსპორტო და იმპორტშემცვ-ლელი წარმოება. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო-ტექნოლო-გიური და ინოვაციური პროგრამების განხორციელება;

9. პერსპექტივაში სოფლად ფერმერული მეურნეობების განვითარების (იგუ-ლისხმება შესაბამისი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა) კვალობაზე წარმოიშობა ჭარბი მუშახელი, რომელთა დასაქმებისათვის მიზანშეწონილი იქნება მცირე მეწარმეობის განვითარება სასოფლო ადგილებში;

უმუშევრობის დონის შემცირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების ორგანიზება, რისთვისაც სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს ბიუჯეტის სახსრები, უცხოური კრედიტები და დახმარებები.

უმუშევრობის შემცირება შეამცირებს სიღარიბის დონეს საქართველოში, მაგრამ ამ სიღარიბის კიდევ უფრო შესამცირებლად გვაქვს სხვა ღონისძიებებიც.

ყველა ისინი მოვაქციეთ ერთ ბლოკში და მათ სიღარიბის შემცირების **ფინანსური წყაროები** ვუწოდეთ. ასეთებია:

1. ინკლუზიური ბიზნეს-მოდელის დანერგვის, ანუ ღარიბების ჩართვა ბიზნესში;
2. მიკროდაზღვევის გავრცელება ღარიბებზე;
3. მიკროლიზინგის გამოყენება ღარიბების მიერ წარმოწყებულ ბიზნესში (სახელმწიფოს თავდებობით);
4. დაბეგვრის სისტემის სრულყოფა, კერძოდ:
   - გაუქმებული დაუბეგრავი მინიმუმის აღდგენა;
   - პროპორციული საგადასახადო სისტემის შეცვლა პროგრესული სისტემით;
   - ღარიბების დამქირავებელ კომპანიებისთვის გადასახადის განაკვეთების შემცირება;
   - ღარიბების მიერ გახსნილ ბიზნეს-სუბიექტებისთვის პირველ-ორ წელს გადასახადების გაუქმება.

ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე რ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემის შრომები, 11, თბ., 2013;
2. აბესაძე რ., ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში", თბ., 2002;
3. არჩვაძე ი. ეკონომიკური დისკომფორტის ინდე;ქსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება, European.ge 2012;
4. ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკომიკური თეორია და საქართველო, თბილისი 2010;
5. ასათიანი რ., საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. თბ., 2009.
6. ბახტაძე ლ., ცხოვრების დონე და სოციალური დიფერენციაცია საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №6, 2005.
7. გაბელაშვილი კ., მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისა და რეგულირების მეთოდოლოგიური საკითხები საქართველოში (დისერტაცია), ეკ. მეცნ. კანდ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, თბ., 2003;
8. გაბიძაშვილი ბ., სიღარიბის პორტრეტი საქართველოში, თბ., 2006;
9. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2007;
10. გაბიძაშვილი ბ., კირვალიძე ზ., სიღარიბე საქართველოში, თბ., 2003;
11. გაზეთი "ბანკები და ფინანსები", 17.08.2015;
12. გერზმავა ო., საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბ., 1998.
13. გველესიანი რ., შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატებების სტრატეგია, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2010;

14. გოგისვანიძე ვ., გაბადაძე ი., წერეთელი ი., განათლების როლი მატერიალური დოვლათის შექმნასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2014;
15. გრიგოლაია ნ., შემოსავლების განაწილების უთანასწორობის პრობლემა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა, ჟ. „გლობალიზაცია და ბიზნესი „, ბათუმი 2019;
16. ეკონომიკური თეორია (ავტორთა კოლექტივი), 1998;
17. ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ., სოციალური პოლიტიკა, თბ., 2013;
18. ვერულავა თ., უნივერსალიზმი და სელექტივიზმი - ”ჯანდაცვის ორი მიდგომა და საქართველო”, ჟ. ”ლიბერალი”, 13.05.2014;
19. ვირსალაძე ნ., მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ქუთაისი, 2003;
20. იაკობიძე დ., საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზ-რისით და განვითარების შესაძლებლობები, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა შრომების კრებული, 2010;
21. კახნიაშვილი ჯ., მაკროეკონომიკა, I ნაწილი, თბ., 1996;
22. კვარაცხელია ლ., სოციალური პოლიტიკა - საქართველოს ეკონომიკის ორიენტირი თუ სავალალო შედეგი, ჟ. ”მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №7-8, თბ., 2003;
23. „კვირის პალიტრა“, 2012, 26/XI-2/XII;
24. ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2009;
25. მალაშხია გ., სიმდიდრის სიკეთის პოტენციალი და საყოველთაო კეთილ-დღეობა, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერთა აკადემია, შრომები, 10, 2012;
26. მესხია ი., მურჯიკნელი მ., ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბ., 1996;
27. მესხია ი., გაბელაშვილი კ., მოსახლეობის ცხოვრების დონე, თბ., 2004;
28. მესხია ი., სიღარიბის დაძლევა, როგორც სოციალური უსაფრთხოების მთავარი ინდიკატორი, ჟ., სოციალური ეკონომიკა, №5, თბ., 2000;

29. მექვაბიშვილი ე., სახელმწიფო და ეკონომიკა, თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბ., 1995;
30. მინდორაშვილი მ., ჰუმანური განვითარების ინდექსი: ისტორია და რეალობა, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", №5, 2011;
31. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002;
32. პაპავა ვლ., საქართველოს და რუსეთის ეკონომიკური ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზი. კონფერენციის მასალების კრებული, თსუ, პაატა გუგუშვილის ინსტიტუტი, 2014;
33. რაბიტაშვილი ნ., მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონის დიფერენციაციის სტატისტიკის აქტუალური საკითხები საქართველოში (დისერტაცია), ბათუმი, 2012;
34. რამიშვილი ბ., საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟ. "ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი VII, №1, თბ., 2015;
35. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2008;
36. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2014;
37. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2019;
38. საქართველო, 2019-2023 - კავკასიის კარიბჭე მსოფლიოში, აზიის განვითარების ბანკი (ADB), 2019;
39. სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., მიკროეკონომიკსი, თბ., 2006;
40. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემები, თბ., 2019;
41. სოციალური მომსახურების სააგენტო „სოციალური სტატისტიკა", 2019;
42. სოციალური დახმარებების აღწერა და რეკომენდაციები 2014-2016, გაეროს ბავშვთა ფონდი 2018;
43. ფანცულაია გ., ოჯახების შემოსავლები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 1998, ნოემბერი;

44. ქაჯაია თ., ქოიავა ლ., ცხოვრების ხარისხი - ახალი კრიტერიუმები, საერთა-შორისო პრაქტიკული კონფერენციის მასალები, თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2014;
45. ღუდუშაური ზ., კაციტაძე ნ., ვაშენებთ კი საქართველოში ეკონომიკის სოციალურ მოდელს, ჟ. "ეკონომიკა", №7, 2009;
46. ღუდუშაური ზ., ფინანსური მენეჯმენტი, თბ., 2015;
47. ყუფუნია გ., საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2010;
48. შოშიტაიშვილი თ., როგორ ვარეგულიროთ ეკონომიკა გადასახადებით, ჟ., "ბიზნესი და კანონმდებლობა", №2, 2006;
49. ჩიქავა ლ., საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონი და მოკვდაობა, თსუ და პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბ., 2014 ;
50. ჩიქავა ლ., დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, თბ., 2012;
51. ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება, ნაწ. 1, თბ., 2008;
52. ჭიპაშვილი მ., სოციალური დაცვის სისტემა საქართველოში რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. სამეცნიერო ჟურნალი "თეუსუ", თბ., 2010, №3;
53. ხიზანიშვილი ნ., ცხოვრების დონე - საზოგადოების განვითარების მაჩვენე-ბელი, ჟ. "ეკონომიკა", 2009, №7;
54. Алле М., Глобализация: разрушение условий занятости и экономического роста, М., ТЕИС, 2003;
55. Доклад о развитии человека 2009, изд. "Весь мир", 2009;
56. Эдвин Дж. Долан, Дейвид Линдсей. Рынок: микроэкономическая модель, Санкт-Петербург, 1992;
57. Ковзанадзе Ираклий. Уроки мирового экономического кризиса и формирование новой модели развития. Тбилиси 2016;
58. Кемпбелл Р. Макконнел, Стенли Л. Брю. Экономикс, М., 1992;
59. Пол Хейне, Экономический образ мышледния, М., 1991;
60. Тодаро П.,Экономическое развитие, М., Юнити, 1997;

61. Amartya Sen. A World of Extremes: Ten Theses on Globalization. Los Ageles times, July 17, 2001;
62. Denison Edward F., Trends in American Economic Growtsh. Washington: The Droockings Instution, 2006;
63. Eurostat Statistical Books_Combating poverty and social exclusion, A statistical portrait of the European Union. 2010, edition;
64. Eurostat Pocketbooks_European social statistics, 2013 edition, European Union, 2013;
65. Handbook on Social Indicators, United Nations, New-Yourk, 1989;
66. Kvintradze Nino .,World Bank Predicts Georgian Economic Growth To Reduce, 2019;
67. Joan Spero and Laure D'Andrea Tyson. "New World, New Deal", Foreign Affairs (March-April, 2000);
68. Sorman G., La nouvelle richesse de Nation.Paris, Fayard, 1987;
69. The situation of People with Mental Health Problems and People with Intelectual Disabilities, Needs Assesstment Report, Georgia, www.psmhi.org/contentpics;
70. Measuring the Information Society_International Telecommunication Union, 2012;
71. Using EUROMOD to nowcast poverty risk in the European Union_eurostat Methodologies and Working papers, 2013 edition;
72. World Bank Support to Georgia Aims to Sustain Inclusive Economic Growth, WASHINGTON, March 26, 2020
73. rttp://www.commersant.ge
74. http://blog.myadvokat.ge/
75. http://www.worldbank.org
76. http://www.clicktop10.com/2013/05/top-10-richest-countries-in-the-world-in-2013/
77. http://www.numbeo.com/quality-of-life/rankings_by-country.jsp
78. https://www.nbg.gov.ge/
79. https://www.geostat.ge/ka

80. http://esocia.narod.ru/lesson.og.htm